ლელა

№107
(12 177)

9 მაისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ფინალი: აზოტი-ავია

მარკოიშვილი დრაფტზე 11

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატის ფინალი

სტუ-თელავი დაწინაურდა 13

ნემსაძე და ტოპმიოლერი: პირობას ვიძლევი, კონტრაქტს გავუგრძელებ



მერაბ მამულაშვილი

საპრეზიდენტო მარათონი გადამწყვეტ ფაზაში შედის. კანდიდატების სატელევიზიო გამოსვლები უკვე ვიხილეთ. ერთ-ერთი საკამათო თემა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **კლაუს ტოპმიოლერის** პოსტზე დარჩენა-არდარჩენის საკითხია. ფედერაციის დღევანდელი პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** ცალსახად გერმანელის დატოვებას ემხრობა. ოპოზიციონერი **მამუკა კვარაცხელია** ტოპმიოლერს უვარგის მწვრთნელს ეძახის და მის ჩამოყვანას შეცდომად მიიჩნევს. ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის მიმართ მკაფიო მოსაზრება მხოლოდ **გიორგი ნემსაძეს** არ ჰქონდა დაფიქსირებული.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე პრეზიდენტობის კანდიდატების დებატების დროს, ნემსაძის გამოსვლამ რამდენიმე კითხვა დაბადა. მათ შორის ისიც, თუ როგორ აპირებს ქართული საფეხბურთო მეურნეობის განვითარებას. ბევრმა ჩათვალა, თითქოს ნემსაძე გერმანელის გაშვების შემთხვევაში გამოთავისუფლებული თანხით აპირებს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

მას გუშინ დავუკავშირდით და ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ.

- თქვენი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, რა ბედი ელის კლაუს ტოპმიოლერს? საფეხბურთო სამყარო დარწმუნებულია, რომ ახალ კონტრაქტს არ შესთავაზებთ.

- რატომ არ შევთავაზებ? ტოპმიოლერის კვალიფიკაციაში ეჭვი არასდროს შემპარვია - ის ძალიან მაღალი დონის სპეციალისტი რომ არის, ორი აზრი არაა. მე პირობას ვაძლევ მასაც და გულშემატკივრებსაც, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ტოპმიოლერთან კიდევ ორწლიან ხელშეკრულებას გავაფორმებ და ნაკრებს გაათმაგებულად დავეხმარებით.

2

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

ქადრაკი 12

მალე: ქართველი ქალები მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე

www.kazbegi.com

გაცხადება... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

პირობას ვიძლევი, კონტრაქტს გავუგრძელებ

პირველი გვერდიდან

საერთოდ, ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი არასტაბილურობაა. ეს კი მწვრთნელთა ხშირი ცვლის შედეგიც არის. არ შეიძლება ყოველი წლის და ციკლის შემდეგ ნაკრებისთვის ახალ-ახალ სპეციალისტის ძებნა. ასე ვერც ნაკრები გაიზრდება და ფულსაც წყალში ჩავყრით. მწვრთნელს ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მით უფრო, ჩვენნაირ ნაკრებში, საკამაოდ დიდი დრო სჭირდება და გერმანელ სპეციალისტს გუნდის შენების საშუალება უნდა მივცეთ.

- თქვენგან ასეთი პოზიციის დაფიქსირება ცოტა მოულოდნელია.

- რატომ? რა არის ამაში უცნაური.

- თქვენი ინტერვიუებიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, თითქოს ინფრასტრუქტურის მონესრიგებას ტოპმიოლერის გაშვებით გამოთავისუფლებული თანხით აპირებდით.

- თქვენ თუ იმას გულისხმობთ, რომ გარკვეული კითხვები გვიჩნდებოდა, ეს ბუნებრივია. უცხოელი სპეციალისტისგან ყოველთვის წარმატებას ვითხოვთ, ქართველები ამბიციურები ვართ. თუმცა წარმატება ერთი ხელის მოსმით არ მოდის. დიდი სიბეცე იქნება, ტოპმიოლერს გუნდის შენებას თუ არ ვაცლით და შუა გზაზე მოვხსნათ.

- ინფრასტრუქტურას რა თანხებით განავითარებთ? როგორ მოევლება მოედნებს, სტადიონებს?

- მოდით, ამ თანხას ტოპმიოლერის საკონტრაქტო ფულთან ნუ დავაკავშირებთ. მწვრთნელის ჩამოყვანაში სახელმწიფომ მიზანმიმართულად გასცა თანხა. სახელმწიფოს ფეხბურთის განვითარება სურს და ტოპმიოლერიც ამიტომ დაინიშნა. ინფრასტრუქტურის განვითარება კი სხვა საშუალებითაც შეიძლება.

- მაგალითად?

- მაგალითად, 2007 წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს ფიფას პროექტი, რომლითაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2,5 მილიონი შვეიცარიული ფრანკი უნდა მიიღოს. გრანტი სწორედ ინფრასტრუქტურის პრობლემის მოსაგვარებლადაა გამიზნული. მთავარი ისაა, რომ ჩვენ ამ თანხას ადრესატამდე მივიტანთ.

ამას გარდა, არის რამდენიმე ბიზნეს ჯგუფი, ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში, ქართულ ფეხბურთში თანხებს რომ დააბანდებს. ეს ფული უმაღლესი ლიგის გუნდებს მოხმარდებათ.



მირჩა სანდუ

2002 და 2005 წლების მსგავსად, ფეხბურთის ფედერაციის წლევანდელ ყრილობაზეც მალტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჯოზეფ მიფსუდს ელოდნენ დამკვირვებლად. უეფა კი 13 მაისის არჩევნებისთვის რუმინული ფეხბურთის თავკაცი **მირჩა სანდუს** გვიგზავნის.

არჩევნებამდე

უეფადან სანდუ დაგვაკვირდება

"უეფადან მოსული ფაქსის თანახმად, 13 მაისს გასამართ ფეხბურთის ფედერაციის ყრილობასა და საპრეზიდენტო არჩევნებზე უეფას დამკვირვებელი რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და უეფას აღმასკომის წევრი მირჩა სანდუ იქნება", - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

სანდუ უეფას აღმასკომის წევრად, 26 იანვარს, დიუსელფორფში გამართულ უეფას კონგრესზე, **მიშელ პლატინის** *გამარჯვებისას* აირჩიეს. ის შაბათს ჩამოვა თბილისში, 13 მაისს ფედერაციის ყრილობასა და არჩევნებს დაესწრება და მერე უეფას ხელმძღვანელობას საკუთარ ანგარიშს წარუდგენს.

დავით ცაბაძე

ერიკ რომეო ჩასემი

სიონი

ბოლნისელები უცხოტომელებს ასხვისებენ?

ჩასემი აზერბაიჯანში, ბოიომო რუსეთსა ან ბულგარეთში

სეზონის დაწყების წინ, ბოლნისის "სიონში" ჩარიცხული სამი კამერუნელი ლეგიონერიდან, ორმა, შესაძლოა მალე დატოვოს ბოლნისური კლუბი. ჩვენ მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, ფორვარდ **ერიკ რომეო ჩასემსა** და მცველ **ფრიდოლინ ბოიომოს** მთხოვნელები უკვე გამოუჩნდნენ. სიმართლე რომ ვთქვათ ეს არცაა გასაკვირი. ბოიომო ქვემოქართლელთა გუნდის დაცვაში მართლაც საიმედოა. ჩასემმა კი არაერთი, მათ შორის გადამწყვეტი გოლითაც დაგვამახსოვრა თავი. როგორც შევიტყვეთ ჩასემსა და ბოიომოზე მეზობელი აზერბაიჯანიდანაა მოთხოვნა. გასულ ზაფხულს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოლნისელებმა სწორედ აზერბაიჯანული "ბაქის" ბარიერი" დაძლიეს და მერე ბულგარულ "ლევსკისთან" დამარცხდნენ. კამერუნელი ლეგიონერების მიმართ უცხოელთა ინტერესი "სიონის" მესვეურებმაც დაგვიდასტურეს.

"ჩასემსა და ბოიომოზე მართლაც არის მოთხოვნა. მართალია, ეს ფეხბურთელები ჩვენს კლუბს მომავალი სეზონის ბოლომდე ეკუთვნიან, მაგრამ მათ უკვე არაერთი მთხოვნელი გამოუჩნდათ. ბაქოს "ნეფთჩიმ" გამოგვიგზავნა ფაქსი და მოლაპარაკებათა დაწყებას გვთავაზობს. ანალოგიური თხოვნა მივიღეთ "ბაქისგან". ორივე მზადაა გარკვეული თანხის საფასურად აიყვანონ ეს მოთამაშეები. ჩასემის მიმართ ინტერესია დასავლეთი ევროპიდანაც. ჩვენი პოტენციური პარტნიორი "პსვ ეინდჰოვენი" ერიკ რომეო ჩასემის ტესტირებაზე გაშვებას გვთავაზობს.

ბოიომოს მიმართ კი რუსეთის პრემიერლიგაში მოასპარეზე ნალჩიკის "სპარტაკი" და ბულგარული კლუბები ავლენენ ინტერესს. მართალი გითხრათ, კლუბის ხელმძღვანელობას არ უნდა ამ ფეხბურთელების გაშვება, მაგრამ ფინანსური მხარის გარდა ფეხბურთელის ნებასაც გავითვალისწინებთ და გადაწყვეტილებას ყველა ფაქტორის გათვალისწინებით მივიღებთ", - გვითხრა ბოლნისის "სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა**.

"სიონმა" კამერუნელ ლეგიონერების მოსალოდნელ ტრანფერებთან დაკავშირებით 3 დღიანი ტაიმაუტი აიღო. ქართული სატრანსფერო ბაზრისთვის აქამდე სარეკორდო თანხებზეა საუბარი, თუმცა თანხის ოდენობას ჯერჯერობით არავინ ასახელებს. ჯემალ ჭიპაშვილის თქმით, "სიონის" ფეხბურთელების თამაშის სანახავად 12 მაისს, ბოლნისში, "სიონი"-"ზესტაფონის" მატჩს, "ბაქის" წარმომადგენელი დაესწრება.

დავით ცაბაძე

საქართველოს თასი

რუსული თუ უკრაინული არხი?

საქართველოს თასის ფინალისთვის პროფესიული ფეხბურთის ლიგა გამორჩეულად ემზადება. ორგანიზაციის ხელმძღვანელობას 26 მაისის საღამოს შარშანდელ ფინალზე უფრო ეფექტურად და ლამაზად "შეფუთვა" სურს.

ფინალის ჩვენების ექსკლუზიური უფლება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი2-მა" მოიპოვა. ამასთანავე, ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, ჩვენი მთავარი სათასო დაპირისპირებით უცხოური ტელეკომპანიებიც დაინტერესდნენ - რუსული "ნტვ+ფუტბოლი" და უკრაინული "სპორტ 1".

გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს უკრაინელებმა რეპორტაჟი უკვე შეიძინეს, გუშინ ლიგის პრესატაშე **პაატა ბურჯალიანმა** უარყო: *"ჯერ ეს საკითხი ღიადაა. "ნტვ+ფუტბოლთან" და "სპორტ 1-თან" მოლაპარაკება ყოველდღიურად მიმდინარეობს. ჯერჯერობით, უფრო მეტი ინტერესი რუსულმა არხმა გამოავლინა. თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. ორივე მხარის საბოლოო პასუხს უახლოეს დღეებში შევიტყობთ".*

მერაბ მამულაშვილი

შენ მიდიხარ ფინალზე?

ყიფიანის ფონდმა აქცია დაიწყო

53-ე სკოლაში დიდი აჟიოტაჟი იყო. ახლადგახსნილ მოედანზე სკოლის მოსწავლეები **დავით ყიფიანის** სახელობის ფონდისა და ჟურნალ "ათიანის" ხელმძღვანელობას შეხვდნენ, რომლებმაც დაიწყეს აქცია პირობით სლოგანით - "უყურეთ ქართულ ფეხბურთს". მიზანი ქართული ფეხბურთისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა. ამასთანავე, მალე საქართველოს დავით ყიფიანის თასის "ყაზბეგის" ფინალში "ამერი" "ზესტაფონს" დაუპირისპირდება და სკოლაში მატჩზე დასასწრებ 100 ბილეთს დაარიგებენ. ფონდმა და "ათიანმა" თასის მხარდაჭერა საკუთარი ნებით გადაწყვიტა.

აქციის დაწყება 53-ე სკოლაში იმიტომ გადწყდა, რომ იქ დავით ყიფიანი სწავლობდა.

ზაალ სამადაშვილი, 53-ე სკოლის დირექტორი: "დავით ყიფიანი ჩვენს სკოლაში სწავლობდა და ამით ძალიან ვამყობთ. გამახარა ფონდის და ჟურნალის ინიციატივამ. ეს ადამიანები ჩემი მეგობრები არიან. ფეხბურთზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის დასანერგად ამაზე უკეთესი პროპაგანდა არ არსებობს, როგორც ვიცი, ეს აქცია კიდევ გაგრძელდება".

დათო მაღრაძე, პოეტი: "ბავშვებო, თქვენ ეზიარებით ქართული ფეხბურთის ზღაპრულ სამყაროს, სადაც უდიდეს ვარსკვლავებს აღმოაჩენთ".

ნიკა ყიფიანი: "აქცია სტადიონისკენ ჩვენი გულშემატკივრების დაბრუნებას ისახავდა მიზნად. ფეხბურთის სიყვარული კი ბავშვობიდან, ეზოდან, სკოლიდან იწყება. მას მხოლოდ კომპიუტერით და ინტერნეტით ვერ შეიყვარებ. რეალური და არა ვირტუალური ფეხბურთი, წიგნის ან ჟურნალის კითხვა გაცილებით სასარგებლოა. მსგავსი აქცია თასის ფინალამდეც გაგრძელდება და შესაძლოა, შემდეგში საფეხბურთო სკოლა "ნორჩ დინამოელში" ჩავატაროთ".

დათო მეფარიშვილი

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ზურაბ ფოცხვერიასთან

არანაირი ილუზია და პრეზიდენტობა

მე ჩემი საქმე მაქვს

თბილისის "ამერი" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ხმას ნოდარ ახალკაცს აძლევს. "ამერი" საქართველოში ერთ-ერთი სანიმუშო და ამბიციური კლუბია, შარშან საქართველოს თასი მოიგო და წლეულს მიღწეულის შენარჩუნებასაც შეეცდება. ცხადია, "ამერს" საკუთარი გათვლები აქვს და ალბათ, საკლუბო პოლიტიკიდან გამომდინარეც უნდა იყოს მისთვის ახალკაცი სხვაზე უკეთესი კანდიდატი ფედერაციის პრეზიდენტობისთვის.

"ამერის" პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას მეტწილად 13 მაისის არჩევნებზე ვესაუბრეთ და მერე "ამერზეც" გადავერთეთ.

რატომ უჭერს არჩევნეში მხარს ახალკაცს? ფოცხვერიასთან ინტერვიუ ამ კითხვით დავიწყეთ.

- არჩევნები არჩევანის გაკეთებას ნიშნავს და არსებული კანდიდატებიდან ჩვენ ვირჩევთ ახალკაცს. კეთილგანწყობილნი ვართ პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების მიმართაც. გიორგი ნემსაძეს არ ვიცნობ, თუმცა მასზე ბევრი დადებითი მსმენია. მამუკა კვარაცხელიას კი დიდი ხანია ვიცნობ, მას ცოტა ხნის წინათ შევხვდი კიდეც და კარგი საუბარიც გვქონდა. კვარაცხელიასაც ვუთხარი, რომ მისი შემართება და ერთგულება ქართული ფეხბურთისადმი ერთობ ფასეულია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ფედერაციის პრეზიდენტობის საუკეთესო კანდიდატი ახალკაცია.

- რის საფუძველზე შეგექმნათ ასეთი შეხედულება?

- ახალკაცი უკვე ორი წელია, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, რამაც მას, ის გამოცდილება შესძინა, რაც ფედერაციის მომავალ პრეზიდენტს დიდად გამოადგება. ვინც არ უნდა გახდეს ფედერაციის პრეზიდენტი, ყველას დასჭირდება დრო ასეთი გამოცდილების შესაძენად და სიტუაციის შესასწავლად, ახალკაცს კი ეს პერიოდი უკვე გავლილი აქვს. გარდა ამისა, არსებობს გუნდური პრინციპი - ის ხალხი, ვინც ახალკაცთან მუშაობს, ერთი ადგილს არ ტკეპნის, საქმეს აკეთებს. რალაც საკითხებზე მე მათგან განსხვავებული ხედვა მაქვს, მაგრამ ისინი რომ მუშაობენ და საქმე წინ რომ მიდის, ფაქტია. მეეჭვება, საქმე ვინმემ იდეალურად, უშეცდომოდ გააკეთოს, ასეთი რამ რეალურად არ ხდება. გავეცანი კვარაცხელიას პროგრამას, მოვუსმინე ნემსაძის ტელეგამოსვლას და უმეტეს შემთხვევაში აბსოლუტურად ვიზიარებ პრეზიდენტობის ამ კანდიდატების შეხედულებებს, მაგრამ მათგან არსობრივად ახალი ვერაფერი დავინახე. რაც მათ თქვეს, ეს უკვე კეთდება ამა თუ იმ მასშტაბითა და ტემპით. ჰოდა, რადგან პრინციპული სიახლე ვერ დავინახე, ჯობია, პრეზიდენტი იყოს ის, ვინც უკვე აკეთებს ამ საქმეს. ნებისმიერ ადამიანს ამისთვის დრო სჭირდება. სამუშაოს შეფასება გარკვეული დროის მონაკვეთის საფუძველზე უნდა ხდებოდეს, რისთვისაც ორი წელი საკმარისი არ არის. ახალკაცის ოპონენტები ამბობენ, რომ საქმეს უკეთესად გაართმევენ თავს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ახალკაცს უკვე აქვს საქმის კეთების გამოცდილება და საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე არ გამოუმჟღავნებია. ვფიქრობ, თუ ახალკაცი დარჩება პრეზიდენტად, ეს ქართულ ფეხბურთს სასიკეთოდ წაადგება.

- სიახლეები ახსენეთ და თუ ახალკაცი პრეზიდენტად დარჩება, რა სიახლეებს ელით მისგან?

- ეროვნული ჩემპიონატის გაუმჯობესებას. არ მაქვს ამის ილუზია, რომ ყველაფერი იდეალურად იქნება, მაგრამ ვიცი, რომ ამისთვის მუშაობა გაგრძელდება და საქმე ცუდად არ გაკეთდება.

- ყოველივე ამის წინაპირობა რა უნდა იყოს?

- ფედერაციამ საამისოდ ხელსაყრელი გარემო უნდა შექმნას, მაგრამ ეს ძნელი იქნება სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზის გარეშე. ფედერაციამ სახელმწიფოსთან თანამშრომლობით უნდა შეამზადოს ნაყოფიერი ნიადაგი ფეხბურთში კაპიტალის დაბანდებისთვის. ფეხბურთის განვითარება კომპლექსური საკითხია და არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ სახელმწიფოს თანამშრომლობის გარეშე მნიშვნელოვანი წარმატებები გვექნება. ფედერაცია ამ მხრივ უკვე მუშაობს, მზადდება სახელმწიფოში ფეხბურთის განვითარების პროგრამა.

- არის რაიმე საკითხი, რაშიც ახალკაცის ოპონენტი ხართ?

- სიტუაციას კლუბის პრეზიდენტის პოზიციიდან ვაფასებ. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კორექტული და წინდახედული უნდა იყოს, როცა ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატზე საუბრობს. სხვათა შორის, ამავე აზრისაა ახალკაციც.

- იდეები და მიმართულება თითქოს პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს ნორმალური აქვს, მაგრამ ვინ როგორ განახორციელებს ამას - როცა კონკრეტულ კანდიდატს მხარს უჭერთ, ალბათ ამაზეც გიფიქრიათ...

- მთავარია ტენდენცია, ხოლო თუ როგორ შეასრულებ სამუშაოს, ეს უკვე ყოველდღიური პროცესია და წინასწარ რთულია, ამის განჭვრეტა. ნემსაძეც და კვარაცხელიაც ქმედითი ხალხია, ქართულმა ფეხბურთმა ისინი არ უნდა დაკარგოს.

- როგორ ფიქრობთ, ფედერაციის შტატში არ უნდა იყოს ისეთი მუშაკი, ვისაც საკლუბო ფეხბურთში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება ექნება?

- საკლუბო ფეხბურთში მნიშვნელოვანი სამუშაოები უკვე ჩატარებულია. უკვე შესაძლებელია, რომ კლუბებმა შეღავათიან ფასში დააგონ ახალი, ხარისხიანი მოედნები, რამეთუ ამის საშუალებას ქანდაში არსებული მეურნეობა იძლევა. ქართულ საკლუბო ფეხბურთში კომერციალიზაციის ელემენტები გაჩნდა, გუნდები კონკრეტული წარმატების შემთხვევაში გარკვეულ თანხას იღებენ. თქმა არ უნდა, პრობლემები ისევ არის, მაგრამ ეს მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის ბრალი არ არის.

- არასდროს გიფიქრიათ ფედერაციის პრეზიდენტობაზე?

- არა, მე ჩემი საქმე მაქვს საკეთებელი.

- "ამერზეც" ვთქვათ. კლუბს პრიორიტეტები არ განუსაზღვრია, თუმცა "ამერი" სათასო გუნდად ყალიბდება, სეზონის მეორე ეტაპზე საჩემპიონო შანსი შარშანაც დაკარგა და წლეულსაც...

- "ამერს" სათასო გუნდის იმიჯი რომ შეექმნა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, თუმცა უკმაყოფილო ვიქნები, თუ "ამერი" მხოლოდ სათასო გუნდი იქნება - ეს ჩვენი მიზანი არ არის.

- ანუ "ამერს" თასიც სურდა და ჩემპიონობაც, მაგრამ საამისოდ ადამიანური რესურსი არ ეყო, რაც ალბათ იმის ბრალია, რომ წლევანდელ წინასასეზონო პერიოდში სატრანსფერო ბაზარზე მაინცდამაინც არ იაქტიურა...

- იმ პერიოდში "ამერის" სატრანსფერო საქმიანობა წარმატებულად მართლაც ვერ ჩაითვლება. ჩვენი შეხედულება ასეთი იყო - ფეხბურთელთა ბირთვი შეგვენარჩუნებინა, რომლითაც სასურველი შედეგისთვის უნდა მიგვეღწია, ჩვენ ხომ კვალიფიციურ ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი გვყავს. არ მგონია, რომელიმე გუნდს "ამერზე" უფრო გრძელი სკამი ჰქონდეს. ასე რომ, "ამერის" საჩემპიონო ხელმოცარვას მხოლოდ რესურსის ნაკლებობას ვერ დავაბრალებთ.

- როგორ ფიქრობთ, მაშინ რა არის მთავარი საშინაო ფრონტზე მაქსიმალური შედეგის მისაღწევად?

- გუნდის ავტობუსის მძღოლით დაწყებული კლუბის პრეზიდენტით დამთავრებული ყველა მაქსიმუმს უნდა აკეთებდეს მიზნის მისაღწევად - ასეა ყველგან და ასეა საქართველოშიც.

- საქართველოს კი ალბათ განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს. უკვე ორი წელია, "ამერი" უმაღლეს ლიგაში თამაშობს და თქვენი დაკვირვებით, ჩემპიონი ხდება გუნდი, რომელიც...

- როცა მაგ სპეციფიკას მივაგნებ, ჩემპიონები გავხდებით.

დავით თავართქილაძე

ჩვენ ახალკაცს ვურჩევთ...

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე ზოგი სუბიექტი თუ დელეგატი სასურველ კანდიდატურას ლიად აფიქსირებს, ზოგიც კი გაჩუმებას ამჯობინებს და ფარულ კენჭისყრას ელოდება. აქამდე საკუთარი პოზიცია არ ჰქონდა დაფიქსირებული იმერეთის ფეხბურთის ფედერაციას, თუმცა გუშინ ირფფ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა **ვალერი მანაგაძემ** მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა: *„ირფფ-ის ალმასკომის სხდომაზე დელეგატად მერაბ მეგრელაძე ავირჩიეთ. ჩვენ ვურჩევთ, რომ მხარი მოქმედ პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს დაუჭიროს, მაგრამ საბოლოოდ ალბათ მაინც თავად გადაწყვეტს თუ ვის მისცეს ხმა. საარჩევნო კამპანია საკმაოდ პასიურად მიმდინარეობდა. ჩვენთან ოფიციალურად არც ერთი კანდიდატი არ ჩამოსულა. მხოლოდ ჯეტიქსის თასზე იმყოფებოდა ნოდარ ახალკაცი. მაშინ ის „ტორპედოს" ხელმძღვანელებს შეხვდა, მაგრამ მათაც არ ჰქონდათ საბოლოოდ თავიანთი პოზიცია დაფიქსირებული. მოკლედ, ვითარება ასეთია, ჩვენ მეგრელაძეს ნოდარ ახალკაცის კანდიდატურას შევთავაზებთ, მაგრამ 13 მაისს, როცა მერაბ საარჩევნო ყუთთან მივა, თავად გადაწყვეტს რომელ კანდიდატს მისცეს ხმა. კენჭისყრა ფარულია და ახალკაცს აირჩევს, ნემსაძეს თუ კვარაცხელიას ამას ჩვენ ვერ გავიგებთ. ამიტომ, საბოლოო სიტყვა მაინც მერაბ მეგრელაძეზეა".*

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

მწვრთნელთა კურსები იმერეთში

გუშინ, ქუთაისში, **გაიოზ დარსაძის** თაოსნობით ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელთათვის C კატეგორიის ლიცენზირების კურსები დაიწყო. ინსტრუქტორები იმერეთის რეგიონში მომუშავე 40-მდე მწვრთნელს ერთი კვირის განმავლობაში ჩაუტარებენ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას. გუშინდელ ლექციას გაიოზ დარსაძე და B კატეგორიის მწვრთნელი, კურსის ხელმძღვანელი **ბადრი მაჭავარიანი** უძღვებოდნენ.

აქამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ A და B კატეგორიის ლიცენზიებს გასცემდა, თუმცა უეფას დაყინებული მოთხოვნით C ლიცენზიის გაცემაც დაიწყო. ამ კატეგორიის ლიცენზირება ითვალისწინებს 60 საათიან თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, სადაც ყურადღება ძირითადად მასობრივი და ბავშთა ფეხბურთის სპეციფიკაზე და მის მნიშვნელობაზე იქნება გადატანილი. ლიცენზიის მქონე მწვრთნელებს შეუძლიათ, 6 დან 12 წლამდე ბავშვებში, ქალთა და ვეტერანთა ფეხბურთში, ასევე სკოლბურთში მუშაობა. მწვრთნელები რომლებსაც არ ექნებათ მოპოვებული C ლიცენზია, უეფას მოთხოვნების შესაბამისად, უფლება არ ექნებათ მიიღონ B კატეგორია.

გაიოზ დარსაძე: „ეს არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პროექტი, რომელიც დღეს პირველად ხორციელდება. აქამდე საქართველოში მოქმედებდა A და B კატეგორიის ლიცენზიის პროგრამა. ახლა ვიწყებთ C კატეგორიის ლიცენზირების პროგრამას, რომელიც ძირითადად პატარა ბავშვებთან და მასობრივ ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელებისათვის არის განკუთვნილი. დღეს ბევრი საუბარია მასობრივ ფეხბურთზე და მის განვითარებაზე. ჩვენს ლექციებში სწორედ ამ კუთხით არის საუბარი. გვყავს ინსტრუქტორები რომლებსაც ამ საქმეში საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნიათ და მათი მეშვეობით მივაწვდით ცოდნას მწვრთნელებს.

- ადრე ლიცენზირებისთვის მწვრთნელებს რეგიონებიდან დედაქალაქში უხდებოდათ ჩამოსვლა. დღეს კი თავად ეწვიეთ იმერეთს და კურსებს ადგილზე ატარებთ. ეს მომავალშიც გაგრძელდება?

- ეს არის პირველი გასვლა რეგიონში. ჩვენ სწორედ ახლა დავიწყეთ ამ პროექტის განხორციელება და, რა თქმა უნდა, იგი სხვაგანაც განხორციელდება. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ თუნდაც ამ კუთხით რეგიონებს დახმარება გავუწიოთ. რეგიონებში ფეხბურთის განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ეს კი სათანადოდ მომზადებული მწვრთნელების გარეშე შეუძლებელი იქნება. ვცდილობთ, რომ დასავლეთევროპული გამოცდილება გადმოვიღოთ და დავნერგოთ, ამასთანავე ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც ქართულ ფეხბურთს წაადგება.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნებამდე

საძირკველი უპირველეს ყოვლისა

გიორგი დევდარიანი: ქართულ საქმეს ქართველი გააკეთებს

გიორგი დევდარიანი გიორგი ნემსაძის მხარდამჭერთა გუნდშია. ახალგაზრდა სპეციალისტს ბავშვთა ფეხბურთის განვითარების გეგმა აქვს შემუშავებული და ნემსაძის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, თანამოაზრეებთან ერთად, ამ პროგრამის განხორციელებას აპირებს. დევდარიანი, რომელიც არჩევნებზე ხმის უფლების მქონე დელეგატია, ქართული ფეხბურთის კრიზისის მთავარ მიზეზად ბავშვთა ფეხბურთში არსებულ მძიმე ვითარებას მიიჩნევს. ჩვენი საუბარი ძირითადად სწორედ ამ საკითხს შეეხო, გვერდი არც სხვა მნიშვნელოვანი თემებისთვის აგვივლია.

- დიდი სურვილი მქონდა, არჩევნებზე ხმის უფლებით მესარგებლა. დელეგატად „ბორჯომი" მიმავლენდა თუ სხვა კლუბი, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი ისაა, რომ საშუალება მაქვს, ქართული ფეხბურთის განვითარებაში მცირედი წვლილი მეც შევიტანო. არ ვმალავ, რომ გიორგი ნემსაძეს ვუჭერ მხარს. იგი ღირსეული პრეზიდენტი იქნება.

- თქვენს პროექტზე უფრო ვრცლად გვიამბეთ.

- ცოტა შორიდან დავიწყებ. საკმაო პერიოდი გავატარე მოსკოვში, სადაც სამწვრთნელო განათლება გავიღრმავე. ლექციებთან ერთად, „ლოკომოტივის" ვარჯიშებს ვესწრებოდი, უშუალოდ იური სიომინთან მქონდა კონტაქტი და ამ ხნის განმავლობაში დიდი ცოდნა მივიღე.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამა შევადგინე. მსურდა, ფეხბურთის ფედერაციაში ამ თემაზე გვემსჯელა, მაგრამ სამწუხაროდ, ყურადღების ღირსად არ ჩამთვალეს. გრიგოლ ცაავას მეშვეობით რამდენიმეჯერ ვცადე ნოდარ ახალკაცთან შეხვედრა, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

არ ვამტკიცებ, რომ ჩემი ყველა აზრი მართებულია, მაგრამ ხომ შეიძლება, შევკრებილიყავით მწვრთნელები, გვემსჯელა, პოზიციები შეგვეჯერებინა და ეგებ, ჭეშმარიტება კამათში დაბადებულიყო. ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა სპეციალისტთა პატარა ნანილის აზრს ისმენს, გია გეგუჩაძე, კობა ჟორჟიკაშვილი და სხვა მცოდნე მწვრთნელები კი განზე დგანან.

პროგრამა საკმაოდ ვრცელია, მისი მთავარი არსი ბავშვთა მომზადების სტილის შეცვლაა. ყურადღება მრავალ დეტალზეა გამახვილებული, მაგალითად ერთ-ერთ ასპექტს მოვიტან.

მოგეხსენებათ, „ოლიმპის" აკადემიაში 1992 წელს დაბადებულ მოზარდებს ვწვრთნი. ჭაბუკთა ლიგაში ვასპარეზობთ, გათამაშებას ერთპიროვნულად ვლიდერობთ, მაგრამ ეს არაა მთავარი. ჭაბუკთა ლიგის კალენდარი მეტისმეტად მჭიდროა. კვირაში ძირითადად ორი, ზოგჯერ კი სამი მატჩის ჩატარება გვიწევს. შეხვედრის წინა და მომდევნო დღეებში ბავშვს ვერ დატვირთავ, თავად დაითვალეთ, რაოდენ ძვირფასი დრო იკარგება. როდის უნდა ისწავლოს ნორჩმა ფეხბურთელმა სწორად დარტყმა, როდის უნდა გაიმდიდროს ტექნიკური და ტაქტიკური არსენალი?!

14-დან 18-წლამდე პერიოდი ბავშვისათვის უმნიშვნელოვანესია. ფეხბურთელად სწორედ დროის ამ მონაკვეთში ყალიბდებიან. უაზროდ დაკარგულ ამდენ დროს კი მოზარდი ვეღარ აინაზღაურებს და გამორიცხულია, მისგან მაღალი კლასის მოთამაშე დადგეს. ფედერაციაში შეგვპირდნენ, რომ კალენდარს დახვეწდნენ, მაგრამ მსგასი არაფერი მომხდარა.

თითქმის არავის აქვს ტრენაჟორებისა და სამედიცინო საშუალებების ფუფუნება, სხვაგვარად კი ფეხბურთელი ვერ გაიზრდება. ვითომ ტექნიკურები ვართ ქართველები, მაგრამ ევროპამ ამ კომპონენტშიც საგრძნობლად გაგვისწრო. სხვა ასპექტებზე აღარაფერს ვამბობს, რა ხანია, ქართველი ფეხბურთელი ძლიერ უცხოურ კლუბში აღარ წასულა. წარმატებული თაობები აღარ მოდიან. ნამდვილად სასარგებლოა გაიოზ დარსაძის კურსები, მაგრამ საქმე თეორიის იქით არ მიდის, პრაქტიკულად ბევრი ვერაფერი კეთდება.

ეროვნული ნაკრები ქართული ფეხბურთის სახეა, მაგრამ ყველაფერი საძირკვლიდან უნდა დავიწყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინსვლის პერსპექტივა არ გვექნება.

გიორგი ნემსაძემ ყურადღებით მომისმინა და ჩემი გეგმების განხორციელებაში სრული მხარდაჭერა აღმიქვა. არავინ იფიქროს, რომ ვინმეს კოჭს ვუგორებ, ან რაიმე თანამდებობისკენ მივილტვი. მე ჩემი საქმე მაქვს, ჩემი მოსწავლეებს, რომლებიც ახლა 14 წლისანი არიან, მინიმუმ ოთხი წლის განმავლობაში ვერ მივატოვებ. უბრალოდ, მხარში ვუდგავარ იმ კანდიდატს, რომელსაც რეალურად შეუძლია ქართული ფეხბურთისა და პირველ რიგში ბავშვთა საფეხბურთო მეურნეობის ფეხზე დაყენება.

- თქვით, თაობები აღარ მოდიანო. რატომაა ასეთი საგრძნობი განსხვავება ეროვნული ნაკრების სტაჟიან წევრთა და მათზე უმცროსებს შორის?

- არავინ იფიქროს, რომ ბავშვთა ფეხბურთში მდგომარეობა მხოლოდ ბოლო წლებშია არასახარბიელო. ნორმალური პირობები არასდროს გვქონია, უბრალოდ, ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით, განვითარებულმა ქვეყნებმა კი სერიოზული პროგრესი განიცადეს. შესაბამისად, თუკი წინა წლებში ჩვენი მოთამაშეები ახერხებდნენ ევროპაში დამკვიდრებას, დღესდღეობით, ქართველი ფეხბურთელი საზღვარგარეთ არაკონკურენტუნარიანია.

- დიდ ფეხბურთში დაბრუნებას როდისთვის გეგმავთ?

- როგორც გითხარით, მომავალი ოთხი წლის გეგმა უკვე შემუშავებული მაქვს, შემდეგ კი მინდა, ჩემს ბიჭებთან ერთად, უმაღლეს ლიგაში გამოვიდე. ჩემი მიზანია, „თბილისზე" კიდევ უფრო ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბო. ეს ერთგვარად საკუთარი თავის გამოცდაა, ოთხი წლის შემდეგ ნათლად გამოჩნდება, მივდივარ თუ არა სწორი გზით. შეცდომა დავუშვი, „თბილისი" მეორედ რომ ჩავიბარე. იმ ფეხბურთელებით შედეგს ვერ ვაჩვენებდი და ამას თავიდანვე უნდა მივმხვდარიყავი.

- შარშან ფედერაციამ ნეკრებების სელექციონერად დაგნიშნათ...

- დიახ, მე და მამუკა ფანცულაიას ფეხბურთელებზე დაკვირვება დაგვევალა, მაგრამ ამ საქმეს მალე შევეშვით, რადგან საქმისადმი სერიოზული მიდგომა ვერ დავინახეთ. შტატში არ ვიყავით, ანაზღაურება არ გვქონია. თუმცა ეს არაა მთავარი, ქართული ფეხბურთისთვის გასამრჯელოს გარეშეც ვიმსახურებდით, მაგრამ ჩვენს აზრს არავინ იზიარებდა. ჰერბერტ ცანკერმა „ოლიმპის" რამდენიმე ფეხბურთელი სანაკრებოდ 45 წუთში შეარჩია, ჩვენთვის კი აზრი არც უკითხავს. ამის შემდეგ, რაღა აზრი ჰქონდა ჩვენს სელექციონერობას...

- ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობის მიერ გაწეულ სამუშაოს ცალსახად უარყოფითად აფასებთ?

- შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ქართული ფეხბურთი ახალკაცმა და მისმა გუნდმა დააქციეს, მაგრამ ბევრიც არაფერი გაუკეთებიათ. ტელეეთერით ვუყურე მოქმედი პრეზიდენტის გამოსვლას, განაცხადა, ბევრი გავაკეთეთ და კმაყოფილი ვარო. რა გითხრათი, დაუნახავი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ გაკეთებულს ბევრს ვერაფერს ვხედავ. კი ბატონო, ბატონი ნოდარი განათლებული ადამიანია, მაგრამ, ნემსაძისგან განსხვავებით, ფეხბურთის ნიუანსებში ვერ ერკვევა.

- აზრთა სხვადასხვაობაა სანაკრებო პოლიტიკის თაობაზეც.

- ტოპმიოლერი დიდ მწვრთნელად მიმაჩნია, მაგრამ ფაქტი ჯიუტია – ნაკრებს მისი ხელი არ ეტყობა. გაიხსენეთ ჩვენი ეროვნული გუნდის მიერ გატანილი გოლები. დამუშავებული კომბინაციის შედეგად ერთი ბურთიც კი არ გასულა, მეტოქის კარს ყოველთვის ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით ვლაშქრავთ.

კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი – საქართველოს ნაკრების ყველა შეტევისას მონინაალმდეგის ფეხბურთელები ჩვენებს რაოდენობრივად აღემატებიან, მეტოქის იერიშისას კი კვლავ ჩვენ ვართ უმცირესობაში – გასაგებია, რომ ეს ჩვენი ბიჭების არასახარბიელო მომზადების ბრალია, რაშიც ბრალი მათაც მიუძღვით და ტოპმიოლერსაც.

ქართველი მწვრთნელის პირობებში, არც ამაზე უკეთესი შედეგი გვექნებოდა და არც უარესი. თაობა არ მოდის, შესაბამისად, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში უტოპიაა, უახლოეს წლებში საქართველოს ნაკრები კიდევ უფრო სუსტი გუნდი იქნება, თუ ბავშვთა ფეხბურთს მიეხედა, ეროვნულ გუნდს შედეგი მხოლოდ პატარა თაობის გაზრდის შემდეგ ექნება.

ბუნებრივია, არანაკლებ საჭიროა მწვრთნელთა განათლებაზე ზრუნვა. გვყავს არაერთი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებსაც სწავლა სწყურიათ. მათი ხელშეწყობის შემთხვევაში, რამდენიმე წელიწადში საქართველოს ძლიერ ნაკრებს ძლიერი ქართველი მწვრთნელი ეყოლება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, თურმე, დიდ ნოდარ ახალკაცს სომხეთისა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციები მათი ეროვნული ნაკრების გაწვრთნის სანაცვლოდ სოლიდურ გასამრჯელოს სთავაზობდნენ. ცხონებულს მათთვის უთქვამს, ამ საქმისთვის მე არ გამოგადგებით, თქვენ ფეხბურთზე თქვენიანმა უნდა იზრუნოს, მე კი ქართულ ფეხბურთს უნდა მივხედოო. ნოდარ ახალკაცი ჩემთვის მწვრთნელისა და პიროვნების ეტალონი იყო, მის აზრს სავსებით ვიზიარებ, შესანიშნავი მწვრთნელია კლაუს ტოპმიოლერი, მაგრამ მოვა დრო და იგი წავა, ქართულ საქმეს კი მხოლოდ ქართველი გააკეთებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ქომაგთა ლიგა გურიაში

ყრილობის გამოძახილი

გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის სკანდალურ ყრილობას სკანდალური გაგრძელება მოჰყვა. სფფ-მ გრფფ-ს უფლებამოსილება შეუჩერა, თუმცა ლანჩხუთის დასჯა მარტო ამით არ შემოფარგლულა. მართალია, „ჯეტიქს კიდსის" თასის გათამაშებას ფეხბურთის ფედერაცია არ ატარებს, მაგრამ აღნიშნული ტურნირიდან პატარა ლანჩხუთელების ამოგდებას ბევრი სწორედ ზემოხსენებულ სკანდალურ ყრილობას უკავშირებს. ლანჩხუთში ფიქრობენ, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკურ-საფეხბურთო შურისძიების სუნი უდის. გუშინ ლანჩხუთს საგანგებოდ ეწვია ქომაგთა ლიგის წარმომადგენლობა ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ პეტრიაშვილის ხელმძღვანელობით. მათი განცხადებით, ჩამოსვლის მიზანი ის ბინძური კამპანიაა, რომელსაც ბოლო პერიოდში ადგილი აქვს ლანჩხუთის წინააღმდეგ და ამ ინტრიგებს ბავშვების ინტერესი შეწირა. „ეს იმიტომ მოხდა, რომ გურია მხარს გიორგი ნემსაძეს უჭერს. ამის გამო ნოდარ ახალკაცმა რეგიონს გვერდი აურა და საჭიროდ არ ჩათვალა აქ ჩამოსვლა. ეს არის დანაშაული ქართული ფეხბურთის წინააღმდეგ. ჩვენ გავიგეთ გურულთა გაჭირვება, „გურიას" ფორმა არ აქვს, პატარა ბიჭებს ბურთები და ფედერაცია ამაზე სულაც არ წუხს. ამიტომ ჩვენ მცირედი დახმარება გავუწიეთ გურულებს" - განაცხადეს „ევგრაფ შევარდნაძეზე" მისულმა „ქომაგთა ლიგის" წარმომადგენლებმა.

„ჩვენი გოგონები ერთხელ გამარჯვებულები იყვნენ და პარიზში ფინალურ ეტაპზე იასპარეზეს, შარშან კი ცოტა დააკლდათ, ფინალში წააგეს. წელს ძალიან კარგი გუნდი გვყავდა. ეს კარგად იცოდნენ ოზურგეთში. ეს ფეხბურთია და ვერ ვიტყვით, რომ აუცილებლად მოვიგებდით, მაგრამ ამის დიდი შანსი გვქონდა. მარტო სიძლიერის გამო არ დავუჩაგრივართ, ეს იმ ყრილობასაც უკავშირდება, რომელშიც ლანჩხუთი ასი პროცენტით მართალია. ვთქვათ დიდებმა დააშავეს, ბავშვებს რას ერჩიან? რაც ტელევიზიით რეკლამა გავიდა, მას შემდეგ ემზადებოდნენ, გული ატკინეს. რად უნდათ ასეთი არჩევნები და საერთოდ, ფეხბურთი, თუ ჩანასახშივე მოვსპობთ ყველაფერს" - აცხადებენ მწვრთნელები და მშობლები.

„ძალიან გვინდოდა თამაში, მაგრამ არ დაგვიშვეს. გურია-აჭარის ზონაში ვასპარეზობთ და 5 წელია, სულ 2 თამაში გვაქვს წაგებული. ერთი „ბენდელაზე" პენალტებით 35-ე სკოლასთან და მეორე „ოლიმპთან" - 4:1-ს ვუგებდით, მაგრამ ბოლო წუთებში წავაგეთ. მას შემდეგ მოვუმატეთ და ნამდვილად გვინდოდა, ტურნირი მოგვეგო. თუ უნდათ გამარჯვებულთან გაგვაჯიბრონ. იმას კი არ ვიტყვით, რომ უეჭველად მოვიგებთ, მაგრამ ჩვენსას აუცილებლად დავამტკიცებთ" - ეს პატარა მობურთალის, **ვანო ნილოსანის** ნათქვამია.

შეხვედრის ბოლოს „ლელო" ზურაბ პეტრიაშვილს გაესაუბრა.

- გავიგე ის ბინძური კამპანია, რასაც ადგილი აქვს ლანჩხუთის წინააღმდეგ. პირდაპირ გეტყვით, ეს ქალაქი დაჩაგრეს და ეს არ არის მარტო მათი სიძლიერის ბრალი - ეს იმის ბრალია, რომ გურიამ პირდაპირ და ღიად დააფიქსირა გიორგი ნემსაძისადმი მხარდაჭერა. მე ისეთ დროს დამეხმარა „გურია", რომ არ შეიძლებოდა დღეს ასეთ მძიმე დროს მათ გვერდით არ დავმდგარიყავი.

- რას გულისხმობთ?

- 1990 წლის მოვლენებს, რაზეც ბევრი დაიწერა - „გურიის" ისტორიულმა სიტყვამ, როცა ეროვნული ჩემპიონატის გამართვას დაეთანხმა, მაშინ გადამწყვეტი როლი შეასრულა. ასეთი გუნდი არ უნდა გაწირო, თუნდაც მხარს არ გიჭერდეს. „გურიამ" ისტორია შექმნა და მას ყველამ პატივი უნდა სცეს. ჩვენი ჩამოსვლის მიზანიც სწორედ ეს იყო.

- თქვენც ხომ გიორგი ნემსაძეს უჭერთ მხარს...

- დიახ და არა მარტო იმიტომ, რომ კარგი ბიჭია. ჯერ ერთი, რომ მართლაც კარგი ბიჭია, ნამდვილი ქართველი. ეროვნული გუნდის კაპიტანი იყო. ვინ არის ნოდარ ახალკაცი? მწვრთნელის შვილი. ასე მეც ვიყავი ზეინკლის შვილი, მაგრამ დაზგასთან ვიმუშავებ? ახალკაცს აქვს რამდენიმე სიტყვა, რომლითაც ხალხის გაბრუებას ცდილობს - ნოვაცია, პრესტიჟი, პრიორიტეტი და ა. შ. და ამ დროს ქართული ფეხბურთი კვდება.

- თქვენ თუ არ ვცდები კლაუს ტოპმიოლერის წინააღმდეგიც ხართ...

- დიახ, გამოდის და გვიყვება, პერსპექტივა გაქვთო. ხვალ ამას სხვას ეტყვის. ფარერებს ყველა უგებს და ამას ოთხმილიონიანი მწვრთნელი არ სჭირდება. ძალიან მომწონს მიხეილ სააკაშვილის სიტყვები: ქართველების მთავარი კოზირი ნიჭიერებაა. სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ, თუ გვინდა, რომ ქართული ფეხბურთი წინ გავიდეს. როცა ეროვნულ ჩემპიონატზე ვფიქრობდით, მაშინ გიუები ვეგონეთ. ოცნება მქონდა, საქართველოსა და იტალიის ნაკრებებს ეთამაშათ. სიმართლე გითხრა, ასე მალე თუ ამიხდებოდა, არ მეგონა. ახლა ვოცნებობ, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონი გავხდეთ. იქნებ მე ვერ მოვესწრო, მაგრამ თუ ქართველ კაცს ეს მიზნები არ ექნება, მაშინ ასეთი ფეხბურთი მე არ მინდა.

მამუკა ქანთარია
ლანჩხუთიდან

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

ქეცბაიას ბოლო მატჩი

საფეხბურთო კვიპროსი 12 მაისის თასის ფინალით ცოცხლობს, რომელშიც **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი" "ომონიას" შეხვდება. გუშინ ორივე კლუბის ხელმძღვანელობას ნიქოზიის მთავრობის და პოლიციის წარმომადგენლებთან ჰქონდა შეხვედრა - თასის ფინალის ორგანიზაციულ მხარეზე ისაუბრეს.

კვიპროსში ეროვნული ჩემპიონატი უკვე დასრულდა, თემურის გუნდმა 50 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში "ანორთოსისმა" შინ 1:0 მოუგო აელს. ამ შეხვედრაში თემურ ქეცბაია კარიერაში ბოლოჯერ გამოვიდა მოედანზე ფეხბურთელის რანგში. მატჩის 81-ე წუთზე 14-ნომრიანი მაისურით ქეცბაია მინდორზე შევიდა, ტრიბუნებიდან ოვაცია არ შეწყვეტილა მატჩის ბოლომდე, თემურს კი ხელი მეტოქე გუნდის უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა ჩამოართვა. **კლიმენტი წიტაიშვილის** აეკი "აპოლონს" ესტუმრა და დაუზავდა - 1:1. ქართველ ფორვარდს არ უთამაშია. ბოლო ტურში **ლევან ქებაძის** "ახნასმა" ჩემპიონ აპოელს მოუგო - 3:1. ლევანმა შეუცვლელად ითამაშა, 27-ე წუთზე პოიაცისმა ანგარიში ქებაძის პასით გახსნა. "ახნასმა" სეზონი 34 ქულით მეხუთე ადგილზე დაასრულა. გავარდა "აია ნაპა", რომელშიც ირიცხებოდა **კონსტანტინე დარსანია**. "ანორთოსისი" უეფას თასზე ითამაშებს, "ახნასი" და აეკი კი უევროპოდ დარჩნენ.

"სკონტოს" ქართველმა მცველებმა **დავით გამეზარდაშვილმა** და **ზაალ ელიავამ** შეუცვლელად ითამაშეს, ელიავამ 34-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. ჩემპიონი "ვენტსპილსი" სტუმრად "მეტალურგსთან" 0:2 დამარცხდა, **ზურაბ მენთეშაშვილი** 37-ე წუთზე მისიკოვსის ნაცვლად შევიდა, "ვენტსპილსმა" მეორე ტაიმში ორი გოლი გაუშვა. ვირსლიგაში "ვენტსპილსი" და "სკონტო" 7-7 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილზე იმყოფებიან.

ავსტრიაში წააგეს

ავსტრიის რანგით მეორე ლიგაში 29 ტურია გამართული, 12-გუნდიან ჩემპიონატში **მირზა ბუალავას** ლუშტენაუს "აუსტრია" 41 ქულით მეოთხე ადგილზეა, ხოლო **გივი ჩხეტიანის** "ჰარტბერგს" 25 ქულით ბოლო ადგილი უჭირავს. "აუსტრია" "გრატკორნს" ეწვია და 2:4 დამარცხდა. მირზამ შეუცვლელად ითამაშა. "ჰარტბერგი" სტუმრად "ადმირა ვაკერთან" დამარცხდა - 0:3. გივი ჩხეტიანმა 90 წუთი ითამაშა. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურილა დარჩა. პოლონეთში მოიგო ხოჟუვის "რუხმა", შინ ლომჟას ლკს 1:0 დაამარცხა, თუმცა **მამია ჯიქიას** არ უთამაშია. "რუხი" 55 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

კრიზისი გრძელდება

ლატვიაში მეექვსე ტურის მატჩები გაიმართა, რიგის "სკონტომ" "იურმალას" უმასპინძლა და დაუზავდა - 2:2.

ხუბუტიას პირველი გამარჯვება

ლიტვის A ლიგაში მერვე ტურის მატჩები გაიმართა. ჩემპიონი "კაუნასი" "ეკრანასს" 1:1 დაუზავდა, **გივი კვარაცხელიას** გუნდი, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა, ბოლო წუთებზე გადაურჩა მარცხს. **ნუკრი მანჩხავა** სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდა. პირველი მოგება იზეიმა **აკაკი ხუბუტიას** "შილიუტემ", რომელმაც სტუმრად "ატლანტასი" დაამარცხა - 2:0. კლაიპედაში ქართველმა შეუცვლელად ითამაშა. "კაუნასი" 16 ქულით მესამე ადგილზეა, "შილიუტე" მერვე ადგილზეა 5 ქულით.

ცხრილის შუაში

ბელარუსში მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა, ამ ქვეყანაში სამი ქართველი ლეგიონერი თამაშობს. **სულიკო კაკაბაძის** "სმორგონი" "ვიტებსკს" დაუზავდა - 1:1. ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა. **რომან გოგინაშვილმა** 65-ე წუთამდე ითამაშა "ბრესტის" საგარეო მატჩში "მინსკის" წინააღმდეგ - 0:0. მოგილევში "დნეპრი" "დარიდასთან" 0:1 დამარცხდა, მასპინძელთა რიგებში **ალექსანდრე შუბლაძეს** არ უთამაშია. "დნეპრს", "ბრესტსა" და "სმორგონს" 5-5 ქულა აქვთ.

სათასო ზღაპარი დასრულდა

პაატა ჯინჭარაძის ბრიანსკის "დინამომ" რუსეთის თასის ნახევარფინალში დაასრულა ასპარეზობა. საპასუხო მატჩში "დინამო" სტუმრად 0:1 დამარცხდა "მოსკვასთან", რადგან პირველი მატჩი 1:1 დასრულდა, ფინალში "მოსკვა" გავიდა. ქართველმა ნახევარმცველმა პირველ მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო და საპასუხო მატჩში არ უთამაშია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერვიუ კახა ალადაშვილთან

ქართველებმა კიევიდან წასვლა გადაწყვიტეს

უკრაინული მედია ერთმანეთის მიყოლებით კიევის "დინამოს" სატრანსფერო პოლიტიკას უწუნებს. ბოლო სამი თვის განმავლობაში განსაკუთრებით გახშირდა თავდასხმები იმ ლეგიონერებზე, რომლებიც ბოლო წლებში შეიძინეს და ძირითადში ვერ ხვდებიან. მათ შორის ქართველებს - ამისულაშვილს, მარცვალაძეს, ალადაშვილსა და იმედაშვილს - განსაკუთრებული ადგილი უკავიათ.

თუმცა სანამ უკრაინელები ამაზე ფიქრობენ, ქართველთა სამეულს წამოსვლა გადაუწყვეტია. როგორც იცით, ამჟამად კიევის "დინამოში" სამი ჩვენებურია და სამივე მხოლოდ სათადარიგოებში თამაშობს. ბუნებრივია, მათ დღევანდელი მდგომარეობა არ აკმაყოფილებთ, რადგან ალადაშვილი, იმედაშვილი და მარცვალაძე ეროვნულ ნაკრებში ნათამაშები ფეხბურთელები არიან. დუბლებიდან ძირითადში მათ გადაყვანას საშველი არ დაადგა და აქედან გამომდინარე, სამეული ნაკრებსაც ჩამოსცილდა. გუშინ კახა ალადაშვილს დავუკავშირდით, რომელსაც გულისტკივილის დამალვა არც უცდია.

ალადაშვილი (6) საფრანგეთთან მატჩში

- კახა, კიევის "დინამოში" იმედებით დაბრუნდი, მაგრამ დღემდე, მხოლოდ ორი-სამი თამაში ჩაატარე და ისიც შეცვლაზე.

- კიეველებმა დუბლებში ჩამტოვეს და ამას ძალიან განვიცდი. სასიკეთოც არაფერი ხდება.

- ალბათ, ჯერ ძირითადისთვის მომზადებულად არ გთვლიან.

- მე არ ვიცი, ვინ რას თვლის. თავად კარგად ვგრძნობ თავს. ეს ამათ სჭირთ რაღაცა. ეტყობა, ზანგი უნდა ვიყო, რომ მათამაშონ.

- რაღა აზრი აქვს მაშინ "დინამოში" დარჩენას?

- არანაირი და ამიტომაც გადავწყვიტე - ზაფხულში გუნდს აუცილებლად დავტოვებ. არ ვიცი, რომელი გუნდები დაინტერესდებიან, მაგრამ მამუკა ჯულელი მიმყოფოს ღმერთმა კარგად, საინტერესო ვარიანტს აუცილებლად გამოჩხრიკავს.

- ზამთარში კიევის "არსენალი" და ნალჩიკის "სპარტაკი" მართლა გინვევდნენ?

- კი, ასე იყო.

- მერე კიევში დაბრუნებას რომელიმეში გადასვლა არ გერჩივნა?

- მე ვინ მკითხა? "დინამომ" დაბრუნება კატეგორიულად მომთხოვა, თორემ გული არც მიმიწევდა. გუნდში 40-50 მოთამაშეა, უდიდესი კონკურენციაა და სათუო თამაშს იქ წასვლა ბევრად მერჩივნა, სადაც მწვრთნელი ნდობით მომეკიდებოდა და დამაყენებდა.

არადა, თავიდან, არც აქ მქონდა ცუდად საქმე, ორჯერ შეცვლაზე მათამაშეს და ძირითადში მოხვედრის იმედიც გამიჩნდა. თუმცა ახლა ყველაფერს კარგად მივხვდი - "დინამოს" დროზე უნდა გავასწრო.

- მარცვალაძე და იმედაშვილი რას აპირებენ?

- სამივეს "დინამოდან" წასვლა გვსურს. ნუ იქნება კიევის "დინამოს" დონის, მთავარია, ვითამაშოთ. დარწმუნებული ვარ, სხვა უკრაინულ გუნდში უპრობლემოდ მოვხვდები და ეს პრობლემა აღარ შემაწუხებს.

- უკრაინული პრესა "დინამოს" ხელმძღვანელებს ხშირად აკრიტიკებს, თუ არ გჭირდებოდათ, ქართველები რატომ აიყვანეთო. ეს თქვენზე ცუდად არ მოქმედებს?

- ეს ნაკლებად მადარდებს. ისიც გვკითხეს, დემეტრაძის გამო ხომ არ გაიწიროებენო. ეს არაფერ შუაშია. თვითონ კიევის "დინამოშია" არეული ვითარება, რაღაცის შეცვლას აპირებენ და ჯერ არ ციან რა მიმართულებით წავიდნენ.

ბოლოს და ბოლოს, კიევის "დინამოში" არ დამიწყია კარიერა და სადმე გადავალ. არც მე, არც ოთარს და არც დათოს პრობლემა არ შეგვექმნება. ამისულაშვილსაც არ მისცეს შანსი და ახლა რუსეთში როგორც თამაშობს, ყველამ იცის.

- აშკარად გეტყობა, გულნატკენი ჩანხარ.

- გულნატკენი? უბრალოდ, უსამართლო გუნდია. სულ იმას იმეორებენ, დაცვის მარჯვენა ფლანგზე სერიოზული პრობლემა გვაქვსო. დუბლებში ყოველთვის მაღალ შეფასებას ვიღებ, მაგრამ ძირითადში შანსი ერთხელაც არ მოუციათ. ზემოთ ვახსენე, დიდი კონკურენცია არისო. ვხედავ, რომ არც ერთ კონკურენტზე ნაკლები არ ვარ, მხოლოდ თამაში, გამხნევება მჭირდებოდა და გუნდს იოლად შევეწყობოდი.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩართე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეკულაციები

სვენს კიევში უხმეს

დინამომ ინფორმაცია ორაზროვნად უარყო...

ორშაბათს უკრაინულმა სააგენტოებმა კიევის "დინამოში" **სვენ გორან ერიქსონის** დანიშვნა იწინასწარმეტყველეს. სამშაბათს დინამოელთა პრესსამსახურმა სპეკულაციები კატეგორიულად უარყო, მაგრამ ამ ამბავს მაინც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ანონიმური წყარო იუწყებოდა, რომ 12 მაისს მოლაპარაკებების დასკვნითი რაუნდი უნდა შემდგარიყო. მისი დასრულებისთანავე ახალი მწვრთნელი გულშემატკივრების წინაშე წარდგებოდა. "დინამოს" განცხადება ორაზროვანი აღმოჩნდა. მასში ეწერა, რომ ცნობებს ერიქსონთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე არავითარი საფუძველი არ გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ უკრაინული მედიის გარდა, სვენისა და კიევის "დინამოს" თემა "დეილი მირორმაც" აიტაცა.

ამ ეტაპზე დინამოელთა დამრიგებელი **ანატოლი დემიანენკოა**. მის ნაცვლად ავტორიტეტული უცხოელი სპეციალისტის მიწვევა ჯერ კიდევ შემოდგომაზე გადაწყდა. კიეველებმა ჩემპიონთა ლიგაში ფიასკო იწვნიეს. "სტიაუასთან", "ლიონსა" და "რეალთან" დამარცხებებმა დემიანენკოს პოზიციები საგრძნობლად შეარყია. განიხილებოდა **ოტმარ ჰიტცფელდის** კანდიდატურა, მაგრამ გენერალმა "ბაიერნში" დაბრუნება არჩია. ერიქსონთან დაკავშირებული სპეკულაციები ემთხვევა შვედი სპეციალისტის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მომავალი სეზონიდან საკლუბო ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს.

თუ მას კონტრაქტს გაუფორმებენ, უკრაინა მეხუთე ქვეყანა გახდება სვენის სამწვრთნელო კარიერაში. აქამდე მას შვედეთში, პორტუგალიაში, იტალიასა და ინგლისში უმუშავია. ერიქსონის საკლუბო მიღწევებიდან აღსანიშნავია "გიოტებორგთან" ერთად მოპოვებული უეფას თასი 1982 წელს, "ბენფიკაში" მოგებული ორი საჩემპიონო ტიტული 1983 და 1984 წლებში, "რომაში" 1986 წელს მოპოვებული იტალიის თასი, იმავე "ბენფიკის" 1990 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში გაყვანა და 1991 წლის მესამე საჩემპიონო ტიტული, 1994 წელს "სამპდორიაში" მოგებული იტალიის თასი და ყველაზე დიდი წარმატებები "ლაციოში", რომელსაც 1997 წელს "ბლექბერთან" წინასწარი კონტრაქტის გაუქმების ხარჯზე მიაშურა. სვენმა და "ლაციომ" 1998 და 2000 წლებში იტალიის თასი დაისაკუთრეს, 1999 წელს - თასების თასი, ხოლო 2000 წელს - სკუდეტო. 2001 წლის იანვარში ერიქსონი ინგლისის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. ვნახოთ, გახდება თუ არა კიევი მისი მორიგი ნავსაყუდელი.

სვენ გორან ერიქსონი

ინფორმაციული

ჩარლტონი უოტფორდს გაპყვა

დარჩენილი ერთი საგზური ვესტ ჰემს ან ვიგანს შეხვდება...

"ჩარლტონი" პრემიერლიგას გამოეთხოვა. ორშაბათს **ალან პერდიუს** შეგირდებმა "ტოტენჰემთან" დერბიში ორი უპასუხო გოლი გაუშვეს. **დიმიტარ ბერბატოვმა** მეშვიდე წუთზე გახსნა ანგარიში. მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე მეორე გოლი ამ კლუბის ყოფილმა თავდამსხმელმა **ჯერმეინ დეფომ** შეაგდო. მის გამოჩენას მაყურებელი გამაყრუებელი სტვენით შეხვდა, მაგრამ სტვენამ საქმეს არ უშველა. ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე "ჩარლტონი" "ვესტ ჰემს" ხუთი ქულით ჩამორჩა. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი სეზონიდან "ველი პარკის" ბინადრები მეორე დივიზიონში ითამაშებენ. ამ მატჩს კიდევ ერთი ლონდონური კლუბი, "ფულჰემი" ადევნებდა თვალს. "ჩარლტონის" გავარდნა "ფულჰემის" გადარჩენას ნიშნავს. **მოჰამედ ალ ფაიედს** შეუძლია, შვებით ამოისუნთქოს. ბოლო ტურში ქვედა დივიზიონის დარჩენილი ერთი საგზური "ვესტ ჰემს" ან "ვიგანს" შეხვდება. "ჩაქუჩები" ჩემპიონ "მანჩესტერ იუნაიტედს" ესტუმრებიან, ხოლო ვიგანელები შეფილდში ჩავლენ. "ვიგანს" ბურთების ოდნავ უკეთესი ბალანსი აქვს, მაგრამ "ვესტ ჰემისაგან" სამი ქულა ჰყოფს. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩება, თუ მოიგებს, კუნკურენტები კი დამარცხდებიან. ლონდონელებისათვის თავის ქუდში გასაყოფად ერთი ქულაც საკმარისია.

ჩარლტონელებს არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, აპირებენ თუ არა მწვრთნელის შეცვლას. პერდიუ, რომელმაც კლუბი უკვე გასავარდნ ზონაში ყოფნისას ჩაიბარა, ალბათ დარჩება. გუშინდელი ინფორმაციით, გავარდნილი კოლექტივი, შეიძლება, 50 მილიონ გირვანქად გაიყიდოს. მისი შეძენა აღმოსავლეთევროპულ კონსორციუმს სურს, რომელიც ცოტა ხნის წინ "ლივერპულზე" აცხადებდა პრეტენზიას.



ალან პერდიუ

ტიერი ანრი

არსენალი. ტრანსფერები

ისევ ბარსა და ისევ ანრი

ჟილბერტოს იუვენტუსი მოუნდა, ვენგერს მორიგი ჰოლანდიელი თავდამსმელი...

"ბარსელონამ" **ტიერი ანრის** ისევ შესთავაზა კონტრაქტი. ესპანური სააგენტოების ცნობით, პირობები იგივეა, რაც ერთი წლის წინ. გასულ ზაფხულს ფრანგ თავდამსხმელს "კამპ ნოუზე" ელოდნენ. მან კი კატალონიელები უარით გაისტუმრა. ანრის არაერთხელ უთქვამს, რომ ლონდონიდან აბარგებას არ აპირებს. მაგრამ იმ განცხადების შემდეგ "არსენალში" ბევრი რამ შეიცვალა. გუნდი დატოვა აღმასრულებელმა დირექტორმა **დევიდ დინმა**. გავლენიანი მოხელე **არსენ ვენგერის** უმთავრეს მოკავშირედ ითვლებოდა. მის წასვლას სპეკულაციების ტალღა მოჰყვა. გუნდიდან აბარგება უწინასწარმეტყველეს თვით ვენგერსაც. "ბარსელონის" ფრანგი ნახევარმცველი **ლუდოვიკ ჟიული** ცეცხლზე ნავთს ასხამს. ის ამბობს, რომ ანრის ესპანეთში წასვლა სურს. "არსენალის" ვარსკვლავს ამ თემაზე ახალი კომენტარი არ გაუკეთებია.

"მეთოფეების" კიდევ ერთი ლიდერი **ჟილბერტო სილვა** "იუვენტუსის" წინადადებაზე ფიქრობს. "დეილი მეილის" ცნობით, "არსენალის" ვიცე-კაპიტანს კონტრაქტში ორ წელი აქვს დარჩენილი. მას კვირაში 40 ათას გირვანქას უხდიან. ტურინელები ბრაზილიელს ამ თანხის შენარჩუნებას და ოთხწლიან ხელშეკრულებას სთავაზობენ. ფეხბურთელი გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს. აქვე გეტყვით, რომ "არსენალმა" თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზა ტოგოელ თავდამსხმელ **ემანუელ ადებაიორს**. მოლაპარაკებების დეტალები უცნობია.

"მირორი" გვაუწყებს, რომ ლონდონელებს აიაქსელი **რაიან ბაბელის** შეძენა სურთ. 20 წლის თავდამსხმელმა ამსტერდამელებთან ახალი კონტრაქტი თებერვალში გააფორმა. შეთანხმებაში ჩადებულია პუნქტი, რომელიც მის გაყიდვას ითვალიწინებს. "მირორის" მტკიცებით, ტრანსფერისათვის 6 მილიონი გირვანქა საკმარისი იქნება. იმასაც შეგახსენებთ, რომ "არსენალს" უკვე ჰყავს ერთი ჰოლანდიელი თავდამსხმელი, **რობინ ვან პერსი**, რომელსაც ტრავმის გამო სეზონის უმეტესი ნაწილი გაუცდა.

მანჩესტერ იუნაიტედი

ფერგის 50 მილიონი

ჰარგრივსი უმთავრესი სამიზნეა, ეშმაკებს აზიური ტურნე ეშლებათ...

"მანჩესტერ იუნაიტედი" შემადგენლობის გასაძლიერებლად 50 მილიონ გირვანქას დახარჯავს. **გლეიზერების** ოჯახმა **სერ ალექს ფერგიუსონს** ფინანსური გარანტიები უკვე წარუდგინა. "მირორის" ცნობით, ამ ფულით ბაიერნელ **ოუენ ჰარგრივსს**, ატლეტიკოელ **ფერნანდო ტორესს**, საუთჰემპტონელ **გარეთ ბეილისა** და სპორტინგელ **ნანის** შეძენას ეცდებიან. განიხილება ტოტენჰემელი **დიმიტარ ბერბატოვისა** და რედინგელი **სტივ სიდველის** ტრანსფერებიც.

ბულგარელი თავდამსხმელი 10 მილიონი გირვანქა ღირს. ფერგი თანხის ნაწილს **ლუის საათი** დაფარავს. რაც შეეხება სიდველს, 24 წლის ნახევარმცველს "რედინგთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. "ეშმაკების" გარდა, მისი ხელში ჩაგდება "არისტოკრატებსაც" სურთ. ორი კვირის წინ "ჩელსიმ" ფეხბურთელს ოთხწლიანი კონტრაქტი და კვირაში 50 ათასი გირვანქა შესთავაზა. მანჩესტერული დერბის წინ ინგლისურმა სააგენტოებმა "სიტის" ახალგაზრდა მცველი **მიკა რიჩარდსაც** "იუნაიტედში" გადასვლა უწინასწარმეტყველეს. 18 წლის ყმაწვილს "არსენალი" და "ტოტენჰემი" უთვალთვალებენ. მანჩესტერელებს მისი გაყიდვა არ სურთ და არარეულურად მაღალ ფასს, 20 მილიონ გირვანქას ითხოვენ.

ახალი ინფორმაცია მოვიდა მიუნხენიდანაც. ბავარიელები ჰარგრივსს სიამოვნებით გაყიდიან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 30 მილიონ ევროს მიუთვლიან. "იუნაიტედი" ამხელა თანხის გადახდას არ აპირებს, მაგრამ შეთანხმების იმედსაც არ კარგავს. ამ საკითხზე ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

"იუნაიტედზე" საუბარს მალაიზიიდან მიღებული ინფორმაციით დავასრულებთ. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ აზიური კონფედერაციის ზეწოლას ვერ გაუძლო და "მანჩესტერს" ივლისში დაგეგმილი ვიზიტის გადადება სთხოვა. 7-29 ივლისს "ეშმაკები" გრანდიოზულ აზიურ ტურნეს გეგმავენ. ისინი ინდონეზიაში, ტაილანდში, ვიეტნამსა და მალაიზიაში აპირებენ ჩასვლას. ივლისში მალაიზიამ აზიის საფეხბურთო ჩემპიონატსაც უნდა უმასპინძლოს. "ეშმაკების" სტუმრობა კი ტურნირის მიმართ ინტერესის გაქრობას მოასნავებს. მალაიზიელთა გადაწყვეტილებამ ფინანსურად მომგებიანი პროექტი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. "მანჩესტერი" აზიაში მაინც გაემგზავრება. 17 ივლისს იაპონიის ქალაქ ურავაში, ადგილობრივ "რედ დაიმონდსთან" ამხანაგური მატჩია დაგეგმილი. იქიდან "ეშმაკები" კორეაში ჩავლენ და "ფკ- სეულს" შეხვდებიან.



სერ ალექს ფერგიუსონი

შევჩენკო შვებულებას ილებს

დღეს **ანდრეი შევჩენკოს** საზარდულის ოპერაციას გაუკეთებენ. უკრაინელ თავდამსხმელს "მანჩესტერ იუნაიტედთან" ორივე მატჩი გაუცდება. დღევანდელი შეხვედრა ყოველგვარ პრინციპულ მნიშვნელობასაა მოკლებული. სამაგიეროდ, "არისტოკრატებისათვის" დიდი ფასი აქვს 16 მაისის სათასო ფინალს. შევას ოპერაცია სეზონის ბოლოს იგეგმებოდა, მაგრამ საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგად, მისი ნაადრევად ჩატარება გადაწყდა. ტრავმის გამო საეჭვოა შევას ასპარეზობა საფრანგეთი-უკრაინის შესარჩევ მატჩში, რომელიც 2 ივნისს პარიზში გაიმართება. უკრაინელთა თავკაცმა **ოლეგ ბლოხინმა** თქვა, რომ ანდრეის სახით, მის გუნდს დიდი ძალა დააკლდება, მაგრამ რადგან ოპერაცია გარდაუვალი იყო, გუნდი სასურველი შედეგის მიღწევას კაპიტნის გარეშეც შეეცდება.

ბოლი პასუხს აგებს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა "მანჩესტერ სიტის" მცველ **მაიკლ ბოლს**, რომელმაც მანჩესტერულ დერბიში "იუნაიტედის" ვარსკვლავ **კრისტიანო რონალდოს** მუცელში წიხლი ჩაჰაზილა. არბიტრმა **რობ სტაილზმა** ინციდენტი ვერ დაინახა. შესაბამისად, ხულიგანი ფეხბურთელისათვის ყვითელი ბარათიც კი არ უჩვენებია. სადისციპლინო კომისიამ ეპიზოდი ვიდეოჩანაწერით გაარჩია და დაასკვნა, რომ ბოლის უხეწობა მეტოქის დაშავებას ისახავდა მიზნად. სხვათა შორის, მაიკლმა მეორე ეპიზოდშიც შესცოდა. იმავე რონალდოსთან უხეშობისათვის "სიტის" კარში პენალტი დაინიშნა და ამ პენალტს გამარჯვების გოლი მოჰყვა.

დუდეკის ბოლო მატჩი ენფილდზე

კვირას "ლივერპული" "ჩარლტონს" უმასპინძლებს. მერსისაიდელების კარს **იერუი დუდეკი** დაიცავს. ეს მისი უკანასკნელი ენფილდური მატჩი იქნება. პოლონელი გოლკიპერი ლივერპულელებს ემშვიდობება და ახალ სამსახურში მოწყობას აპირებს. 34 წლის ფეხბურთელმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ასეთი განცხადება გააკეთა: *"ალბათ, 40 ათასი მადლობა უნდა ვთქვა. მიხარია, რომ მინდორზე გავალ. თამაშის შემდეგ ტრიბუნებთან მივალ, რათა კიდევ ერთხელ მოვუსმინო ფანების სიმღერას."* ლივერპულელებმა გოლკიპერს ახალი კონტრაქტი შესთავაზეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა სათამაშო პრაქტიკის სიმცირის გამო სხვაგან წასვლა არჩია.

შიმბონდა 8 მილიონად ჩელსიში?

"ჩელსიმ" "ტოტენჰემის" ფრანგი მცველის **პასკალ შიმბონდას** ტრანსფერისათვის 8 მილიონი გირვანქა გაამზადა. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" აგრცელებს. **ჟოზე მოურინიოს** შიმბონდა მარჯვენა ფლანგის გასაძლიერებლად სჭირდება. ამ პოზიციაზე მას **პაულუ ფერეირა** ჰყავს. ფეხბურთელი "უაით ჰართ ლეინზე" ორი წლის წინ, "ვიგანიდან" გადავიდა. "მამლებმა" 4.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. მისი რვა მილიონად გასხვისება ფინანსურად მომგებიანი გადაწყვეტილება იქნება. "დეილი მეილი" იმასაც გვაუწყებს, რომ მარჯვენა მცველის ტრანსფერი მოურინიოსა და სპორტული დირექტორის **ფრანკ არნესენის** მორიგი დაპირისპირების მიზეზი, შეიძლება, გახდეს. არნესენი ვალენსიელ **მიგელს** ლობირებს. ჟოზეს კი 28 წლის ტოტენჰემელი ურჩევნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუჩანო სპალეტი

იტალიის თასის ფინალი. რომა vs ინტერი. პირველი მატჩი

სპალეტის ნავსი

მანჩინი: სკუდეტოს თასიც მოუხდება

დღეს იტალიის თასის პირველი ფინალური მატჩი გაიმართება. "რომა" "ინტერს" უმასპინძლებს. ვიდრე წინასათასო ამბებზე ვიტყოდეთ, კარგი იქნება, თუ ცოტა სტატისტიკასაც შევავლებთ თვალს. ბოლო სამი სეზონია, რანგით მეორე იტალიური ჯილდოს ბედს სწორედ "რომა" და "ინტერი" წყვეტენ. პირველი ორი დაპირისპირება "ნერაძურის" გამარჯვებით დასრულდა, თან ისე, რომ დედაქალაქელებს ერთი მატჩიც არ მოუგიათ - 2004/05: რომა-ინტერი 0:2, 0:1; 2005/06: რომა-ინტერი 1:3, 1:1. საგულისხმოა ისიც, რომ "ინტერამდე" (2002/03) "რომას" ფინალი ჰქონდა "მილანთანაც" და ვერც ამ შეხვედრებში ეწია ბედს - 1:4, 2:2. საინტერესოა, როგორი იქნება "ჯალოროსისთვის" რიგით მეოთხე ფინალი ბოლო ოთხ წელიწადში - გატეხავს **ლუჩანო სპალეტი** მილანურ ნავსს?

მას შემდეგ, რაც "რომა" ჩემპიონატში მეორე ადგილს დასჯერდა და ჩემპიონთა ლიგიდან სამარცხვინოდ გავარდა (თუმცა ფლეი ოფში გასვლაც ერთგვარ წარმატებად ჩაითვალა), თასის მოგება, სეზონის მეტ-ნაკლებად მაჟორულ ნოტაზე დასრულებისთვის, ლამის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, და ეს იმის მიუხედავად, რომ სათასო ბატალიები არც იტალიაში ითვლება ავტორიტეტულად. "ჯალოროსი" მზადებას ორშაბათიდანვე შეუდგა. ამ დღეს, გუნდი სპალეტის ასისტენტებმა ავარჯიშეს. ოფლისღვრა ძირითადად რეზერვისტებს მოუწიათ. გუშინ ძირითადმა ჯგუფმაც ივარჯიშა. შესაძლოა, ტრავმების გამო დღეს **მაქს ტონეტომ, როდრიგო ტადეიმ** და **კრისტიან კივუმ** ვერ ითამაშონ.

რა ხდება "ინტერის" ბანაკში? კლუბის ტელეარხთან საუბარში **რობერტო მანჩინიმ** დაარწმუნა ტიფოზები, რომ გუნდი მოტივირებულია და თასისთვისაც მთელი შემართებით იბრძოლებს: *"ვითამაშებთ ისე, როგორც გვჩვევია. ჩვენთვის არ არსებობს მთავარი და მეორეხარისხოვანი ჯილდო. სკუდეტოს თასიც მოუხდება"*.

სავარაუდოდ, მწვრთნელები უძლიერეს შემადგენლობებს დააყენებენ. მატჩის დაწყების დრო კი დისკუსიის საგნად იქცა. იტალიას კატანიური ტრაგედიის ჭრილობები ჯერ არ მოუშუშებია. ამიტომ, მნიშვნელოვანი თამაშების ღამით ჩატარებას კვლავაც ერიდებიან. გადაწყდა, რომ "ოლიმპიკოზე" მატჩი იქაური დროით 18 საათზე დაიწყება. ამაზე სპეციალური განცხადებისა და ახსნა-განმარტების გაკეთება ლიგის პრეზიდენტ **ანტონიო მატარეზეს** მოუწია: *"წლეულს მძიმე ტრაგედია გადავიტანეთ და ყველას უნდა ესმოდეს, რომ ჯერ ისევ საგანგებო რეჟიმში ვმუშაობთ და ვთამაშობთ. იმედია, მომავალ სეზონში ბევრი პრობლემა მოიხსნება. "რომას" მხარეს კი მოვუწოდებ, შეეგუონ არსებულ ვითარებას"*.

რობერტო მანჩინი

"რომას" ხელმძღვანელობას ეს დრო არ აწყობდა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მატჩის უფრო გვიან დაწყება სტადიონზე მეტ მაყურებელს მიიზიდავდა. მაგრამ იმის გამო, რომ "რომა"-"ინტერის" დაპირისპირებები, ტრადიციულად, "მაღალი რისკის" კატეგორიაში შედის, 18 საათი ყველაზე მისაღებ ვარიანტად ჩაითვალა.

იუვენტუსი

დეშამი ქალბატონთან რჩება

ბუფონის საკითხი მოიცდის, ფრინგსი? იუვეს ის ძალიან სჭირდება

"იუვენტუსი" უკვე მომავალი სეზონის კონტურებს ხაზავს. მიმდინარეობს მზადება სატრანსფერო ოპერაციებისთვის. ტიფოზები კი სულსწრაფები არიან. ისინი სერია A-ში დაბრუნებისთანავე სკუდეტოს ითხოვენ. **პაველ ნედვედი** აცხადებს, რომ ეს უტოპიაა, იგივეს ამბობს **დიდიე დეშამიც**. მაგრამ "იუვეს" მწვრთნელს ჯერ სხვა საკითხები აქვს მოსაგვარებელი. ერთი მხრივ, მან უნდა ამტკიცოს, რომ კლუბის სპორტულ დირექტორ **ალესიო სეკოსთან** კონფლიქტი არ აქვს, ხოლო აქედან გამომდინარე, საკუთარ მომავალზეც იფიქროს. ამასწინათ, დეშამმა პრესასთან საუბრის დროს მიანიშნა, რომ კლუბის ზოგიერთ მაღალჩინოსანს მის კვალიფიკაციაში ეჭვი ეპარება. სეკო იძულებული გახდა, სპეციალური განცხადება გაეკეთებინა:

"ჩვენს შორის არანაირი პრობლემა არ არის. კლუბი დეშამის შრომას დადებითად აფასებს და მისი შეცვლის მიზეზს ვერ ხედავს. პირადად მეც, მწვრთნელთან ნორმალური, საქმიანი ურთიერთობა მაქვს. ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი, ვინც "იუვეში" დეშამის მოყვანას ემხრობოდა... და ძალიან მინდა, რომ ის კვლავ ჩვენთან დარჩეს. დიდიე ახალგაზრდაა და იდეების ნაკლებობასაც არ უჩივის. წავიკითხე პრესაში, თითქოს ჩვენს შორის ურთიერთობა ბორდოელი რიო მავუბას გამო დაიძაბა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ ფეხბურთელის ტრანსფერი ჩვენს შორის საერთოდ არ განხილულა".

მოკლედ, სეკო დარწმუნებულია, დეშამი მომავალ სეზონშიც "იუვენტუსის" თავკაცი იქნება. მწვრთნელთან კონტრაქტი კი სეზონის დასრულებისთანავე გაგრძელდება. რაც შეეხება სხვა ტურინულ ამბებს, პირველ რიგში, **ჯანლუიჯი ბუფონის** საკითხია გადასაწყვეტი. მსოფლიოს საუკეთესო მეკარეს არაერთი კლუბი ითხოვს და ეს ბუნებრივიცაა. ასევე გასაგებია ისიც, რომ ბუფონი წასვლაზე ფიქრობდეს. მომავალ სეზონში "იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს, რაც ერთ-ერთი (შეიძლება, მთავარიც) მიზეზია საიმისოდ, რომ ამბიციურმა ჯიჯიმ კლუბის გამოცვლა გადაწყვიტოს. სეკო ჯერჯერობით, მშვიდადაა:

"ჩვენსა და ბუფონს შორის არსებობს შეთანხმება, რომელიც ავალდებულებს ორივე მხარეს, სატრანსფერო თუ საკონტრაქტო საკითხებზე საუბრისგან, ამ ეტაპზე, თავი შევიკავოთ. როგორც კი "იუვე" ოფიციალურად გაიფორმებს სერია A-ს საგზურს, დავსხდებით და მოვილაპარაკებთ. გიჟები უნდა ვიყოთ, რომ ბუფონის შენარჩუნება არ გვინდოდეს. თუმცა საკითხი მაინც დელიკატურია და სპეციალურ მიდგომას საჭიროებს. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ ჯიჯი მომავალ სეზონშიც დაიცავს ჩვენს კარს".

რაც შეეხება სამომავლო ტრანსფერებს, სეკოს არ დაუმალავს, რომ "იუვენტუსი" ფართოდ უღებს კარს გერმანიის ნაკრებისა და "ვერდერის" ნახევარმცველ **ტორსტენ ფრინგსს**. *"საიდუმლო არ არის, რომ ფრინგსის შეძენას ვაპირებთ. ის ბრწყინვალე ნახევარმცველია, სწორედ ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა. მაგრამ ჯერჯერობით, ახალს ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ"...*

მილიტო გადაწყდა, ჟიული?

"ბარსელონის" ნახევარმცველ **ლუდოვიკ ჟიულის** "იუვენტუსში" გადასვლა სურს. ეს ინფორმაცია კატალონიურმა სააგენტოებმა გაავრცელეს. "დიარიო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფრანგმა ნახევარმცველმა განაცხადა, რომ "ბარსასთან" კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს. მას უფრო მეტი მატჩის ჩატარება სურს. მიმდინარე სეზონის უმეტესი ნაწილი კი სკამზე გაატარა. ჟიულის კონტრაქტში წელიწადზე ცოტა მეტია დარჩენილი: *"თუ პრეზიდენტი მეტყვის, რომ საჭირო აღარ ვარ, დღესვე წავალ. იმედია, ასეთივე დონის კლუბი მიმიწვევს."* კითხვაზე, სად ისურვებდა კარიერის გაგრძელებას, ჟიულიმ დაუფიქრებლად მიუგო: *"იუვენტუსში."*

"იუვე" კი, ამასობაში, სარაგოსელ **გაბრიელ მილიტოს** მოურიგდა. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, არგენტინელ მცველს "ბარსელონა" იწვევდა. "ქალბატონმა" იჩქარა და ფეხბურთელის აგენტს სარფიანი გარიგება შესთავაზა. ფინანსური დეტალები უცნობია. იტალიელი მიმმხილველები იუწყებიან, რომ მილიტო პირობებით კმაყოფილია და მოლაპარაკების დაწყება სურს. ფეხბურთელის შემდეგ, "ქალბატონმა" "სარაგოსასთანაც" უნდა გამონახოს საერთო ენა. მას ტრანსფერი ძვირი დაუჯდება. **რობერტო ფაბიან აიალა** მილიტოს არგენტინის ნაკრების მომავალ კაპიტნად მიიჩნევს.

ვალტერ ნოველინო

სამპდორია

ნოველინო: სამპდორიიდან ბოლონიაში?

ვალტერი ვალტერში იცვლება

"სამპდორია" ამ სეზონსაც უღიმღამოდ ამთავრებს. ჩემპიონატის მთავარი ობიექტივი - უეფას თასის საგზური, თითქმის მიუწვდომელია. მე-6 ადგილამდე გენუელებს 6 ქულა აშორებთ. როგორც ჩანს, **ვალტერ ნოველინო** პასუხისმგებლობას გრძნობს და სეზონის დასრულებისთანავე აბარგებას აპირებს. ნოველინო "სამპს" 2002 წლიდან წვრთნის. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაბრუნდა ლიგურიული კლუბი სერია A-ში. წლევანდელი სეზონით, პირველ რიგში, თავად მწვრთნელია უკმაყოფილო, თუმცა მიაჩნია, რომ წამყვან მოთამაშეთა ხშირი ტრავმების თავიდან აცილების შემთხვევაში, რასაც ფორვარდ **ფრანჩესკო ფლაკის** დისკვალიფიკაციაც დაერთო, გუნდს გაცილებით უკეთესი შედეგი ექნებოდა.

"ახლა მხოლოდ ბოლო სამ მატჩზე ვარ ფოკუსირებული. ცხრილში რაც შეიძლება მაღალი პოზიცია უნდა დავიკავოთ. ეს სერიოზული სტიმული იქნება ფეხბურთელებისთვის. საბოლოო ჯამში, სეზონს წარმატებულს მაინც ვერ ვუწოდებთ. შეიძლება, უკეთესი შედეგი გვქონოდა, ისეთი მაღალი დონის ფეხბურთელი რომ გვყავდეს, როგორიც "ნაპოლის" ფორვარდი ემანუელე კალაიოა".

...კალაიოსთან მუშაობა ნოველინოს, შეიძლება, ახალი სეზონიდან მოუწიოს. ვეჭვობთ, რომ "ნაპოლი" მან შეგნებულად ახსენა. საქმე ისაა, რომ ბოლოხანს მას სწორედ "ნაპოლის" მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებენ. ნეაპოლელებმა საამისო სურვილი უკვე გამოთქვეს და, როგორ ჩანს, ნოველინოსაც იტალიის სამხრეთისკენ უჭირავს გეზი. სხვათა შორის, პრესა იმასაც წერს, რომ "სამპდორიის" ფორვარდი **ფაბიო კვალიარელაც** "ნაპოლიში" შეიძლება აღმოჩნდეს. ის სწორედ ნოველინომ წამოიყვანა "ასკოლიდან" და დღეს უკვე იტალიის ნაკრებშიც ხვდება. მწვრთნელის ეს კომენტარიც საყურადღებოა: *"თუ კვალიარელას ტრანსფერს მოაგვარებენ, "ნაპოლისთვის" ეს დიდი საქმე იქნება"*.

ფაქტობრივად, ნოველინომ კარტები გახსნა. ეტყობა, კამპანიელებთან წინასწარი კონტრაქტიც აქვს გაფორმებული. დავამატებთ, რომ გუშინდელი ინფორმაციით, სინიორ ვალტერს "ბოლონიაც" ეპატიჟება. თუმცა ეს გუნდი სერია A-ს გზას ჩამორჩა და საეჭვოა, ნოველინომ კარიერა დაბალ დივიზიონში გააგრძელოს.

"სამპდორიის" პრეზიდენტ **რიკარდო გარონეს** კი მწვრთნელი არ ეთმობა: *"ჩვენ ჩინებული ურთიერთობა გვაქვს და ასე იქნება იმ შემთხვევაშიც, თუკი ნოველინო წასვლას გადაწყვეტს. ყველაფერი მის სურვილზეა დამოკიდებული. კარგად მესმის, რომ ასეთ მწვრთნელზე მოთხოვნა ყოველთვის არის. ის უკვე ხუთი წელიწადია, ჩვენთან მუშაობს. თანამედროვე ფეხბურთში მსგავსი რამ იშვიათობაა"*.

და ვინ შეიძლება შეცვალოს ნოველინო? ყველაზე დიდი ალბათობით, ეს იქნება მისივე სეხნია, "რეჯინის" მწვრთნელი **ვალტერ მაძარი**. ვნახოთ.



მარადონა ტელეეთერის დროს

ლეგენდა

მინდა, დიდხანს ვიცოცხლო...

მარადონა ტელეეთერში გამოჩნდა

მთელი მსოფლიო გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს **დიეგო მარადონას** ჯანმრთელობას. იცით უკვე, "პიბე დორო" საავადმყოფოდან განერეს, თუმცა ექიმებისგან ჯერაც სისტემატურ დაკვირვებას საჭიროებს. მოუსვენარი დიეგო ცდილობს, ნელ-ნელა სრულყოფილ ცხოვრებას დაუბრუნდეს, მაგრამ ცხოვრებას მკაცრი დიეტითა და ალკოჰოლის გარეშე. ის უკვე ტელეეთერშიც გამოჩნდა - არგენტინულ არხ Canal 13-ზე, პროგრამა ShowMatch-ში მიიწვიეს. ინტერვიუს პოპულარული წამყვანი **მარსელო ტინელი** უძღვებოდა.

"ძალიან ცუდად ვიყავი, - იხსენებს დიეგო, - განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. ორნელინდნახევარია, არც ნარკოტიკი მიმიღია და არც ალკოჰოლს გავკარებივარ. ვაღიარებ, ადრე ამის გამო მოვხვდი საავადმყოფოში. ახლა ეს პერიოდი წარსულს ჩავბარე. ეს უკვე მტკიცედ გადავწყვიტე, რადგან მინდა, დიდხანს ვიცოცხლო, მინდა ჩემს შვილებს ვუცქირო და დავტკბე მათი არსებობით. ვიცი, რომ მათ ძალიან ვჭირდები და უფლება არ მაქვს, ამ ქვეყნიდან ნაადრევად წავიდე. სწორედ ისინი მაძლევენ სტიმულს".

ფეხბურთის უგვირგვინო მეფის გულისამაჩუყებელმა სიტყვებმა მთელი არგენტინა შეძრა, ისევე, როგორც ერთი თვის წინათ, როცა გავრცელდა ხმა, მარადონა დაილუპაო. დიეგოს ის დღე ჯერაც ვერ მოუნელებია: *"ვცდილობ, ვიპოვო ის ხალხი, ვისაც ჩემი სიკვდილი უნდა და ასეთ ბინძურ ხმებს მივრცელებს, ვიპოვო, რათა პასუხი ვაგებინო. თვალწინ მიდგას დედაჩემი, რომელმაც, ამის გამო, კინალამ ინფარქტი მიიღო"*.

დიეგომ სამომავლო გეგმებიც გაამხილა. სრულად გამოჯანმრთელების შემდეგ, ის აპირებს, გაემგზავროს იტალიასა და საუდის არაბეთში, სადაც მინი-ფეხბურთის ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას. აპირებს აგრეთვე, ჩავიდეს თავის ნეაპოლში, რათა ძველი და ერთგული ფანები მოინახულოს.

"ნეაპოლში ყოველ მიზეზგარეშე ჩავალ. იქ ჩემი ხალხი მელოდება. ვიცი, რომ ისინი ჩემი გამოჯანმრთელებისთვის ლოცულობდნენ. ახლა კი მე ვლოცულობ იმისთვის, რომ კარგად ვიყო და ოჯახთან ერთად ბევრი ვიმოგზაურო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფაბიო კაპელოსთან

რეალმა საკუთარი სული დაიბრუნა

იტალიელი სპეციალისტი გუნდის თამაშით აღფრთოვანებულია. ის მხოლოდ ჩემპიონობაზე ფიქრობს და კალდერონის ულტიმატუმით შეურაცხყოფილი სულაც არ არის...

გასულ კვირას მადრიდის „რეალმა“ ურთულესი და უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო. მოგეხსენებათ, სამეფო კლუბმა ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი, „სევილია“ დაამარცხა. თამაშის მსვლელობისას მასპინძლებს სერიოზული პრობლემა შეექმათ. საქმე ის არის, რომ ანგარიში ანდალუსიელებმა გახსნეს. სამეფო კლუბს მდგომარეობის გამოსასწორებლად მხოლოდ ერთი ტაიმი რჩებოდა. თითქოს ისინი გადაუჭრელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ, მაგრამ ფაბიო კაპელოს ბიჭებმა შესვენების შემდეგ საოცრად კარგად იასპარეზეს და მონინააღმდეგისგან არაფერი დატოვეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვებაში მთავარი როლი გუტიმ შეასრულა. დედაქალაქელებმა წონასწორობა სწორედ მას შემდეგ აღადგინეს, რაც ხოსე მარია შეცვლაზე შევიდა. რუუდ ვან ნისტელროი მან მეკარესთან ერთი ერთზე დატოვა. მოგვიანებთ კი, გუტიმ რობინიოც პირისპირ გაიყვანა და „რეალი“ დაწინაურდა. ამ ყველაფრის შედეგად ესპანურმა გიგანტმა გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე გადანაცვლება შეძლო. „რეალი“ „ბარსელონის“ უპირველესი კონკურენტი გახდა. თუკი ჯერ კიდევ 1 თვის წინათ კაპელოს კოლექტივს განწირულად მიიჩნევდნენ, დღეს მას პრიმერა დივიზიონის უპირველეს ფავორიტად ასახელებენ. გუშინ „დიარიო ასმა“ სამეფო კლუბის იტალიელ დამრიგებელს ინტერვიუ ჩამოართვა. სინიორ ფაბიო საკუთარი შეგირდების თამაშით აღფრთოვანებული დარჩენილა.

- სენიორ კაპელო, გილოცავთ დიდ გამარჯვებას. როგორ ფიქრობთ, ამ წარმატებას თქვენს მიერ განხორციელებული შეცვლების წყალობით მიაღწიეთ?

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. საქმე ის არის, რომ „რეალმა“ მეორე ტაიმში ფანტასტიკურად ითამაშა. ეს ძალიან დიდი მატჩი იყო. გულშემატკივრებმა ყველაფერი იხილეს. სანახაობა, სპექტაკლი, ბრძოლა, თავდადება, პროფესიონალიზმი. დამეთანხმებით, ძალიან სწრაფად ვითამაშეთ. ჩემი აზრით, გადამწყვეტი როლი სწორედ მაღალმა სისწრაფემ ითამაშა. პირველ ტაიმში დაბნეულები ვიყავით. ზოგჯერ ელემენტარულ სიტუაციაში ვცდებოდით, მაგრამ შესვენების შემდეგ ძალები მოვიკრიბეთ და მართლაც უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. სისინიოსა და რამოსის ფლანგებზე დაყენებით სერიოზული უპირატესობა მოვიპოვეთ. მესამე გოლი ამ ტაქტიკის დამსახურება გახლდათ. ბეედნიერი ვარ, რომ სამეფო კლუბმა მაღალი ხარისხი და შესაშური ფიზიკური ძალა გამოამჟღავნა.

- რაული რატომ შეცვალეთ?

- მას თითქმის მთელი კვირის განმავლობაში არ უვარჯიშია. მიკრო ტრავმის გამო, დატვირთვებს ვერ უძლებდა. გონსალეს ბლანკო მხოლოდ თამაშამდე ერთი დღით ადრე ჩადგა მწყობრში და გადავწყვიტე, ძირითადში დამეყენებინა.

- მისი თამაშით უკმაყოფილო დარჩით?

- არა. ამ მდგომარეობაში მოედანზე გასვლა ნამდვილი გმირობაა. გმირობას კი უკმაყოფილებასთან არაფერი აქვს საერთო. ცხადია, ეს არ იყო რაულის საუკეთესო მატჩი, მაგრამ ვიმეორებ, რომ ჩვენს კაპიტანს მთელი კვირის განმავლობაში ფეხი ტკიოდა.

- ხომ არ ჯობდა, არ გაგერისკათ და რაულის ნაცვლად გუტი თავიდანვე გამოგეყვანათ მოედანზე?

- როგორც ჩანს, არ იცით, რომ გუტისაც ტრავმა აწუხებდა. ის არ იყო მზად იმისთვის, რომ 90 წუთი ეთამაშა. გადავწყვიტე, ხოსე მარია მეორე ტაიმისთვის შემომენახა. როცა გუტი მინდორზე გადის, ყოველთვის სასწაულებს აკეთებს. მადლობა ღმერთს, ამჯერადაც ასე მოხდა. დიდი ფეხბურთელია.

- ამით რისი თქმა გსურთ, გუტი მაშინ უფრო სასარგებლოა, როცა შეცვლაზე შეგყავთ?

- არა, ეს არც მითქვამს და არც მიგულისხმია. სხვადასხვა მიზეზის გამო, ბოლო სამი თამაშია, გუტის მხოლოდ შეცლებზე შესვლა უწევს, მაგრამ ამ სეზონში არაერთხელ გვინახავს, რომ მას ძირითად შემადგენლობაში ვაყენებდი და არ ვცვლიდი. უბრალოდ, ახლა ტრავმის გამო სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს. მსგავს სიტუაციაში მყოფი ფეხბურთელის მოედანზე პირველივე წუთიდან შეშვებას ნებისმიერი მწვრთნელი მოერიდება. გუტიმ იცის, რომ მე მისი ნიჭის უდიდესი დამფასებელი ვარ. შეუძლებელია, ამ ბიჭის კლასი ვინმემ ეჭვ ქვეშ დააყენოს.

- რუუდ ვან ნისტელროის მეორე გოლი რომ არა, ალბათ, ორ ქულას დაკარგავდით. რატომ გაუშვით მეორე ბურთი? ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენმა შეგირდებმა ზეიმი საფინალო სასტვენამდე წამოიწყეს?

- ისინი ბოლო წუთამდე მობილიზებულები იყვნენ. გოლი გაგვიტანეს, მაგრამ ამით საერთო სურათი არ შეცვლილა. იკერ კასილიასმა ცოცხალი კედელი სწორად დააყენა, მაგრამ ერთ-ერთმა ანდალუსიელმა ემერსონს ხელი ჰკრა და კედლიდან გააგდო. სხვათა შორის, ბურთი სწორედ იქ გაძვრა, სადაც ბრაზილიელი უნდა მდგარიყო. წესები აშკარად დირღვა, მაგრამ ეს ფაქტი შეუმჩნეველი დარჩა.

- საკვირაო მატჩში რა არ მოგეწონათ? ხომ არ ყოფილა ისეთი რამ, რის გამოც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაგეუფლათ?

- აბსოლუტურად ყველაფერი მომეწონა და ხმამაღლა ვიტყვი, რომ ჩემი ბიჭების თამაშით აღფრთოვანებული დავრჩი. ფაქტობრივად, სრულყოფილი მატჩი ჩაატარეს. „სევილია“ ტექნიკური და ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, შესანიშნავად გამოიყურება. მერწმუნეთ, ძალიან ძნელია ასეთი გუნდის წინააღმდეგ თამაში და მისთვის მაღალი რიტმის თავს მოხვევა. ჩვენ აბსოლუტურად ყველა სირთულეს გავუძელით. დიდი ხანია, სამეფო კლუბს ასეთი ფეხბურთი არ უჩვენებია. ახლა უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ „რეალმა“ მისთვის დამახასიათებელი სულისკვეთება დაიბრუნა. მოკლედ, გამარჯვებისთვის ყველაფერი გავიღეთ.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ დევიდ ბექჰემთან მიმართებაში მსაჯმა კვლავ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო? გაუგებარია, ინგლისელი რისთვის გააფრთხილეს.

- მოგეხსენებათ, მსაჯების სამუშაოს შეფასება არ მიყვარს. მომიტევეთ, მაგრამ ამ თემაზე საუბარი არ მსურს.

- თქვენი კარგად მესმის, მაგრამ ამ ყვითელი ბარათის გამო, ბექჰემს დისკვალიფიკაცია მიესჯება და „ესპანიოლის“ წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს.

კაპელო მხოლოდ ჩემპიონობაზე ფიქრობს

- ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ამ სიტუაციაში, უბრალოდ, უძლური ვარ.

- სხვათა შორის, ერთი კვირის წინაც ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა. კლუბის ხელმძღვანელობამ შემდეგ ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციაში აპელაცია შეიტანა და სადისციპლინო კომიტეტმა დისკვალიფიკაცია გააუქმა. საინტერესოა, ამჯერადაც ასე მოიქცევით?

- აპელაციის მომზადება და შემდეგ მისი ფედერაციაში წარდგენა, მწვრთნელის საქმე არ არის. ამ საკითხზე დირექტორატი იმსჯელებს და თუ საჭირო გახდება, აპელაციას კვლავ შეიტანენ. გამორიცხული არაფერია.

- რობინიოს გაძევებაზე რაღას გვეტყვით? ჩემი აზრით, ბრაზილიელი ასეთ მკაცრ სასჯელს არ იმსახურებდა.

- რობინიომ უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა, რომლის წყალობითაც „რეალი“ წინ გავიდა. მან ძალიან გაიხარა, ემოციები ვერ მოთოკა და მაისურა გაიხადა. ამ დროს კი მსაჯები ყოველთვის მკაცრები არიან. რობინიოს მეორე ყვითელი ბარათი ამოუღეს. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, ბრაზილიელი პირველად როდის გააფრთხილეს. იმ მომენტში ვიფიქრე, რომ ეს მისი პირველი ყვითელი ბარათი იყო, თუმცა შემდეგ თავად რობინიომ მითხრა, რომ ბარათი მანამდეც უჩვენეს.

- მეოთხე მსაჯთან საკმაოდ ემოციურად საუბრობდით. რას აპროტესტებდით?

- არაფერსაც არ ვაპროტესტებდი. მსაჯს ერთ-ერთი წესის შესახებ ვკითხე და მანაც ამიხსნა. ნუ იფიქრებთ, რომ ვდაობდით.

- საკვირაო ტრიუმფის წყალობით, მეორე ადგილზე გადაინაცვლეთ, თუმცა „ბარსელონას“ კვლავ ჩამორჩებით.

- ორი ქულა არ არის ის ჩამორჩენა, რომლის ამოქაჩვაც არ შეიძლება. მთავარია, სამეფო კლუბმა დარჩენილ შეხვედრებში შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოამჟღავნოს. უკლებლივ ყველა მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ჩვენი გუნდი ახლა სულ სხვა ფეხბურთს აჩვენებს. „რეალისთვის“ შეუძლებელი აბსოლუტურად არაფერია. მჯერა, ჩემპიონის ტიტულის მოპოვების უნარი შეგვწევს.

- ვიცი, ძალიან გაღიზიანდებით, მაგრამ ამ კითხვის დასმა კრიმინალურ ელემენტებს აშკარად არ შეიცავს. ჩვენი ინფორმაციით, სამეფო კლუბის პრეზიდენტი ბერნდ შუსტერს სიტყვიერად შეუთანხმდა. სხვათა შორის, ამ ინფორმაციას სხვა წყაროებიც ადასტურებენ. იყავით გულწრფელი და გვითხარით, რამდენად დიდია შანსი იმისა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მომავალ სეზონშიც იმუშაოთ?

- (იცინის) საოცარი კითხვაა. არ ვიცი, საიდან მოიპოვეთ ეს ინფორმაცია. წარმოდგენა არ მაქვს და არც მაინტერესებს თუ რას წერენ გაზეთები. ჩემთვის შუსტერისა და კალდერონის შეთანხმების ფაქტი უცნობია. მხოლოდ იმ ინტერვიუზე შემიძლია გესაუბროთ, რომელიც პრეზიდენტმა თქვენს გაზეთს მისცა. კალდერონი პირდაპირ ამბობდა, ყველაფერი შედეგებზე იქნება დამოკიდებულიო. მოსწონს თუ არა ვინმეს ეს, ფეხბურთს სწორედ ასეთი კანონები აქვს.

- კალდერონმა განაცხადა, თუ ჩემპიონები გავხდებით, კაპელო მუშაობას გააგრძელებსო. ეს სიტყვები ულტიმატუმის ხასიათს ხომ არ ატარებს?

- შესაძლოა, ასეც იყოს.

- და ეს ყველაფერი ფაბიო კაპელოსთვის შეურაცხმყოფელი არ არის?

- (იცინის) ნებისმიერი მწვრთნელი კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად ინიშნება. ჩემი ამოცანა „რეალის“ გაჩემპიონებაა. კონტრაქტის გაფორმებისას სწორედ ეს მოთხოვნა წამომიყენეს. მე დავთანხმდი, ასე რომ, არავითარ შეურაცხყოფაზე არ არის საუბარი. ჩვენ პროფესიონალები ვართ. პროფესიონალები კი საკუთარი საქმის სრულყოფილად გაკეთებას ცდილობენ.

- სხვათა შორის, ბევრს ჰგონია, რომ კალდერონი ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემთხვევაშიც გაგათავისუფლებთ.

- არ ვიცი, სჯობს, იმას ჰკითხოთ, ვინც ასე ვარაუდობს. ახლა მხოლოდ საქმეზე ვფიქრობ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩემპიონები გავხდეთ.

ილია ნიკოლაიშვილი

აბელ შავიერი მიდლსბროს ემშვიდოდება

აბელ შავიერი "მიდლსბროში" არ რჩება. კლუბმა მას კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა. ფეხბურთელმა ხელფასი იცოტავა და ჩემოდნები შეკრა. 34 წლის მცველი პრემიერლიგის ისტორიაში იმით შევიდა, რომ პირველი ფეხბურთელი იყო, რომელიც აკრძალული პრეპარატების მოხმარებაში ამხილეს. ერთწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, გასული წლის ნოემბერში ის "მიდლსბროში" დაბრუნდა და საკმაოდ ნორმალური სეზონი ჩაატარა. რივერსაიდელთა თავკაცმა **გარეთ საუთგეიტმა** შავიერის გადაწყვეტილების გამო სინანული გამოთქვა. იქვე მან პორტუგალიელს განეული სამსახურისათვის მადლობა გადაუხადა.

აკინფეევმა სეზონი დაასრულა

რუსეთის ნაკრებისა და ცსკას მეკარე **იგორ აკინფეევი** მძიმედ დაშავდა. "როსტოვთან" ბოლო ტურის კალენდარულ მატჩში (1:1) მან მუხლის მყესები გაიწყვიტა და სეზონი დაასრულა. 21 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ შოკშია და საუბარი უჭირს. მას ევროპის ჩემპიონატის დარჩენილი შესარჩევი მატჩების გამოტოვება მოუხდება, მათ შორის, გამოტოვებს ინგლისთან ორივე თამაშს საკვალიფიკაციო ტურნირის მიწურულს, სექტემბერსა და ოქტომბერში.

ბეითარი ტრაგედიას გადაურჩა

გასულ უქმეებზე იერუსალიმის "ბეითარმა" ისრაელის ჩემპიონატი მოიგო, თუმცა ფეთაჰ თიკვის "ჰაპოელთან" ბოლო ტურის მატჩი (2:0) კინაღამ ტრაგიკულად დასრულდა. საფინალო სასტვენისთანავე მაყურებელმა მინდორს მიაშურა. ერთმა ნაწილმა უპრობლემოდ შეაღწია მოედანზე, სხვებს კი დამცავმა ბარიერმა გადაუღობა გზა. ჭყლეტისას 50 ფანი დაშავდა. რამდენიმემ უმძიმესი ტრავმა მიიღო და რეანიმაციაში გადაიყვანეს. ორი გულშემატკივარი ხელოვნური სუნთქვის აპარატზე შეაერთეს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია და სამართალდამცველი ორგანოები ინციდენტის გამოძიება შეუდგნენ. ფედერაციამ გამოძიება თვალის დახამხამებაში დაასრულა. მან "ბეითარს" მომდევნო ოთხი საშინაო მატჩის ჩატარება საკუთარი არენიდან მინიმუმ 50 კილომეტრის მოშორებით, ცარიელ სტადიონზე მოუწევს. კლუბი ქულების დაკლებას გადაურჩა.

კოკუ: ამერიკა, ავსტრალია თუ კატარი

ფილიპ კოკუს "ეინდჰოვენთან" კონტრაქტი დაუმთავრდა. 36 წლის ვეტერანმა არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას. ჰოლანდიელი მიმომხილველები არ გამორიცხავენ, მან კარიერა დაასრულოს. თუმცა ისიც სავსებით შესაძლებელია, რომ პსვ-ს კაპიტანმა ავსტრალიის საპენსიო ლიგაში ამოჰყოს თავი. მას სიდნეის საფეხბურთო კლუბი ეპატიჟება და ერთწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 830 ათას დოლარს სთავაზობს. კოკუმ ავსტრალიელებს 22 მაისამდე უნდა უპასუხოს. მას ამერიკიდან და კატარიდანაც სარფიანი შეთავაზებები აქვს. სიდნეელები კი ალტერნატიულ ტრანსფერებზეც ინტენსიურად მუშაობენ. განიხილება ნიგერიელი ჯეიჯეი ოკოჩასა და ესპანეთში მოღვაწე ავსტრალიელის ჯონ ალოიზის კანდიდატურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

რიბერი: ინგლისი ან ესპანეთი

ფრანგი გარემარბი ბაიერნში გადასვლას გამორიცხავს

მარსელის "ოლიმპიკისა" და საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **ფრანკ რიბერი** ღიად აცხადებს, გამორიცხულია, რომ კარიერა "ბაიერნში" გავაგრძელოო. როგორც იცით, მიუნხენურმა კლუბმა რიბერის შეძენა ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მოისურვა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა. თუმცა ბავარიელებს რიბერის გადაბირების სურვილი დღემდე არ განელებიათ, მაგრამ ფრანგი რეკორდმაისტერს უარს ეუბნება - თუ მარსელიდან წავალ, კარიერას მხოლოდ ესპანეთში ან ინგლისში გავაგრძელებო.

"საფრანგეთის საზღვრებს გარეთ თამაშის პერსპექტივა ძალიან მხიბლავს, მაგრამ თუ "ოლიმპიკიდან" ავიბარგები, მაშინ მხოლოდ პრემიერლიგას ან პრიმერადივიზიონს მივაშურებ. დასამალი არაფერია, ბუნდესლიგა ნაკლებად მაინტერესებს. ასე რომ, "ბაიერნში" გადასვლა, ფაქტობრივად, გამორიცხულია," - აცხადებს რიბერი "ფრანს ფუტბოლისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე ამატებს, არც იმას გამოვრიცხავ, რომ სულაც "მარსელში" დავრჩეო.

ეს კი იმაზე იქნება დამოკიდებული, მოახერხებს თუ არა "ოლიმპიკი" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას და რამდენად გაძლიერდება გუნდი მომდევნო სეზონისთვის. საფრანგეთის პირველობის დასრულებამდე 3 ტურით ადრე, მარსელელები მეოთხე პოზიციაზე არიან და მესამეადგილოსან "ბორდოს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად კი, როგორც იცით, სამეულში მოხვედრაა საჭირო.



ფრანკ რიბერი

ბუნდესლიგა

ლუის ფერნანდესი კამპ ნოუზე ნაგებას ელის

ანდალუსიური კლუბის თავკაცი გულწრფელად ამბობს, რომ მის ბიჭებს მესის, ეტოოსა და რონალდინიოს გუნდთან ბრძოლაში შანსი არ აქვთ....

ლუის ფერნანდესი ბეტისის გუშინდელ ვარჯიშზე

„ბარსელონას" ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძვის. „ბეტისის" ამოცანა კი, პრიმერა დივიზიონში დარჩენაა. ეს ორი კლუბი ესპანეთის პირველობის მომდევნო ტურში „კამპ ნოუზე" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. **ფრანკ რიიკაარდის** *ბიჭები საშინაო შეხვედრაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ, გამარჯვებაზე ფიქრობენ. ერთი შეხედვით, ანდალუსიელებიც ოპტიმიზმით უნდა იყვნენ გამსჭვალულები, მაგრამ „ბეტისის" დამრიგებელი პირიქით, წარმოუდგენლად დიდმა პესიმიზმმა შეიპყრო. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, სამხრეთელთა მთავარი მწვრთნელის,* **ლუის ფერნანდესის** *განცხადებას გაგაცნობთ: „პრიმერა დივიზიონის სამი მოწინავე კლუბი ჩემპიონობისთვის იბრძვის. „ბარსელონას" კონკურენტები წამოეწივნენ და ახლა ისეთი გაბრაზებულია, როგორც არასოდეს. რა თქმა უნდა, კატალონიელები არ დაგვინდობენ და შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოამჟღავნებენ. მასპინძლებს ლეო მესი, რონალდინიო და ეტოო ჰყავთ. ისინი ხომ პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელები არიან. ამ ყველაფრის თქმა იმისთვის დამჭირდა, რომ „კამპ ნოუზე" გასამართ შეხვედრას რაციონალური გონებით ვხვდები. ფუჭი ოპტიმიზმი არაფერში გამოგვადგება. ბევრისთვის უჩვეულოდ და შესაძლოა, სულელურადაც გამოჩნდება, მაგრამ ვიქნები გულწრფელი და ვიტყვი, რომ „ბარსასთან" მატჩისგან სიკეთეს არ ველი. თითქმის 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ წავაგებთ. კატალონიური გრანდი ხომ სულ სხვა დონის გუნდია. ჩემი აზრით, „ბეტისმა" სიტუაცია პრაგმატულად უნდა შეაფასოს და მომდევნო მეტოქეების დასამარცხებლად მოემზადოს. სამწუხაროდ, „ბარსელონა" ძალიან ცუდ დროს გადაგვეღობა გზაზე."*

ვოლფსბურგი

მაგათი მგლებში

კიკერი: აუგენტალერის გაგდება გადაწყვეტილია

"კიკერის" ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ **კლაუს აუგენტალერი** მომდევნო სეზონში "ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება. მეტიც, "ვოლფსბურგერ ნახრიხთენს" თუ დავუჯერებთ, უკვე ცნობილია იმ მწვრთნელის ვინაობა, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხის წინაშე მდგარ "მგლებს" სათავეში ჩაუდგება. ხსენებული გაზეთის ცნობით, ეს **ფელიქს მაგათია,** კაცი, რომელიც მეორე წრის დაწყების შემდეგ "ბაიერნიდან" გაათავისუფლეს. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, "დესპოტი ფელიქსი" ვოლფების მწვრთნელი ივლისიდან გახდებაო. თუ მაგათმა "ვოლფსბურგში" მუშაობაზე უარი თქვა, გუნდის ბოსებს სათადარიგო ვარიანტად **კრასიმირ ბალაკოვი** ჰყავთ შეგულებული. ეს უკანასკნელი ახლა ციურიხის "გრასჰოპერსს" წვრთნის და მისი კანდიდატურა "კაიზერსლაუტერნშიც" განიხილება.

აუგენტალერმა იანვარში "მგლებთან" კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელა, მაგრამ იმის გამო, რომ გუნდს ელიტიდან გავარდნა მაინც ემუქრება (თანაც, ძალიან სერიოზულად), ბოსებს მისი გაშვება გადაწყვეტილი აქვთ. ასეთი გადაწყვეტილება "ფოლკსვაგენის" გუნდის შეფებმა ზედიზედ სამი წაგების გამო მიიღეს. "ვოლფსბურგს" გასავარდნ ზონას მხოლოდ და მხოლოდ 3 ქულა აშორებს. შაბათს "მგლები" უშუალო კონკურენტ "ალემანიას" სტუმრობენ და რომ წააგონ, აუგენტალერი ახლავე უმუშევარი დარჩება, გუნდს კი, ბოლო ტურში, მოყვარული "მგლების" თავკაცი **ვილი კრონჰარდტი** უხელმძღვანელებს. არადა, "ვოლფებისთვის" ბოლო მატჩი ურთულესი იქნება - 34-ე ტურში "მგლები" ჩემპიონობისთვის მებრძოლ "ვერდერს" მასპინძლობენ.

როგორც ირკვევა, მაგათის დათანხმება "ფოლკსვაგენის" შეფმა **მარტინ ვინტერკორნმა** შეძლო. ეს უკანასკნელი ფელიქსს ძალიან კარგად იცნობს - მეტიც, ვინტერკორნი მაგათის ახლო მეგობარია. ის ადრე "აუდის" შეფი იყო და როგორც "ბაიერნის" ერთ-ერთი უმთავრესი სპონსორის ბოსი, მიუნხენური გიგანტის სამეთვალყურეო საბჭოში გახლდათ...



ფელიქს მაგათი

შტუტგარტი გლედსონს მოურიგდა

"ნიურნბერგის" მეკარე **რაფაელ შეფერის** შემდეგ, გერმანიის ჩემპიონობის კანდიდატმა "შტუტგარტმა" მომავალი სეზონისთვის კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიბეგა. საუბარია როსტოკის "ჰანზას" ცენტრალურ მცველ **გლედსონზე**. 28 წლის ბრაზილიელ უკანახაზელს როსტოკულ კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება, რის გამოც შვაბურ კლუბში უფასოდ გადავა - მან უკვე გააფორმა კონტრაქტი, რომელსაც ვადა 2010 წლამდე აქვს. გლედსონმა "შტუტგარტში" ვეტერანი **მარკუს ბაბელი** უნდა შეცვალოს, რომელიც კარიერას ამთავრებს. "ჰანზას" თავკაცი **ფრანკ პაგელსდორფი** გლედსონზე ნაწყენია: *"ეს ფეხბურთელი ორჯერ ავიყვანე, მაშინ მას არავინ იცნობდა. ახლა კი ასეთი რამ გაგვიკეთა!"*

პისაროს პსვ უხმობს, მაკაის ლიონი

კლაუდიო პისარო რომ "ბაიერნს" დატოვებს, ეს უკვე ნათელია. რეკორდმაისტერის შეფები პერუელ თავდამსხმელს კონტრაქტს არ უგრძელებენ. "კიკერის" ცნობით, პისაროს გადაბირებით "პსვ ეინდჰოვენია" დაინტერესებული. "ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰაინესმა** თქვა, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს გამოვეთხოვებითო და ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ენაჭარტალა ულიმ **როი მაკაი** იგულისხმა. როგორც იცით, მიუნხენელებმა თითქმის დაითანხმეს **ლუკა ტონი** და თუ ეს უკანასკნელი ბავარიულ გრანდს მართლაც მიაშურებს, "ბაიერნში" მაკაის ადგილი აღარ იქნება. თანაც, ჰოლანდიელის კონტრაქტს ვადა 2008 წელს ეწურება და თუ ახლავე არ გაყიდეს, გაისად მიუნხენს უსასყიდლოდ დატოვებს. გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მაკაის საფრანგეთის ჩემპიონი "ლიონი" ეპატიჟება.

ექსპერტის მოსაზრება

მე და ეფე ამათ ჭკუას ვასწავლიდით

მარიო ბასლერი ბაიერნის შესახებ ჩვეული პირდაპირობით საუბრობს...

ეუყურებ ამ "ბაიერნს", მიუნხენური კლუბის ფეხბურთელების სამარცხვინო მოქმედებებს და ძალიან ვწუხვარ, აქტიური სპორტული კარიერა დამთავრებული რომ მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე "ბებერი" ვარ, ფეხბურთს დღესაც რომ ვთამაშობდე და "ბაიერნში" რომ ჩამრიცხონ, რეკორდმაისტერის რიგებში მაინც ერთ-ერთი საუკეთესო ვიქნებოდი.

ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან **ბასტიან შვაინშტაიგერი** ან **ლუსიო,** უკვე ფიქრობენ, რომ ბადალი არ ჰყავთ. მეტიც, ისინი მიიჩნევენ, რომ ფეხბურთი მათი გამოგონილია. დიახ, ლუსიოსა და შვაინის თავი სპორტის ამ სახეობის გამომგონებელი ჰგონიათ. **შტეფან ეფენბერგი** და მე სნორედ ასეთ მენტალიტეტს ვებრძოდით. ეფე და მე დღესაც "ბაიერნის" ფეხბურთელები რომ ვიყოთ, მათ ჭკუას ვასწავლიდით და ვუჩვენებდით, რა უნდა გააკეთოს კურდღელმა, როდესაც მას ერთდროულად სამი ან ოთხი მწევარი მისდევს.

კიდევ რას მოიმოქმედებდნენ ეფე და მარიო? პირველ რიგში, **ოლივერ კანს** მხარში ამოვუდგებოდით. დღესდღეობით ოლი ერთადერთი ბავარიელია, რომელსაც მიუნხენური კლუბი ფეხებზე არ ჰკიდია და რომელიც ყველა შეხვედრაში ამტკიცებს, რომ გუნდისთვის იბრძვის. ფაქტია, რომ მონდომება მხოლოდ კანს ეტყობა, დანარჩენები კი ყველაფერს ფეხებზე იკიდებენ.

ძალიან ვწუხვარ **ული ჰაინესის** გამოც. ყველამ იცის, რომ ეს კაცი "ბაიერნისთვის" ყველაფერს აკეთებს და თავს არ ზოგავს. ჰაინესი ფეხბურთელებს ფეხებზე არასდროს დაიკიდებს, აი, მოთამაშეებმა კი უკვე დაიკიდეს ული და ეს ამაზრზენია. ამას ისიც ემატება, რომ ე.წ. "ვარსკვლავები" მოულოდნელად კრიტიკას ვეღარ იტანენ. კი მაგრამ, აქამდე სად იყვნენ? ნუთუ არ იცოდნენ, რომ "ბაიერნს" გერმანიაში ყოველთვის ყველაზე მეტი მოეთხოვება? ცხადია, სულაც არაა სასიამოვნო, როცა მთელი კვირის განმავლობაში, აბსოლუტურად ყველა გაზეთის ფურცლებზე კითხულობ, რომ ფეხბურთელი კი არა, ბალერინა ხარ, მაგრამ როცა ბურთის ნორმალურად მიღება და დამუშავება არ შეგიძლია, როცა პასის მიღების შემდეგ საგონებელში ვარდები, რა მოუხერხო ბურთს, მაშინ პრეტენზია აღარ უნდა გქონდეს, მეორე დღეს გაზეთში შენი გვარი გადათელილი რომ დაგხვდება. რა დიდი მიხვედრა იმას უნდა, რომ როცა ფეხბურთელი და ბურთი ერთმანეთისგან ისე შორს არიან, როგორც ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსები, ასეთი მოთამაშე მაყურებლისგან ოვაციების ნაცვლად სტვენას დაიმსახურებს.

აუცლებლად უნდა შევეხო ჰერ **კლაუდიო პისაროსა** და ჰერ **როკე სანტა კრუსს**. ამ ბატონებისთვის "ბაიერნი" და საერთოდ ფეხბურთი, უკვე დიდი ხანია, სულერთია. ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომელ დისკოთეკაზე გაერთონ, ფული დროულად გადაერიცხოთ ანგარიშზე და რა ჩაიცვან. ხოლო ისეთმა კაცმა კი, როგორიც **ალი ქარიმია,** "ბაიერნის" მაისურა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიღოს, თუკი მაღაზიაში რეკორდმაისტერის ფორმის სანაცვლოდ 100 ევროს გადაიხდის. ქარიმი არ იმსახურებს იმას, რომ "ბაიერნის" ფორმა უფასოდ ჰქონდეს!

ჰო, რა თქმა უნდა, ჰაინესმაც დაუშვა შეცდომები. მაგალითად ის, რომ **ლუკას პოდოლსკის** ყიდვისას აშკარად იჩქარა. **მიროსლავ კლოზეს** გარშემო ატეხილ დავი-დარაბასთან დაკავშირებით კი მხოლოდ ამას ვიტყვი: ული, კარგად დაფიქრდი, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამ და დაიკავირდი კლოზეს ხასიათს!

ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ჰაინესი თავის მუშტს მაგიდას მაგრად დასცხებს. ული რეკორდმაისტერს გამოაცოცხლებს და რამდენიმე საჭირო ფეხბურთელს იყიდის - ამაში დარწმუნებული ვარ. მჯერა, მისი რისხვა ყველა ფეხბურთელს დაატყდება და აი, ამ მხრივ კი, ძალიანაც მიხარია, ფეხბურთს რომ აღარ ვთამაშობ. განრისხებული ჰაინესის კაბინეტში შესვლას, მტერსაც კი არ ვუსურვებდი...

მარიო ბასლერი
ბილდი

მარიო ბასლერი

ინტერვიუ ჯანლუკა ვიალისთან

ინგლისურ ფეხბურთში მეჯი ნდობაა

ლეგენდარული ფეხბურთელი სერია A-ს მატჩების შესახებ: მგონია, რომ ეს ყველაფერი ერთხელ უკვე ნანახი მაქვს



ცოტა ხნის წინათ, იტალიურმა გამომცემლობა "მონდადორიმ" 43 წლის ჯანლუკა ვიალის წიგნი დაბეჭდა, რომელსაც ინგლისური სახელწოდება აქვს - The Italian Job ("იტალიური სამუშაო"), ხოლო მისი ქვესათაურია: "იტალიასა და ინგლისს შორის: მოგზაურობა ორ დიად საფეხბურთო სამყაროში". წიგნის სათაური თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს ნაშრომი, პირველ რიგში, ეძღვნება ინგლისური ფეხბურთის ანალიზს იტალიურთან შედარებით. ანუ, ეს არ არის ბრწყინვალე ფეხბურთელის ბიოგრაფია, არამედ ნამდვილი გამოძიება, რომელშიც მოთხრობილია ინგლისური ფეხბურთის ისტორია, დეტალური ანალიზია გაკეთებული 4+4+2 სისტემის შესახებ. The Italian Job-ში ბევრი სხვა საინტერესო მოსაზრების ამოკითხვა შეიძლება. წიგნს ავსებს ინტერვიუები, რომელიც ავტორმა თანამედროვე საფეხბურთო მეტრებს - ალექს ფერგიუსონს, არსენ ვენგერს, ჟოზე მოურინიოს, სვენ-გორან ერიქსონს, ფაბიო კაპელოსა და მარჩელო ლიპის ჩამოართვა. ეს მწვრთნელები ვიალისთან უფრო ღიად და გულახდილად საუბრობდნენ, ვიდრე ამას, ჩვეულებრივ ჟურნალისტებთან აკეთებენ ხოლმე.

როგორც ვიალი ყვება, დღეს მას ორი სახლი აქვს - მილანსა და ლონდონში. მილანში, როგორც წესი, მუშაობს ("სქაის" კომენტატორია), ლონდონში "სტემფორდ ბრიჯზე" "ჩელსის" მატჩების სანახავად დადის და გოლფს თამაშობს. წიგნი კი, იტალიელმა თავისუფალ დროს, ჟურნალისტ გაბრიელე მარკოტისთან ერთად დაწერა, უფრო ადრე კი, თანაავტორი იყო სკანდალურად ცნობილი პაოლო დი კანიოს წიგნისა. The Italian Job-ის გამოსვლას მიეძღვნა ჟურნალ "გუერინ სპორტივოს" კორესპონდენტ მატეო მარანის ინტერვიუში ჯანლუკა ვიალისთან.

- თქვენი წიგნისთვის ერთი თვალის გადავლებაა საკმარისი იმის მისახვედრად, რომ ინგლისსა და იტალიაში საფეხბურთო საქმეების შედარებისას, იტალიისთვის არც ისე სახარბიელო სურათი იხატება. თქვენს სისწორეს ფაქტებიც ადასტურებს.

- ეს არის ფეხბურთისადმი მიდგომის ორი სრულიად განსხვავებული მოდელი, რაც ყველაზე ნათლად ნორჩი ფეხბურთელების აღზრდაში აისახება. ინგლისელი და იტალიელი ბავშვები დიდად არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგრამ ჩვენთან, უფროსები ძალიან ადრეული ასაკიდან აიძულებენ ბავშვებს ცრუ პროფესიონალიზმი აითვისონ და რთულ ტაქტიკურ მოდელებს მისდიონ. ამ დროს კი, ინგლისელ ბიჭებს უპირატესად სპორტულ ღირსებებს ასწავლიან.

- თუ გვერდით გადავდებთ ფანების სხვადასხვა გამოხტომებს, ინგლისში პუბლიკაც სხვანაირია.

- ლონდონსა და ლივერპულში მაყურებლები კმაყოფილნი რჩებიან, თუ ფეხბურთელები მინდორზე ბოლომდე იხარჯებიან. ხდება ხოლმე, რომ ესა თუ ის გუნდი აგებს, ინაცვლებს დაბალ დივიზიონში, მაგრამ მაინც მოწყვეტს ტრიბუნებს აპლოდისმენტებს. მთავარია - შეინარჩუნო ღირსება და მთელი ძალები დახარჯო მინდორზე ბრძოლისას. იტალიაში კი, ყველანი მუდმივი წნეხის ქვეშ არიან: მატჩის წინ, მინდორზე გასვლამდე ყველა დაძაბული და ოდნავ გაღიზიანებულია. ასეთ სიტუაციაში, სულაც არ არის გასაკვირი, რომ სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარება, როგორც ეს კატანიაში მოხდა.

- უკვე ათ წელიწადზე მეტი გავიდა იმ მომენტიდან, როცა ინგლისის პრემიერლიგა გაიცანით. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მაშინ?

- ეს იყო სულ ახალი რეალობა, მიუხედავად იმისა, რომ "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი ჩემთვის კარგად ნაცნობი რუუდ გულიტი გახლდათ, მანამდე კი, გუნდს გლენ ჰოდლი წვრთნიდა. ორივე შეეცადა, გუნდში კონტინენტალური ფეხბურთის პრინციპები დაენერგა. მაგრამ პირველ ხანებში, რაღაც კაზუსებმა გამაოცა. არაერთხელ მინახავს, რომ "ჩელსიში" ჩემი თანაგუნდელები, მატჩის წინ ლობიოს მიირთმევდნენ. მაგრამ ეს უკეთესია, ვიდრე ის, რაც "მანჩესტერ იუნაიტედში" ხდებოდა: მატჩის დღეს, იქ fish & chips-ს (თევზი შემწვარი კარტოფილით) გეახლებოდნენ. როგორი სანახავი იყო ეს ყველაფერი ჩემთვის, რომელიც ინგლისში "იუვენტუსიდან" ჩავედი, ეს კლუბი კი, უმკაცრესი პროფესიონალიზმისა და რკინის დისციპლინის მაგალითს წარმოადგენდა! "ჩელსიში" კი, ფიზომზადების მწვრთნელი არ არსებობდა, ხოლო ექიმი გუნდში, საუკეთესო შემთხვევაში, კვირაში ერთხელ მოდიოდა.

- სხვა განსხვავებები?..

- არნაირი წინასამატჩო შეკრებები. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა, თუ როგორ მივედი სასტუმროდან სტადიონზე. ჩვენთან, იტალიაში, თამაშის წინ ისეთი ატმოსფერო სუფევს, თითქოს ტაძარში ვიყოთ: ყველა გაჩუმებული, მობილიზებული, მაქსიმალურად კონცენტრირებულია. "ჩელსის" ავტობუსში კი, ხმამაღალი მუსიკა ისმოდა, ძირითადად, რეპი.

- მათთან სტადიონები სულ სავსეა, ჩვენთან - სანახევროდ ცარიელი...

- იმიტომ, რომ აქ და იქ, მთლიანობაში სხვადასხვა დამოკიდებულებაა ფეხბურთის მიმართ. მოვიყვან მაგალითს. თუ ინგლისის რომელიმე სტადიონზე, ბუფეტში საჭმელი ვინმეს არ მოეწონა, კლუბი მაშინვე იზრუნებს, კერძი შეცვალოს. მთავარია გაიგო, რომ მაყურებელი კლიენტია, რომელსაც სტადიონზე იწვევენ. მეორე მაგალითი - როცა "უოტფორდს" ვწვრთნიდი, ჩვენი მატჩი "ქოვენთრისთან" ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო, რადგან მაყურებლების გარკვეულმა რაოდენობამ სტადიონზე დროულად მოხვედრა საავტომობილო საცობის გამო ვერ შეძლო. ეს ყველაფერი ურთიერთნდობას წარმოშობს და არ არის გასაკვირი, რომ მაგალითად, "ლესტერის" გულშემატკივრები მხოლოდ თავიანთ გუნდს ქომაგობენ. ანუ არა ისე, როგორც ჩვენთან არის: "კრემონეზეს" (კრემონა - ვიალის მშობლიური ქალაქია) ფანი შეიძლება "იუვეს", "მილანს" ან "ინტერს" გულშემატკივრობდეს.

- შეიძლება მათ ისიც ეხმარებათ, რომ ფეხბურთში ნაკლები სკანდალები აქვთ?

- რა თქმა უნდა. ინგლისური ფეხბურთი ნდობით განგაწყობს. იქ დღემდე მოქმედებს პრინციპი: "დაე, უძლიერესმა გაიმარჯვოს!" მაგრამ, მარტო ეს არ არის. ითვლება, რომ ფეხბურთი 40 მილიონ ინგლისელს უყვარს და ამიტომაც, სტადიონი არ უნდა იყოს ხალხისთვის სახიფათო ადგილი. ინგლისელებმა ამ მიმართულებით კარგად იმუშავეს - მათ გადაწყვიტეს, რომ სტადიონებზე ხალხი უნდა მიიზიდონ და ამიტომაც, შაბათობით, 15 საათზე დანიშნული მატჩების ტრანსლირებაზე აკრძალვა შემოიღეს. ინგლისელები უფრო შორს იხედებიან, ვიდრე ჩვენ.

- აქედან გამომდინარე, ინგლისელებმა შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს ჩემპიონთა ლიგაზე, რითაც დაამტკიცეს, რომ მათი ფეხბურთი ეყრდნობა ჯანმრთელ და დაბალანსებულ საფუძველს.

- დიახ, მათ ლიგაზე გამოიჩინეს თავი, რადგან ერთ რამეს მიხვდნენ: ინგლისში ევროპელი მწვრთნელების - ვენგერის, ბენიტესის, მოურინიოს, რანიერისა და თქვენი მონა-მორჩილის მუშაობა თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება და ამასთან, სულაც არ ასუსტებს ინგლისური ფეხბურთის ძალას. ბრიტანელებმა ჩვენგან მხოლოდ კარგი გადაიღეს და ცუდს არ გაეკარნენ. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. როცა ინგლისში ჩავედი, მე და ბევრ სხვა ლეგიონერსაც, ჩვევად გვქონდა პატარა შეტაკების დროსაც კი, მინდორზე ნავქცეულიყავით. როცა ეს რამდენჯერმე მოხდა და გულშემატკივრებმა სტვენა დამიწყეს, მივხვდი, რომ ეს ჩვევა უნდა დამევიწყებინა. იგივე გააკეთეს სხვა ლეგიონერებმაც. ჩვენგან ინგლისელებმა ტაქტიკური მრავალფეროვნება და მატჩებისადმი პროფესიული მზადების რამდენიმე თავისებურება გადაიღეს.

- მიუხედავად ამისა, თქვენ აგრძელებს სერია A-ს მატჩებისთვის თვალის დევნებას, რაც თქვენს პროფესიულ მოვალეობებშიც შედის.

- გულახდილად გეტყვით: ამას რეგულარულად არ ვაკეთებ. უპირატესობას ინგლისის პრემიერლიგას ვანიჭებ. როცა იტალიის ჩემპიონატის მატჩებს ვუყურებ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ეს ყველაფერი ერთხელ უკვე ნანახი მაქვს. აქვე ხაზი უნდა გავუსვა იმას, რომ კალჩოში, გარდა მწვრთნელების ტაქტიკური სიახლეებისა, სხვა ბევრი რამ არის კარგი. და ეს ფიქრის საშუალებას გიტოვებს.

- მაგალითად?

- გამოიყვანს თუ არა კრიზისიდან "მილანს" კარლო ანჩელოტი.

- ეს არც ისე იოლი იქნება, თუმცა, "მილანი" ჩემპიონთა ლიგის ფინალშია.

- მჯერა, ის იპოვნის. გამოსავალს. კარლომ კარგად იცოდა, რომ წელს მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე უნდა გაეკეთებინა აქცენტი და ამ მხრივ ჯერ-ჯერობით, ყველაფერი კარგად არის. ლიპის "იუვენტუსზე" ხშირად ამბობდნენ, რომ ამ გუნდმა ერთი გარკვეული ციკლი დაასრულა. მაგრამ შემდეგ, გუნდში სამი ახალი ფეხბურთელი მივიდა და "იუვენტუსმა" კვლავ დაიწყო მოგება.

- მაგრამ, "იუვეში" კაპელოც გამოჩნდა - გამარჯვების ფსიქოლოგიის მწვრთნელი.

- აი, ესაა საქმე და ამიტომაც, ნამდვილი რევოლუციური ნაბიჯი იქნება, თუ ანჩელოტის განახლებული "მილანის" მწვრთნელად დაამტკიცებენ. იმისთვის, რომ გუნდს მოგებათა ახალი სერია დაეწყოს, ოღონდ ძველი მწვრთნელით და ჩვენ დავინახოთ, რომ იტალიაში მწვრთნელებს ისევე ეპყრობიან, როგორც მათ კოლეგებს ინგლისში.

- რაც შეეხება იტალიის ჩემპიონატს, რომელშიც "ინტერი" დომინირებს, არ გგონიათ, რომ ეს პირველობა განწირულია იმისთვის, რომ მის მიმართ ინტერესი ნელ-ნელა დაეცეს?

- იმისთვის, რომ ტანგო იცეკვო, ორი ადამიანია საჭირო. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, თუ "სკუდეტოსთვის" ბრძოლაში უფრო მეტი გუნდი მიიღებდა მონაწილეობას. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ქედს ვიხრი დღევანდელი "ინტერის" წინაშე. გუნდი გაიზარდა, დახვეწილ ფეხბურთს აჩვენებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ძალაზე ათლეტური თვალსაზრისით.

- ანუ, ეს არის გუნდი ნაკლის გარეშე?

- თავისი ძალით, დღევანდელ "ინტერს" კრეისერს" შევადარებდი, თანაც ტექნიკურად კარგად აღჭურვილს. გუნდში თამაშობს ბრაზილიელი მაიკონი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო მარჯვენა მცველად უნდა ჩავთვალოთ. იმ დროს, როცა მსოფლიო ჩემპიონი - გროსო სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. თავდასხმას საერთოდ, არანაირი შედარებების მოყვანა არ სჭირდება. მანჩინიმ, როგორც იქნა მოძებნა გასაღები, თუ როგორ უნდა ითამაშოს მთლიანმა გუნდმა.

- რაშია მანჩინის დამსახურება?

- პირველ რიგში, ის აღინიშნოს, რომ მან ორი წლის განმავლობაში ღირსეულად გაუძლო კრიტიკას, რომელიც ყველა მხრიდან ისმოდა. და დღეს, რობერტო თავისი შრომის ნაყოფს იმკის. მას შემდეგ, რაც დასრულდა საჭირო ფეხბურთელების შერჩევა, მანჩინის შეუძლია სავარძელში უზრუნველად ჩაჯდეს და სიამოვნებით გააბოლოს სიგარა.

- რა დრო დასჭირდება "იუვენტუსს" იმისთვის, რომ ძველ დონეზე გავიდეს?

- ამ კლუბის საქმეებს ოპტიმიზმით ვუყურებ, განსაკუთრებით იმას, თუ როგორ რეაგირებდა შარშანდელ მოვლენებზე მისი ხელმძღვანელობა. ის ღირსეულად შეხვდა შექმნილ სიტუაციას და აქცენტი იმაზე გადაიტანა, რომ კლუბის იმიჯი შეენარჩუნებინა და გაეუმჯობესებინა. კარგად მუშაობს დეშამი, ჩემი ძველი მეგობარი, რომელიც ასევე "ჩელსიში" თამაშობდა. რამდენადაც ვიცი, ეს არის ადამიანი, რომელიც ძალიან ენდობა პირად ურთიერთობებს.

- ნერდნენ და საუბრობდნენ იმაზე, რომ შეიძლებოდა თქვენ "იუვენტუსის" მწვრთნელი გამხდარიყავით. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

- ამის შესახებ მეც გავიგე, მაგრამ კონკრეტული არაფერი ყოფილა.

- როგორც ჩემპიონთა ლიგის მატჩების კომენტატორი, ვინ მიგაჩნია ნლევანდელი ფინალის ფავორიტად?

- ჩემი აზრით, "მილანს" მოგების მეტი შანსი აქვს.

ელენე თვალაბეიშვილი

5 მაისი, რუსთავი

დინამო-აზოტი 78:96

დინამო	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
გულისაგიდაშვილი	8	5	2	1	0	2
ბადრიძე	14	4	5	2	0	2
ლაფანაშვილი	27	6	2	2	1	4
გვიმრაძე	11	4	1	1	0	2
ფაიძრიძე	1	1	0	0	0	0
ნოზაძე	7	3	2	3	0	3
კოლუაშვილი	10	11	2	3	0	1
სიგუა	0	1	0	0	0	0
წერეთელი	0	0	0	0	0	0

აზოტი	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
გამყრელიძე	15	2	5	1	0	3
ლიპარტელიანი	0	1	0	0	0	1
ბოისა	4	6	2	0	0	0
დიდია	14	1	1	0	0	2
ტულუში	3	3	1	2	0	0
მარკოიშვილი	16	4	1	0	0	3
უგრეხელიძე	10	7	2	0	0	0
გოგობერიშვილი	4	2	1	1	0	1
ჭოჭუა	0	3	0	0	0	1
ბერძენიშვილი	15	7	0	0	0	1
მინაშვილი	7	3	0	1	1	0
მალეშევიჩი	8	2	6	3	0	4

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. ჭაბედავა

სერია მოიგო აზოტმა - 3:0

8 მაისი, თბილისი

თსუ-ავიამშენი 86:100

28:25, 20:25, 18:20, 20:30

თსუ	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
ბ. ბერიშვილი	9	6	2	4	0	1
ფანგულიძე	2	1	0	0	0	0
ლეჟავა	10	0	1	1	0	1
მარხვაშვილი	9	2	2	2	0	3
ვეფხვაძე	4	0	2	1	0	2
შანიძე	11	4	1	1	0	3
მათიაშვილი	13	2	0	0	2	2
ხიცურიანი	13	5	3	1	0	3
იმნაძე	8	3	0	0	0	0
მ. ბერიშვილი	7	1	0	0	0	1

ავიამშენი	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
დ. ბერიშვილი	6	3	6	2	0	4
ბაბიაშვილი	34	15	2	2	0	9
ნიკოლაძე	8	2	3	0	0	1
ი. ბერიშვილი	6	0	2	2	0	3
როდუმტა	6	7	2	0	0	1
სუხიშვილი	3	1	0	0	0	1
კვიმსაძე	11	7	7	3	0	1
ბარბაქაძე	26	6	1	0	1	2

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

სერია მოიგო ავიამშენმა - 3:0

სათაურში მოხმობილი ერთი "ბა" - ზვიად ბაბიაშვილის გვარის დასაწყისია, ხოლო მეორე - დავით ბარბაქაძის. გუშინ "ავიამშენი" ფინალში სწორედ ბა-ბას დუეტმა გაიყვანა:

მესამე პერიოდის საწყის ხუთ წუთში ბაბიაშვილის მიერ წამოწყებული 14:0 სპურტი დავით ბარბაქაძემ სამქულიანით დააგვირგვინა და თანაგუნდელებს 16-ქულიანი უპირატესობა დაუბევა (64:48). სირენამდე 15 წუთით ადრე ასეთი უპირატესობა რომ გამარჯვებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს უდრის, კალათბურთში ჩახედულ ნებისმიერ ადამიანს კარგად მოეხსენება. ეს "ავიატორებმაც" იცოდნენ და თავს მოდუნების უფლება მისცეს, ამით კი უმალ ისარგებლა თსუ-ს ტანდაბალმა ხუთეულმა და გამთამაშებელ **გიორგი მარხვაშვილის** სიზუსტის წყალობით 13:0 იმარჯვა.

იმავე მარხვაშვილმა (რომელსაც სეზონის პირველი ნახევარი ჰეპატიტის გამო გაუცდა) მეოთხე პერიოდის მესამე წუთზე ორქულიანით თანაგუნდელები 77:76 დააწინაურა. სულ მალე თსუ 81:78-ს იგებდა, რაც მეტისმეტად მწარე ჩხვლეტა გამოდგა "ავიამშენისთვის" - გამოფხიზლდა ბარბაქაძე-ბაბიაშვილის დუეტი, რომელიც რიგ შემთხვევებში ფარქვეშ შესვლას არც "კადრულობდა" და სამქულიანებით "იფარგლებოდა". მოკლედ 12:2 სპურტისას 5 ქულა დათო ბარბაქაძემ ჩაიწერა, ხოლო ბაბიაშვილმა - 7 სირენამდე წუთნახევრით ადრე "ავიამშენი" 92:83 დაწინაურდა, რაც მფრინავების მესამე გამარჯვებასა და ფინალში გასვლას ნიშნავდა.

ვიდრე ფინალის ადგილსა და თარიღს დაგითქვამთ, მატჩის ოქმს გაგაცნობთ. დავით ბარბაქაძემ გუშინ 28 წუთში 26 ქულა (6-დან 4 ორქულიანი, 5-დან 4 სამიანი, 6-დან 6 საჯარიმო) და 6 მოხსნა ჩაიწერა, ხოლო ზვიად ბაბიაშვილმა - 30 წუთში 34 ქულა (16-დან 9 ორქულიანი, 3-დან 3 სამიანი და 8-დან 7 საჯარიმო) და 15 მოხსნა.

მოხსნის ხსენებაზე, ამ კომპონენტში "ავიამ" თსუ აშკარად დაჯაბნა - 43:29. სტუდენტთა ასეთი ჩამორჩენის მიზეზი მათი მეფარეების არცთუ დამაჯერებელი თამაში გახლდათ. თუმცა, თსუ-მ ბრძოლა მხოლოდ ფარქვეშ როდი წააგო - "ავიატორთა" უპირატესობა უკანა ხაზშიც თვალშისაცემი იყო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმის თქმაც კმარა, რომ სტუდენტებმა მხოლოდ 3 სამქულიანის ჩაგდება მოახერხეს, ესეც 2 მეტრს გადაცილებულმა ამპლუით მძიმე ფორვარდებმა მოახერხეს **იმნაძემ, შანიძემ** და **მიშა ბერიშვილმა**.

გამარჯვებულთაგან ტყუპმა **ბერიშვილებმა, ნიკოლაძემ** და **როდუმტამ**, როგორც სჩვეოდათ, ისეთი დამაჯერებლობით ითამაშეს. ხოლო **ბუბა კვიმსაძის** ყოჩაღობა, ისევე როგორც ქომაგისთვის, თსუ-სთვისაც სიურპრიზი იყო. ბუბა არც შეტევაში გადასვლას ავიანებდა, პასებსაც ზურგსუკნიდან არიგებდა და დაცვისასაც ხშირად ჭრიდა მეტოქის იერიშებს.

მატჩის შემდეგ "ავიას" მწვრთნელი ლევან მოსეშვილი გაკვირვებული იყო - არ მეგონა ამ სერიას მშრალად თუ მოვიგებდითო: - პირველ რიგში, მინდა ბიჭებს თავდადებული ბრძოლისთვის მადლობა გადავუხადო. ეს გამარჯვება განსაკუთრებით სასიხარულო იმიტომაცაა, რომ კაპიტნის, ირაკლი ხოშტარიას გარეშე იქნა მიღწეული. როგორც ხედავთ, მოკლე დროში გუნდის გადაწყობა კარგად მოხერხდა. ირაკლის ჯერ ბაბუა დაელუპა, შემდეგ - მამა, რის გამოც ძალიან ვწუხვართ. ვიმედოვნებთ, იგი ფინალებისთვის ჩვენს გვერდით იქნება. შეიძლება, ოპტიმალური ფორმის შენარჩუნება გასჭირვებოდა, მაგრამ ხოშტარას ვაუკაცური ბუნება ფინალებში ძალიან გამოგვადგება. ერთი შეხედვით არ ჩანს, რომ ფინალურ სერიაში "აზოტს" ფორა აქვს - მეხუთე მატჩს შინ მართავს, მაგრამ თვით კონდრაშინი და გომელსკიც ვერ ხსნიდნენ მოედნის უპირატესობა სასარგებლოა თუ საზიანო. შეიძლება საზიანო იმიტომ იყოს, რომ პირველი მატჩი შინ გიწევს და თავში გაქვს ჩაბეჭდილი - მისი წაგება არ შეიძლება. ასეთი ფსიქოლოგიური განწყობა, თამაშის ხარისხზეც ისახება. ვეცდებით, მოედნის უპირატესობის ურთულესი ამოცანა ჩვენ ამოვხსნათ - "აზოტი" მისსავე მოედანზე დავამარცხოთ.

მეორე ნახევარფინალში რუსთავის "აზოტმა" მშვიდად დაამარცხა თბილისის "დინამო" და მთლიანად ფინალურ სერიაზე გადაერთო. ეს მწვრთნელის, დავით უსტიაშვილის ნათქვამიდანაც ჩანს: - ერთი დღე დავისვენებთ და მზადებას ზეგ განვაახლებთ. გუნდი ფორმაშია და წლის მთავარი მატჩებისთვის მზადაა. სასიამოვნოა ისიც, რომ ნახევარფინალი უტრავმოდ გავიარეთ. შედარებით გვიან შემოგვიერთდნენ დავით ბერძენიშვილი და ბოიან მალეშევიჩი, მაგრამ მათი მზადყოფნით მაინც კმაყოფილი ვარ - სათამაშო სქემაში კარგად ჩაეწერნენ. დანარჩენს ფინალური სერია გვიჩვენებს".

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალები

ბა-ბახ!

აზოტი და ავიამშენი ფინალში

დინამო-აზოტი. 16 ქულით მატჩის სნაიპერი გიორგი მარკოიშვილი (11) გახდა



თსუ-ავიამშენი. რიჩარდ მათიაშვილი ვერც ბურთს დაეუფლა და ვერც ფინალის საგზურს

მარკო ბელინელი და მანუჩარ მარკოიშვილი

მარკოიშვილი სადრაფტო სიაშია

გუშინ NBA-ს დრაფტის მონაწილეთა სია უკვე ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ჩამონათვალში 82 კანდიდატის გვერდით ქართულ გვარსაც ვკითხულობთ - **მანუჩარ მარკოიშვილი**, "ოლიმპია" (საქართველო).

დავაზუსტებთ, რომ სია წინასწარია, ე.წ. ადრეული. ვისაც დრაფტში მონაწილეობა სურდა, ვალდებული იყო სურვილი 29 აპრილამდე წერილობით დაედასტურებინა. პროცედურა 28 ივნისს გაიმართება ნიუ იორკში, 18 ივნისამდე კი ყველა კალათბურთელს უფლება აქვს, გადაწყვეტილება გადათქვას და თავისი გვარი სიიდან ამოაღებინოს.

ამერიკელები წერენ, რომ ქართველი სლოვენიის ჩემპიონატის ფინალების შემდეგ ჩავა მათ ქვეყანაში და ერთი-ორ გუნდთან წაივარჯიშებს.

გუშინვე მარკოიშვილის გვარი "ატლანტა ჰოქსის" ოფიციალურ ვებ გვერდზე აღმოვაჩინეთ. წინასადრაფტო მიმოხილვის ერთ-ერთი აბზაცი ასე იწყებოდა: "არაამერიკელი ტოპკანდიდატები არიან მანუჩარ მარკოიშვილი, პეტრი კოპონენი, მარკო ბელინელი"... სხვათა შორის, ქაბუკთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე (2003 წელს) მანუჩარმა საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო, ხოლო იტალიელი ბელინელი სნაიპერი გახდა.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

ჩემპიონობისთვის? ცხადია, ვიბრძოლებთ

ათიოდ დღეში საქართველოს ქალთა საჭადრაკო ნაკრები ეკატერინბურგში გაემგზავრება და მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ჩაერთვება. ქალთა შორის ასეთი ტურნირი პირველად იმართება, რაც თავისთავად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ხოლო სტატუსი - მეორე საკითხია - მსოფლიო ჩემპიონატი შეჯიბრების უმაღლესი კატეგორიაა...

ორგანიზატორებმა ათი გუნდი გარკვეული კრიტერიუმებით მიიწვიეს. ცხადია, მათ შორის ქართველებიც მოხვდნენ. მნიშვნელოვანი ტურნირისთვის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ მზადება კარგა ხანია, დაიწყო. დაინიშნა გუნდის მწვრთნელი და კაპიტანი. ამ ფუნქციებს ოჯახური წყვილი - **ზურაბ სტურუა** და **ნინო გურიელი** შეითავსებს. მწვრთნელობა სტურუას ერგო, კაპიტნობა - გურიელს.

ეს სახელები ადრევე კი იყო ცნობილი, მაგრამ მუშაობას მოგვიანებით შეუდგნენ, - მიზეზი ბოლომდე არ იყო ცნობილი ნაკრების სრული შემადგენლობა. თუმცა ერთი შეკრება, მარტის თვეში, მაინც მოეწყო, სადაც, რამდენიმე კანდიდატთან ერთად, ივარჯიშა ძირითადმა ბირთვმა.

გუნდში ადგილი თავიდანვე დაბეებული ჰქონდა **მაია ჩიბურდანიძეს**. ორი წევრი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გაირკვა - ადგილი პირველ-მეორეადგილოსნებს **ლელა ჯავახიშვილსა** და **სოფიკო ხუხაშვილს** ერგოთ. მესამეადგილოსანიც ამ პატივით ისარგებლებდა, თუკი ევროპის ქალთა ჩემპიონატში რომელიმე კანდიდატი ხუთეულში ვერ მოხვდებოდა. ასეთი შედეგი ვერცერთმა ქართველმა აჩვენა დრეზდენში და **სოფიკო გვეტაძეც**, როგორც საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ნაკრებში მოხვდა. დარჩენილი იყო ერთი ვაკანსია, რომელიც რეიტინგით უკეთესს უნდა რგებოდა. 1 აპრილისთვის, როცა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა, ჩიბურდანიძის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელი **ნინო ხურციძეს** აღმოაჩნდა. გუნდიც ასე დაკომპლექტდა.

საჭადრაკო ოლიმპიადაისაგან განსხვავებით, მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდები ოთხ დაფაზე იბრძოლებენ, მეხუთე მოჭადრაკე კი სათადარიგოა.

თუ როგორ ემზადებიან ჩვენი მოჭადრაკეები და რას გეგმავენ ტურნირზე, ამაზე ნაკრების კაპიტანს, ქალბატონ **ნინო გურიელს** ვესაუბრებით.

მაია ჩიბურდანიძე და ნინო გურიელი

- ქალბატონო ნინო, თქვენ ბოლო დროს საჭადრაკო არენაზე იშვიათად ან საერთოდ არ ჩანდით. ახლა კი, უმნიშვნელოვანესი მისია გერგოთ - უხელმძღვანელოთ ქალთა ნაკრებს. რითი იყო თქვენი პასიურობა გამოწვეული, რამ გაგააქტიურათ ამჯერად და როგორ მოემზადეთ ტურნირისთვის?

- წარსულზე წვრილად საუბარი არ მსურს, მაგრამ მოკლედ ეს შემიძლია გითხრათ: ფედერაციის ძველ ხელმძღვანელობასთან მჭიდრო ურთიერთობა ვერ ჩამომიყალიბდა. ძალიან ბევრი ტკივილი შემხვდა, მაგრამ კარგიც ბევრი მახსოვს და ამიტომ არავის განვიკითხავ. როგორც გახსოვთ, 2004 წელს, მაია ჩიბურდანიძის სახელობის ტურნირი ჩავატარე, საკმაოდ დიდი საპრიზო ფონდით. მსურდა, ეს ტურნირი ტრადიციული და საერთაშორისო გამეხადა, მაგრამ მავანმა და მავანმა ისეთი კუდები გამოაბა, თითქოს ეს მხოლოდ პიარკამპანიისთვის მჭირდებოდა, ანუ პრეზიდენტობისთვის ხმებს ვყიდულობდი. ცხადია, ასე არ იყო, მაგრამ ბევრი წამოეგო ამ ფანდზე. შემდგომ, როცა მოვიდა ახალი არჩევნების დრო, ჩემი ყოფილი მოწინააღმდეგეების დიდი ნაწილი მიკავშირდებოდა და არჩევნებში მონაწილეობას მთხოვდა. ყურადღება ძალიან კი მესიამოვნა, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიმიღია, თუმცა ახალი ხელმძღვანელობა ნამდვილად ჩემი მხარდაჭერით მოვიდა. რომან სიჭინავა შესანიშნავი ახალგაზრდაა და მასთან და მის გუნდთან ერთად თანამშრომლობა შესაძლებელია და ბევრ კარგ საქმესაც მოებმება თავი.

მჯერა რომ ბატონი რომანი გაითვალისწინებს ყველაფერს და წარმატებისთვის საჭირო გზებს დასახავს. ასე მაგალითად: ჩემი თხოვნით მარტში ბაკურიანში ორკვირიანი შეკრება გავმართეთ ნაკრების წევრ-კანდიდატებთან ერთად. ასეთი რამ აუცილებელია, თუკი გვსურს, კარგი შედეგი ვაჩვენოთ.

- კმაყოფილი თუ ხართ ნაკრების დღევანდელი შემადგენლობით?

- პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ როცა მომავალში ნაკრების მწვრთნელ-კაპიტანზე მიდგება საქმე, მათი ვინაობა წლის დასაწყისშივე უნდა გახდეს ცნობილი, რადგან გუნდს უნდა ადგენდეს კაპიტანი და არა გუნდი ირჩევდეს კაპიტანს. მე ძალიან კარგად ვიცნობ ჩვენს გოგონებს, ვიცი მათი შესაძლებლობები და აქედან გამომდინარე, მაქვს იმის პრეტენზია, სწორად წარვმართო გუნდის სტრატეგია. არ ვეთანხმები ნაკრების დაკომპლექტების იმ სისტემას, როგორიც წელს მიიღო ფედერაციამ. მართალია, რეიტინგი მნიშვნელოვანია, მაგრამ ქალთა შორის ის ძალიან მერყეევია და დღეს რომ პირველი იყავი, სამი თვის შემდეგ შესაძლოა ბევრად ჩამოქვეითდე. ასე დაემართა ნანა ძაგნიძეს. ნანას რომ თებერვალში "აეროფლოტზე" და ესპანეთში ვაჟთა ტურნირებში არ ეთამაშა, კარგ რეიტინგს შეინარჩუნებდა და ნაკრებში ამ ნიშნით აუცილებლად მოხვდებოდა. მართალია, მან საქართველოს ქალთა ჩემპიონატშიც და ევროპაზეც ვერ ითამაშა სათანადოდ, მაგრამ ვფიქრობ, რომ გუნდში ძალიან სასარგებლოა და შეიძლებოდა მისი დაყენება. თუმცა იმასაც ვერ უარვყოფ, რომ მის კარიერაში არცთუ საუკეთესო დრო უდგას - მცირე ჩავარდნა აქვს.

ასევე ვფიქრობ, რომ საქართველოს ჩემპიონატიდან ნაკრებში მაქსიმუმ ორი მოჭადრაკე უნდა ხვდებოდეს. მესამე ზედმეტია. ადრე, მაიას, ნონას, ნანასა და ჩემს დროს საქართველოს ჩემპიონიც კი ვერ ხვდებოდა გუნდში. ასეთი რამ ერთადერთხელ მოხდა, როცა მანილაში გასამართი ოლიმპიადის წინ გავხდი ჩემპიონი, სადაც კახიანიც თამაშობდა, არახამიაც და სხვებიც. ნაკრებში მხოლოდ ის ერთი ადგილი იყო დარჩენილი. მესმის, რომ საქართველოს ჩემპიონატის პრესტიჟმა უნდა მოიმატოს, მაგრამ ეს ტურნირის ორგანიზაციის და საპრიზო ფონდის ხარჯზეც შეიძლება.

მიუხედავად ამისა, გუნდში ძლიერი მოჭადრაკეები მოხვდნენ. ნინო ხურციძე ძალინ გამოცდილია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჭადრაკის თამაში მაღალ დონეზე შეუძლია. ლელა ჯავახიშვილმა მალიორკაში ოლიმპიადის დროს ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა - ის გუნდის ხერხემალი იყო და წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა. მისი ახლაც მჯერა - დღესაც შესანიშნავ შედეგებს აჩვენებს.

სიმართლე გითხრათ, ბოლომდე არ ვენდობოდი სოფიკო ხუხაშვილს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე ისე კარგად ითამაშა, უნდობლობის ყველა ღრუბელი გამიფანტა. სოფიო გვეტაძე, ისევე როგორც ხუხაშვილი ნაკრების დებიუტანტია, მაგრამ მას კარგ გუნდურ მებრძოლად ვიცნობ - საკლუბო ტურნირებში წარმატებით თამაშობს და მისიც გვეიმედება.

მაია ჩიბურდანიძეზე კი ალბათ საუბარიც არ ღირს - ლეგენდარული მოჭადრაკეა, რომელსაც ახლაც შეუძლია გუნდის ლიდერის ჭაპანი წიოს. მაია პირველ დაფაზე ითამაშებს და მჯერა, რომ - წარმატებულადაც.

- რახან მაიას შესაძლებლობებიც შეაფასეთ, დასტურად ახლახან დასრულებულ დუბაის ტურნირზე ნაჩვენებ შედეგს შევახსენებ მკითხველს - მან 9-დან 6 ქულა დააგროვა, რაც არცთუ ცუდი შედეგია, ისეთი მოჭადრაკისგან, რომელიც უიშვიათესად თამაშობს. ვგონებ, მაიას დაყაბულება თქვენი მონდომების შედეგია. ასეა?

- ასეა და უნდა აღვნიშნო, რომ მაიას ძალიან კარგი შემოთავაზება ჰქონდა ბაქოდან, სადაც ახლა მიმდინარეობს პრეზიდენტ ალიევის სახელობის თასის გათამაშება. მაიას უნდოდა იქ თამაში, მაგრამ ტურნირი 13 მაისს სრულდება, შემდეგ თბილისსა და ქუთაისში სწრაფ ჭადრაკში იმართება ტურნირები და მსოფლიო ჩემპიონატისთვის დასვენებას ვერ მოასწრებდა. ამიტომ ვთხოვე: დუბაიში ეთამაშა და მერე დაესვენა.

ტურნირმა აშკარად არგო ჩიბურდანიძეს - თავიდან ცოტა მძიმედ დაიწყო, რაც პრაქტიკის უქონლობის ნიშანი იყოს, თუმცა ტურნირის მეორე ნაწილი ჩვეულად ძლიერად ჩაატარა და ქულათა საკმაოდ კარგი რაოდენობით დასასრულა ჩემპიონატი.

- როგორც ვიცი, დუბაიში ქართულ დელეგაციას ფინანსურად თქვენ შეენიეთ...

- 2004 წელს გავაკეთე საჭადრაკო პროექტი, რომელიც წარვუდგინე ერთ-ერთ ორგანიზაციას, სამწუხაროდ, ვერ დაგისახელებთ, რომელს. პროექტი მოინონეს და ამის შედეგად მოხერხდა იმ წელს დუბაიში ქართველთა ერთი ნაწილის დაფინანსება. წლეულსაც იგივე გავაკეთე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ისინი დაფინანსდნენ, ვინც 2004-ში "დაიჩაგრონ". ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამან კარგი შედეგი გამოიღო და ლევან ფანცულაია ტურნირის გამარჯვებული გახდა, რასაც გულითადად ვუულოცავ.

საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ ფეხბედნიერი ვარ - ჩემი პრეზიდენტობის დროს საქართველოს ჭადრაკმა ისტორიულ შედეგებს მიაღწია - 2003 წელს ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო იმავე წელს ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა. ასაკობრივ ჩემპიონატებშიც არნახულად ბევრი მედლები მოვიხვეჭეთ. წარმატებები მქონდა როცა ნაკრებ გუნდებს ვხელმძღვანელობდი - 1998 წელს ვაჟთა ნაკრების კაპიტანი ვიყავი ელისტაში, სადაც ოლიმპიადა ჩატარდა და იქამდე ჩვენთვის საუკეთესო შედეგი ვაჩვენეთ - მეექვსე ადგილი; მალიორკაზე - მესამე-მეოთხე გავიყავით ახალგაზრდა გუნდით, შარშან კი ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე მეორეზე გავედით. იმედია, ეკატერინბურგშიც წარმატებას მივაღწევთ.

- წარმატებად რა შედეგს ჩათვლით?

- ვფიქრობ, რომ სამეული დიდი წარმატება იქნება. რაც არ უნდა იყოს, გუნდში ახალბედები არიან. ტურნირზე ძალიან ძლიერი გუნდები თამაშობენ, რომელთაც გამოცდილი წევრები ჰყავთ - ეს ფაქტორი კი მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, უდავო ფავორიტია რუსეთის ნაკრები; შემდეგ მოდიან ჩინელები, უკრაინელები... ცხადია, ჩვენც ლიდერებში ვითვლებით.

- ინდოელები არ გიხსენებიათ...

- სხვათა შორის, ჩემდა გასაკვირად, ინდოეთის ნაკრები პირველ რეზერვშია - თუ ასე დარჩება, კარგია, რადგანაც დუბაიში დავრწმუნდი, რომ ინდოელი ქალები ძალიან ძლიერები არიან.

- კიდევ რომელი გუნდები ითამაშებენ და რა პრინციპით შეხვდებით ერთმანეთს?

- ჩამოთვლილთა გარდა ითამაშებენ სომხეთის, გერმანიის, ვიეტნამის, უნგრეთის, ჩეხეთისა და ბოტსვანას ნაკრები გუნდები. ტურნირი წრიული სისტემით გაიმართება.

- და მაინც, ჩემპიონობას გამორიცხავთ? არ გჯერათ პირველობისა?

- არაფერს გამორიცხავ! რა თქმა უნდა, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ!

- საჭადრაკო პროექტები ახსენეთ. ვიცი, რომ 13 მაისს საინტერესო ტურნირს უწევთ ორგანიზებას. ამ პროექტის ნაწილია ეს ტურნირი?

- დიახ და უნდა მოგახსენოთ, რომ ეს შეჯიბრრბა საკმაოდ მნიშვნელოვან თარიღს ეძღვნება: წელს 45 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნონა გაფრინდაშვილმა პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მსურდა შეჯიბრება ორ დღედ ჩატარებულიყო, მაგრამ 15-16 მაისს ქუთაისში ტრადიციული ტურნირი - "სავარდო და სამაისო" იწყება და მონაწილეებმა მთხოვეს, ერთ დღეში ჩავტეულიყავით. მონაწილენი კი სამი თაობის მოჭადრაკეები იქნებიან: ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნინო გურიელი, ნაკრების ყველა წევრი, მაია ლომინეიშვილი და ნანა ძაგნიძე, რომლებიც პერსონალურად მოვიწვიე; ახალგაზრდა თაობიდან - სოფიკო გურამიშვილი, სალომე მელია და მაკა ფურცელაძე. სისტემა აქაც წრიული იქნება, სათამაშო დრო კი 5 წუთი, ყოველ სვლაზე ორი წამის დამატებით.

ჩემი პროექტის მთავარი ნაწილი კი მაია ჩიბურდანიძის სახელობის ტურნირის მეორედ ჩატარებაა. ჯერ ვფიქრობდი, რომ ძველი ფორმით ჩამეტარებინა, მაგრამ რომან სიჭინავამ დამარწმუნა, რომ უფრო დიდი მასშტაბის ტურნირის ჩატარება სჯობდა და ასეც გადაწყდა - 6 ივნისს თბილისის ჭადრაკის სასახლე მაია ჩიბურდანიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. დუბაიში ყოფნისას ჩამოსვლის სურვილი ძალიან ბევრმა გამოთქვა - ჩამოვლენ არაბები, ავსტრალიელები, აზერბაიჯანელები, სომხები და ევროპის და აზიის სხვადასხვა ქვეყნის მოჭადრაკეები.

ტურნირის საპრიზო ფონდი 17 000 ლარია. დამზადდება სპეციალური თასი, რომლის ესკიზებიც დღე-დღეზე შეიქმნება. ცხადია, დაწესდება სხვადასხვა პრიზი. ჩემი აზრით, ძალიან დიდი საჭადრაკო ზეიმი შედგება.

ამას გარდა მაქვს ერთი ოცნებაც და, იმედია, ამასაც შევასხამ ხორცს. საქმე ისაა, რომ გულში ხინჯად მაქვს საქართველოს ვაჟთა ნაკრების სომხეთთან მარცხი, რომელიც 2002 წლის ოლიმპიადაზე, ბოლო ტურში ვიწვნიეთ - 1:3 დავმარცხდით და ბრინჯაოს მედლები მეტოქეს გადავულოცეთ. ამის შემდეგ სომხებთან სულ ვაგებთ. ჩემი სურვილია, თბილისში ოლიმპიური ჩემპიონები მოვიწვიო - სომხეთის კაცთა ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონია - და საქართველოს ნაკრებს მატჩში შევახვედრო. ეგებ აქ მაინც მოვუგოთ. როგორც იცით, სომხეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ სომხეთის პრემიერ-მინისტრი სერჟ სარქისიანი და მინდა ბატონ ზურაბ ნოღაიდელს ვთხოვო ამ საქმეში დახმარებას. ტურნირის ჩატარებას მომავალი წლისთვის, საჭადრაკო ოლიმპიადამდე ვეგეგმავ.

- ნარმატებებს გისურვებთ თქვენ და საქართველოს ნაკრებს.

- მადლობა თქვენ, გამოჩენილი ყურადღებისთვის.

ზვიად შათირიშვილი

ფრენბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

ჯიკო მეორე ფინალისტია

საქართველოს ქალთა პირველობაზე მეორე ფინალისტის ვინაობა გაირკვა. დიდ ჯიხაიშში, "ჯიკოსა" და "დუშეთის" მეორე მატჩზე სტუმრები არ გამოცხადნენ და წაგება ჩაეთვალათ. ფინალში ჯიხაიშელები გავიდნენ. ფინალის პირველ მატჩში, თბილისის ოლიმპიური ცენტრის გუნდი 12 მაისს "ჯიკოს" უმასპინძლებს, მეორე მატჩი კი კვირის თავზე დიდ ჯიხაიშში გაიმართება. საჭიროების შემთხვევაში მესამე თამაში იქვე, მეორე დღესვე შედგება. მესამე ადგილისთვის ოლიმპიური ცენტრი 2 პირველ თამაშს 11 მაისს, დუშეთში გამართავს.

ჩოგბურთი

ერთი ნაბიჯი დააკლდა

ერთი ნაბიჯი დააკლდა 24 წლის **მაკა ჩახნაშვილს** (152) WTA-ს დიდი ტურნირის, გერმანიის ღია პირველობის ძირითად ბადეში გასასვლელად. ტურნირის სპონსორია "ყატარ ტელეკომი", საპრიზო ფონდი კი მილიონ 340 ათასი დოლარია. მაკა ჩახნაშვილი საკვალიფიკაციო ბადეში მე-15 ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში მაკას "უაილდ ქარდით" მიწვეული 16 წლის რუსი **ქსენია პერვაკი** (ახალგაზრდებში მე-7 ჩოგანი, დიდებში - 755-ე) ერგო, პერვაკთან მაკას პრობლემა არ ჰქონია - 6:4, 6:3. ფინალურ წრეში ჩახნაშვილის მეტოქე 20 წლის გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩი** (163) იყო, ბერლინის თიხნარზე თანაბარი ბრძოლა გაიმართა, მაკამ პირველი სეტი 6:2 მოიგო, მეორე 3:6 დათმო, გადამწყვეტ სეტში კი საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, რომელიც მასპინძელმა 7:5 მოიგო - 6:2, 3:6, 5:7.

ფლორიდის ქალაქ ინდიან ჰარბორ ბიჩში გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი (50 ათასი დოლარი), პირველ საკვალიფიკაციო წრეში **სალომე დევიძემ** (520) ზელანდიელი **შონა ლი** (609) დაამარცხა - 6:3, 6:3. მეორე წრეში სამი ქართველიდან ორი დარჩა (დევიძე და ტატიშვილი, **სოფიო მელიქიშვილი** პირველ წრეში დამარცხდა), თუმცა ერთი ამ ეტაპზეც გაიცხრილა - დევიძის მეტოქე საკვალიფიკაციო ტურნირში პირველ ნომრად განთესილი ბრიტანელი **ნაომი კეევედეი** (274) იყო, სალომემ - 2:6, 1:6 წაგო. ანა ტატიშვილმა (335) ორ სეტში მოუგო ამერიკელ **ლინდსი ლიუოტერსს** (473) - 6:2, 6:2. ბოლო ეტაპზე ანას მეტოქეა კანადელი **ეკატერინა შულაევა** (381).

ნიკოლოზ ნეფარიძე

მაკა ჩახნაშვილი ბერლინში თამაშისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

თბილისის ბომბარდირის გიორგი წივწივაძის შეტევა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი

ექვსი ბურთი მეჩვიდმეტე გაელვებამდე

ფინალი. პირველი მატჩი

8 მაისი, სტუ

სტუ-თელავი — თბილისი 35:29

სტუ-თელავი: სამყურაშვილი, გოგალაძე, ქობელაშვილი (4), ა. ყიფიანი (1), სიგუა, ნიკოლაიშვილი (3), ბერძენიშვილი (2), მსხვილიძე (16), გ. ჩიქოვანი, გ. კობახიძე (5), ი. ჩიქოვანი, მ. კობახიძე (1), ო. ყიფიანი (1), ტალახაძე (2)

თბილისი: ანდრიაძე, სეთურიძე, ფარაჯევი (5), ნატროშვილი (1), ფორაქიშვილი, წივწივაძე (15), სამარღანიშვილი, ქირია (1), ღაღანიძე (2), გრიშიკაშვილი, ოსიყმაშვილი, გელაშვილი (5), ქუთათელაძე

მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში, "თბილისმა" სტუმრად პრინციპული მატჩი მოუგო სტუ-"თელავს" და ფინალებისთვის საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბევა. იმ შეხვედრაში, გამარჯვებულთა შორის, მეკარეების გარდა, მატჩის ერთ-ერთი გმირი იყო ჩვენი ჩემპიონატს დებიუტანტის აზერბაიჯანელი ლეგიონერი **ელდარ ფარაჯევი**. თუმცა, გუშინ მან ბოლომდე ვეღარ გაამართლა "თბილისის" თავკაცი **მამუკა მჟავანაძის** იმედები. მწვრთნელმა ლეგიონერი თავიდან ბოლომდე ათამაშა და, მართალია, ფარაჯევმა ხუთი გოლი გაიტანა, მაგრამ უფრო მეტის გატანა თუ არა, დაცვაში ნამდვილად უკეთ თამაში მართებდა. ალბათ ჯობდა, მჟავანაძეს დროდადრო ამოსუნთქვის საშუალება მიეცა ფარაჯევისთვის და ცოტა მეტი სათამაშო დრო გამოეყო **გიორგი ნატროშვილისთვის**. გარემარბად შეიძლებოდა **ლევან ოსიყმაშვილის** გამოყენება. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ოპტიმალურ ფორმაში ვერ არიან ტრავმამოშუშებული **ფორაქიშვილი** და **სამარღანიშვილი**, ხოლო ძირითადმა მეკარე **კორნელი ანდრიაძემ** თელავში მიღებული ტრავმა გუშინ კიდევ უფრო გაირთულა და საერთო ჯამში, სრული ერთი ტაიმი ძლივს ითამაშა. მის შემცვლელ **გაგა სეთურიძეს** ძალიან უჭირდა გავეშებული მასპინძლების გამკლავება. "თბილისი" ისევ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ხელბურთელის, **ლევან გელაშვილის** კლასმა და **გიორგი წივწივაძის** შეუპოვარმა ბრძოლამ გადაარჩინა უფრო დიდი ანგარიშით წაგებას. თუმცა, ცოტა მეტი ყურადღებით რომ ეთამაშათ, არც "თბილისის" მოგება იქნებოდა მოულოდნელობა.

კოლეგისგან განსხვავებით, შემადგენლობაში ვარირების უფრო მეტი საშუალება ჰქონდა სტუ-ს თავკაც **ირაკლი კეკელიძეს**. მდგომარეობა რომ გამწვავდა, მან მეორე ტაიმში აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც მოედანზე **გიორგი კობახიძე** შეუშვა. გიორგი მეტოქის დაცვის ცენტრს უპრობლემოდ არღვევდა, საკვანძო მომენტებში ხუთი, ჰაერივით საჭირო ბურთი შეაგდო და ფაქტობრივად, მან გადაწყვიტა თამაშის ბედი. არ შეიძლება მის გვერდით არ მოვიხსენიოთ **რატი მსხვილიძეც**, რომლის განეიტრალებას ვერაფრით ახერხებდნენ თბილისელები. რატი საკმაოდ ადვილად უტევდა და პრაქტიკულად, ყველა დარტყმული გაიტანა. როცა მეტოქე დროდადრო ასე თუ ისე, ახერხებდა ამ ორი ხელბურთელის შეჩერებას, ხან საქართველოს ნაკრების გამოცდილი კაპიტანი **გიორგი ქობელაშვილი** გაილაღებდა ხოლმე, ხანაც **ტალახაძეს, ნიკოლაიშვილს, ბერძენიშვილსა** და სხვა ხელბურთელებს გაჰქონდათ.

ისიც აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მომენტში, სტუ-"თელავმა" რიცხობრივ უმცირესობაში მოახერხა გოლის გატანა. ამას გარდა, სტუ-ს კარში რვაჯერ (!) დაინიშნა პენალტი, საიდანაც შვიდჯერ წივწივაძემ იხეირა, **ქირიამ** კი სამყურაშვილს ვერ აჯობა. თავის მხრივ, "თელავმა" მხოლოდ სამი პენალტი დაარტყა და მსხვილიძემ სამივე გოლად აქცია.

სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ მიუხედავად მატჩის წინ ამტყდარი მითქმა-მოთქმისა, გუშინ, მსაჯობა საკმაოდ ნორმალური იყო. **ელენე არაბულმაც** და **ინა ჭკუასელმაც** შესანიშნავად გაართვეს საქმეს თავი. ყოველ შემთხვევაში, არბიტრების მიმართ არცერთ გუნდს რაიმე განსაკუთრებული პრეტენზია არ გამოუთქვამს.

საწყისი წუთები სტუ-"თელავის" უპირატესობით წარიმართა და 4:1 დაწინაურდა. თუმცა, 12 წუთის შემდეგ, ტაბლოზე 5:4 ენთო "თბილისის" სასარგებლოდ. სტუ-ელებმა კვლავ მოახერხეს სამბურთიანი უპირატესობით დაწინაურება, მაგრამ ტაიმის მიწურულს, გელაშვილმა გაიყვანა წინ "თბილისი" ანალოგიური სხვაობით. შესვენების შემდეგ სტუმრები ორბურთიანი უპირატესობით (16:14) იგებდნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე, ფარაჯევმა გაიტანა და "თბილისი" კიდევ ერთხელ გაიჭრა წინ სამი გოლით – 17:14. ამან საბოლოოდ გამოაფხიზლა მასპინძლები და მთელი მეორე ტაიმი მათი კარნახით წარიმართა. "თელავმა" მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე, წინ გასვლა მოახერხეს და ნელ-ნელა დაიწყეს სხვაობის გაზრდა. საფინალო სირენამდე 11 წუთით ადრე კი სამარღანიშვილი მატჩის ბოლომდე გააძევეს მსხვილიძესთან უხეშობის გამო, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა "თბილისის" მდგომარეობა...

ბოლო წამებზე, ქობელაშვილის გოლმა მატჩის საბოლოო ანგარიში დაფიქსირა – 35:29 სტუ-"თელავის" სასარგებლოდ. ამით სტუ-ელებმა გვარიანი ნაბიჯი გადადგეს ზედიზედ მეჩვიდმეტედ გაჩემპიონობისაკენ. ვერ გეტყვით, რა მოხდება 19 მაისს, მეორე მატჩში, მაგრამ საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია, რომ "თელავმა" ამხელა ფორა გაანიავოს.

თუმცა, მატჩის შემდეგ **მამუკა მჟავანაძემ** გვითხრა, რომ საკუთარ მოედანზე სასურველი სხვაობით მოგების იმედი არ გადაუწურავს. **ირაკლი კეკელიძემ** ექვსბურთიანი ფორა დიდი უპირატესობად მიიჩნია, მაგრამ არა ისეთად, თავი ქუდში რომ იგრძნოს.

კობა ხატისაშვილი

ჩაგბი

ერთა თასი

ივნისში თუ ნოემბერში?

ერთა თასის გათამაშების პირველი წრის ბოლო მატჩი საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს 23 ივნისს, თბილისში პორტუგალიის გუნდთან უნდა გაემართა. როგორც ჩანს, თამაში ამ დღეს არ გაიმართება. რაგბის საერთაშორისო საბჭოს ინიციატივით, მატჩი ნოემბერში უნდა გადაიტანონ.

- წინადადებით IRB-მ მოგვმართა- გვიამბობს რაგბის კავშირის სანაკრები კომიტეტის ხელმძღვანელი **ირაკლი გვენეტაძე**- გვითხრეს, ორივეს მსოფლიო თასზე გაქვთ სათამაშო და ეს მატჩი ხომ არ გადაგვეტანაო. ჩვენ მწვრთნელებს დავეკითხეთ, ქართველებმაც და ფრანგებმაც გვითხრეს - არ იქნებოდა ცუდიო. ამის შესახებ IRB-ს ვაცნობეთ და ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია. ჯერ დანამდვილებით, არ ვიცით, გადაიტანენ თუ არა თამაშს.

- ნოემბერში, მსოფლიო თასის შემდეგ საქართველოს ნაკრებისთვის ხელსაყრელი არ უნდა იყოს პორტუგალიასთან თამაში, რადგან ნაკრების წევრთა უმრავლესობა შესაძლოა კლუბებმა სათამაშოდ არ გამოუშვან.

- დიახ, ამის საშიშროება რეალურად არსებობს და მაგაზეც ბევრი ვიფიქრეთ. ვნახოთ, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია...

ბესიკ ჯანგავაძე

რაგბი. ზე-14

MAMA AFRICA

სამხრეთ ნახევარსფეროში დასრულდა საკლუბო რაგბის უძლიერესი ტურნირის, ზე-14-ის რეგულარული სეზონი. გაირკვა იმ ოთხეულის ვინაობა, რომლებიც ფლეი ოფში გააგრძელებენ ბრძოლას, ამათგან ორი ტიტულოვანი ზელანდიური კლუბია: "კრუსეიდერზი" და "ბლუზი", ორიც აფრიკული - "შარქსი" და "ბულზი".

ჩემპიონ "კრუსეიდერზს" შინ 26-მატჩიანი მოგებათა სერია შეუწყვიტეს, ეს ზელანდიურმა "ჩიფსმა" მოახერხა - 30:24, რაც ჩემპიონს ძვირად დაუჯდა - "კრუსეიდერზი" მესამე ადგილზე გავიდა და ფლეი ოფში მასპინძლობის უფლება დაკარგა. ზელანდიურმა "ბლუზმა" პერტში 33:6 გამარჯვებით დაიბევა ბოლო საფლეიოფო საგზური, რომელიც კინაღამ დაკარგა ბოლო ტურებში ცუდი თამაშის გამო. პრეტორიაში "ბულზმა" ზე-14-ის ახალი რეკორდი დაამყარა, "რედსს" 13 ლელო გაუტანა და 92:3 მოუგო. "ბულზს" "კრუსეიდერზის" გადასასწრებად 77-ქულიანი და მეტი სხვაობით მოგება აწყობდა და ამ მოგებით ფლეი ოფში მასპინძლობაც დაიბევა. პირველად ტურნირის ისტორიაში ფლეი ოფში ორი აფრიკული გუნდია და ორივე ნახევარფინალი აფრიკის კონტინენტზე იმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ზე-14, რეგულარული სეზონი, ბოლო ტური

კრუსეიდერზი-ჩიფსი 24:30

კრუსეიდერზი (ზელ): 2ლ (ფილიპო, მაკკოუ), გ, 4ს (ბრეტი)

ჩიფსი (ზელ): 2ლ (სივივატუ), გ, 6ს (დონალდი)

ფორსი-ბლუზი 6:33

ფორსი (აკს): 2ს (გიტო)

ბლუზი (ზელ): 4ლ (ვულფი, აფოა, მეალამუ, ვუდკოკი), 2გ, 3ს (მაკალისტერი)

პაილენდერზი-ბრამბიზი 10:29

პაილენდერზი (ზელ): ლ (კავაუ), გ,ს (ევანსი)

ბრამბიზი (აკს): 4ლ (ჰაქსლი, ეშლი-კუპერი, მორტლოკი, ჩიშოლმი), 3გ (მორტლოკი 2, ლარქემი), ს (მორტლოკი)

პარიკენზი-ვორათაზი 14:28

პარიკენზი (ზელ): 2ლ (გოპერტი, კოლინზი), 2გ (ვეეპუ)

ვორათაზი (აკს): 4ლ (მამი, ტერნერი, ტუნქირი, ჯეიკობსი), 3გ,4ს (პიუეტი)

ლაიონზი-ჩიტაზი 10:16

ლაიონზი (აფრ): ლ (ვილემსე), გ,ს (პრეტორიუსი)

ჩიტაზი (აფრ): ლ (ფრედერიკსი), გ, 2ს (დე ვაალი), ა (ფორტუინი)

სტორმერსი-შარქსი 10:36

სტორმერსი (აფრ): ლ, გ, ს (გრანტი)

შარქსი (აფრ): 5ლ (კანკოვსკი, მიურეი, მონტგომერი, შტაინი, პიტერსენი), 4გ,ს (მონტგომერი)

ბულზი-რედსი 92:3

ბულზი (აფრ): 13 ლ (პაბანა 2, ფანენბურგი, გ. ბოთა, ფან პეერდენი 2, ოლივერი, სფაისი 2, დუ პრესი, კუნი 2, ფანდერვესტ-პოიზენი), 12 გ (პუგაარდი 11, შტაინი), ს (პუგაარდი)

რედსი (აკს): ს (შიფკოვსკი)

	თ	მ	ფ	შ	ბ	პრ	ქ
შარქსი	13	10	0	3	355-214	5	45
ბულზი	13	9	0	4	388-223	6	42
კრუსეიდერზი	13	8	0	5	382 235	10	42
ბლუზი	13	9	0	4	355-235	6	42
ბრამბიზი	13	9	0	4	234-173	4	40
ჩიფსი	13	7	1	5	373-321	10	40
ფორსი	13	6	1	6	276-292	6	32
პარიკენზი	13	6	0	7	247-300	3	27
პაილენდერზი	13	5	0	8	235-301	7	27
სტორმერსი	13	6	0	7	249-326	3	27
ჩიტაზი	13	4	1	8	265-342	4	22
ლაიონზი	13	5	0	8	175-284	2	22
ვორათაზი	13	3	1	9	266-317	7	21
რედსი	13	2	0	11	201-438	3	11

მელელოვანები: პიტერსენი (შარქსი) - 10, მასაგა (ჩიფსი) - 8, გიარი (კრუსეიდერზი) - 7.
მეძალლეები: დონალდი (ჩიფსი) - 164, პიუეტი (ვორათაზი) - 156, პუგაარდი (ბულზი) - 124

ნახევარფინალი

12 მაისი

შარქსი-ბლუზი (დურბანში)

ბულზი-კრუსეიდერზი (პრეტორიაში)

კრუსეიდერზი-ჩიფსი

თეძილი

ბიძინა მაზიაშვილი. 09.05.1928, ზემო მაჩხაანი, დედოფლისწყარო - 14.10.2004, თბილისი. ძიუდო, მწვრთნელი. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1964-82, 93-95), სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1970-81). მიწვეული იყო იაპონიაში ქართული ჭიდაობის გაკვეთილების ჩასატარებლად (1990). მისი აღზრდილები არიან: ანზორ მარტყოფლიშვილი, ჯიბილო ნიჟარაძე, გივი ონაშვილი, რამაზ ხარშილაძე, ფარნაოზ ჩიკვილაძე, გურამ გოგოლაური, ამირან მუზაევი (ყველა - ძიუდო), გენადი გიორგაძე, მალხაზ ბერუაშვილი (ორივე - სამბო). სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. ღირსების ორდენის კავალერი.

ოთარ ტატიშვილი. დაიბადა 09.05.1947, თბილისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1971). იყო საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი (1984) და სსრკ ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების მწვრთნელი (1984-87). მისი აღზრდილები არიან: რამაზ ნოზაძე, გელა პაპაშვილი, აკაკი ჩაჩუა და გიორგი ჯინჭველაშვილი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ღირსების ორდენის კავალერი. დღეს ბატონი ოთარი 60 წლისა გახდა. ვულოცავთ!



ბუზერმა ფარზე ყველას აჯობა

NBA. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

ჩიკაგო ისევ შერცხვა

ალმოსავლეთი

დეტროიტი-ჩიკაგო 108:87

34:18, 24:25, 25:19, 25:25

დეტროიტი: პრინსი (25 ქ. 7 მ), ჰამილტონი (24 ქ. 9 მ. 6 პ), უებერი (22 ქ. 7 მ), ბილაპსი (14 ქ. 10 პ), რ. უოლასი (10 ქ. 7 მ), მაკდაესი (5 ქ. 7 მ), მაქსიელი (4 ქ. 8 მ).

ჩიკაგო: ტ. ტომასი (18 ქ), დენგი (16 ქ), ბ. უოლასი (13 ქ. 7 მ. 3 დ), გორდონი (13 ქ), ნოჩიონი (12 ქ), დუპონი (3 ქ. 6 პ), ჰაინრიხი (2 ქ. 6 მ. 7 პ).

სერია 2:0

"ჩიკაგო" საკუთარ თავს არ ჰგავს. "ხარები" დეტროიტის არენაზე ზედიზედ მეორედ განადგურდნენ და თუ თავიანთ თამაშს არ დაალაგებენ, შესაძლოა ამ ეტაპზე ეს ყველაზე მოკლე სერია გამოდგეს. ორ მატჩში, "დეტროიტმა" მეტოქეს ჯამში 47 ქულით მოუგო.

თუ წინა ეტაპსაც ჩავთვლით, "პისტონზმა" ზედიზედ მეექვსე შეხვედრაში იმარჯვა, რაც ამ გუნდის საუკეთესო სერიაა 1989 წლის შემდეგ. 18 წლის წინათ, დეტროიტელებმა ფლეი ოფში ზედიზედ 7 მატჩი მოიგეს და იმ წელიწადს, ჩემპიონებიც გახდნენ.

პირველი მეოთხედის სტარტზე, მასპინძლები 8:0 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ, მეტოქეებმა ზუსტი შეტევები გაცვალეს და 20:13-ზე, "დეტროიტმა" მორიგი "გაქცევა" განახორციელა - მეოთხედის ბოლო 5 წუთი 14:5 მოიგო და 16 ქულით დაწინაურდა.

მეორე 12-წუთიულში, მასპინძლების უპირატესობამ 24 ქულასაც მიაღწია და ასე გაგრძელდებოდა მატჩის ბოლომდე, რომ არა ჩიკაგოელი **ტაირუს ტომასის** შედეგიანი თამაში. ბოლო მეოთხედში ამ კალათბურთელის ანგარიშზე 12 ქულა იყო. სწორედ მისი მონდომებით, "ბულზმა" 13 ქულამდე დაიყვანა ჩამორჩენა (80:93), მაგრამ ეს ლოკალური წარმატება აღმოჩნდა. იქვე **რაშიდ უოლასმა** იმავე ტომასს თავზე გადაატენა ბურთი, ხოლო **ჩონსი ბილაპსმა** ზუსტი სამქულიანი შეასრულა და მატჩიც აქ დასრულდა.

ჩიკაგოელთა მარცხის ძირითადი მიზეზი, თამაშიდან სროლების გამოყენების საშინელი პროცენტი გახდა - ეს მაჩვენებელი 350 პროცენტზე დაბალი იყო. ამ გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა - **კირკ ჰაინრიხმა** 7-დან ვერცერთი ტყორცნა ვერ მოათავსა კალათში.

გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო გახლდათ **ტაიშონ პრინსი,** რომელმაც, გარდა იმისა, რომ 25 ქულა დააგროვა, თამაშიდან გამოთიშა **ლუოლ დენგი.** ამ უკანასკნელმა 16 ქულა კი მოიპოვა, მაგრამ 12-დან მხოლოდ 4 "ცოცხალი" ბურთი ჩააგდო. იგივე დამართა პრინსმა დენგს სერიის პირველ მატჩშიც. არადა, "მაიამისთან" სერიაში, დენგი საშუალოდ 26.3 ქულას აგროვებდა.

დასავლეთი

იუტა-გ. სტეიტი 116:112

37:35, 26:31, 21:23, 32:23

იუტა: დ. უილიამსი (31 ქ. 5 მ. 8 პ. 2 ჩ), ოქური (21 ქ. 11 მ. 3 ჩ), ჰარპრინგი (21 ქ. 5 მ), ბუზერი (17 ქ. 20 მ. 3 ჩ), კირილენკო (13 ქ. 7 მ. 4 პ. 7 დ).

გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (24 ქ. 7 პ. 2 დ), ჯ. რიჩარდსონი (21 ქ. 10 მ. 4 პ. 3 ჩ), ჰარინგტონი (21 ქ. 2 დ), ბარნსი (20 ქ. 10 მ. 4 ჩ), ს. ჯექსონი (16 ქ. 4 პ. 3 ჩ).

სერია 1:0

"დალასის" სენსაციურად დამარცხების შემდეგ, "გოლდენ სტეიტს" შეეძლო სოლტ-ლეიკ-სიტიში გაეგრძელებინა თავისი ტრიუმფალური სვლა. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ სტუმრები საკუთარ ფარზე უფრო ყურადღებით ითამაშებდნენ.

მასპინძლებმა "მეომრებს" მოხსნების მხრივ, 54:36 აჯობეს. ამ 54 მოხსნიდან, "ჯაზმენებმა" 20-ჯერ მეტოქის ფარზე ივარგეს, რამაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

"გოლდენ სტეიტმა" პირველი ტაიმი 3 ქულით მოიგო, ხოლო ბოლო მეოთხედის წინ, **დონ ნელსონის** შეგირდების უპირატესობა 5 ქულას შეადგენდა.

მატჩმა კულმინაციას საფინალო სირენამდე 33 წამით ადრე მიაღწია. 112:112-ზე, **მეჰმეთ ოქურმა** სამქულიანი ვერ გამოიყენა, მაგრამ შეტევაში **კარლოს ბუზერმა** (სულ 20 მოხსნა მატჩში) ივარგა, რომელმაც ჯერ მოხსნა ბურთი, შემდეგ ზუსტად ისროლა (17 წამით ადრე) და თავისიანები ორი ქულით დაწინაურა. საპასუხო შეტევაში, "გოლდენ სტეიტმა" **სტივენ ჯექსონის** სამქულიანით სცადა წინ გასვლა, მაგრამ ყოფილმა ინდიანელმა არაზუსტად ისროლა. ბურთი **მეტ ჰარპრინგმა** მოხსნა. მასზე სტუმრები დაჯარიმდნენ და ვეტერანმა ორივე საჯარიმო ზუსტად შეასრულა - 116:112. ამის შემდეგ, ანგარიში აღარ შეცვლილა და "იუტამ" უმძიმესი მატჩი მოიგო. სხვათა შორის, "ჯაზი" 2000 წლის შემდეგ, პირველად თამაშობს ფლეი ოფის მეორე რაუნდში.

"უორიორზმა" იმიტომაც წააგო ეს მატჩი, რომ მისმა სარეზერვო მოთამაშეებმა ითამაშეს ძალიან სუსტად. "გოლდენ სტეიტის" მთავარმა რეზერვისტმა - **ელ ჰარინგტონმა** 21 ქულა მოიპოვა, 15 ქულით მეტი, ვიდრე "მეომრების" სხვა, ერთად აღებულმა სათადარიგოებმა. და კიდევ, სტუმრებმა მეოთხე მეოთხედში 20 ტყორცნა განახორციელეს და აქედან მხოლოდ რვა ჩააგდეს "იუტას" კალათში.

გუშინ, "ჯაზმა" ფლეი ოფში გამობრძმედილი მცველის - **დერეკ ფიშერის** გარეშე მოიგო. ყოფილი ლეიკერსელის შვილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და ფიშერის უთამაშებლობის მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ. შეგახსენებთ, რომ ეს კალათბურთელი გასულ ზაფხულს "გოლდენ სტეიტიდან" გადავიდა "იუტაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირების მიმოხილვა

ფედერერი vs ნადალი ამჯერად წყვილებში

მსოფლიოს ორი საუკეთესო ჩოგბურთელის - შვეიცარიელი **როჯერ ფედერერისა** და ესპანელი **რაფაელ ნადალის** დაპირისპირება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. მნიშვნელოლება არ აქვს, ისინი საჩვენებელ შეხვედრას მართავენ შერეული საფარის კორტზე, თუ წყვილებში უპირისპირდებიან. მთავარია, რომ კორტის სხვადასხვა მხარეს იდგნენ.

მათი მორიგი საერთეულო შეხვედრა რომის მასტერსზეა მოსალოდნელი, მანამ კი, სანამ ერთეულთა ტურნირში ჩაერთვებიან, წყვილებში მოთელვა განიზრახეს და ბედის ირონიამ, ისინი პირველივე წრეში შეახვედრა. და ისევე, როგორც რამდენიმე დღის წინათ, მალიორკას შერეულ (თიხა-ბალახის) კორტზე, ამჯერადაც მოგებული ესპანელი დარჩა.

ორივე ჩოგბურთელმა თანაგუნდელად თანამემამულე აირჩია - ფედერერმა **სტანისლას ვავრინკა,** ნადალმა კი - **კარლოს მოია.** შეხვედრა საინტერესო გამოდგა და ნადალი-მოიას წყვილმა ის ორ სეტში მოიგო. ამგვარად, ნადალმა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ერთთვიან მონაკავეთში მესამედ დაამარცხა. მალიორკას შერეული საფარის გარდა, მან ეს მონტე კარლოს მასტერსის ფინალშიც შეძლო.

სხვათა შორის, წყვილებში ნადალი და ფედერერი მეორედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მათი პირველი შეხვედრა სამი წლის წინათ, ინდიან ველსზე მოხდა. მაშინ ნადალის პარტნიორი ესპანელი **ტომი რობრედო** იყო, ფედერერისა კი - შვეიცარიელი **ივ ალეგრო.** მაშინაც გამარჯვება ესპანელებს დარჩათ.

"როგორც წესი, ჩვენს ნებისმიერ შეხვედრას ხალხი ერთეულების დაპირისპირებად აღიქვამს, ეს კი არასწორია. ჩვენ დღეს წყვილებში შევხვდით ერთმანეთს, ეს არის და ეს. საერთოდ, წყვილებში იშვიათად ვთამაშობ ხოლმე. ამჯერად კი ეს იმიტომ გავაკეთე, რომ სტანს დავხმარებოდი, რომელსაც ტრავმის შემდეგ ფორმაში სასწრაფოდ შესასვლელად, სათამაშო პრაქტიკა სჭირდება", - განაცხადა ფედერერმა.

რომშივე, ერთეულთა ტურნირს პირველივე წრეში გამოეთიშა ბრიტანელი **ენდრიუ მარეი,** რომელმაც მოულოდნელად, სამ სეტში წააგო ფრანგ **ჟილ სიმონთან.** ტურნირის პირველ დღეს, განთესილთაგან მარეის გარდა, ესპანელმა **ხუან კარლოს ფერერომაც** ითამაშა და ბრიტანელისგან განსხვავებით, მან მოგება შეძლო. საფრანგეთის ღიას ყოფილი ჩემპიონის მეტოქე იყო სლოვაკი **დომინიკ ჰრბატი,** რომელმაც პირველი სეტი კი მოიგო, მაგრამ შემდეგ ვეღარაფერი მოუხერხა თიხნარის სპეციალისტ მეტოქეს.

ტურნირს პირველივე წრეში გამოეთიშა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი,** რომელმაც ამჯერად განთესვის გარეშე ითამაშა. მან ესპანელ **ოსკარ ერნანდესს** პირველი სეტი კი მოუგო, მაგრამ შემდეგ თამაში აერია და ზედიზედ ორი წააგო.

რაც შეეხება მარეის, ის რეიტინგის მოწინავე ათეულში სეზონის პირველ ორ სამასტერსო ტურნირზე კარგი თამაშის წყალობით შევიდა, ის ორი ტურნირი (ინდიან ველსი და კი ბისკეინი) ჰარდზეა, რომში კი ჩოგბურთელები თიხის საფარზე თამაშობენ. მარეისთვის კი ეს არაა ფავორიტი საფარი.

წაგების შემდეგ შოტლანდიელმა განაცხადა, დიდი პაუზა გამომივიდა, თიხა კი კარგ ფიზიკურ მომზადებას საჭიროებს და ჩემთვის ამ შეხვედრაში პრობლემა სწორედ უთამაშებლობა იყოო. თუმცა, წაგების მიუხედავად, თავისი თამაშის ხარისხით მაინც კმაყოფილი დარჩა - როგორც კი სათამაშო პრაქტიკას დავაგროვებ, ეს ჩემს შედეგებზეც აისახებაო.

აღსანიშნავია, რომ მარეისა და სიმონის შეხვედრა წვიმის გამო, ორი საათით გადაიდო. წვიმა რომ დაიწყო, ორივე ჩოგბურთელს თითო სეტი მოგებული ჰქონდა. თამაშის განახლების შემდეგ, უპირატესობას სიმონი დაეუფლა, რომელიც კარგად სარგებლობდა მეტოქის მიერ დაშვებული შეცდომებით. შედეგად, ის 4:0 დაწინაურდა. შოტლანდიელმა ერთი ბრეიკის გაქვითვა კი შეძლო, მაგრამ მეტი ველარ მოახერხა.

ფედერერის დამარცხებაში ნადალს (მარჯვნივ) ამჯერად მოია დაეხმარა

ATP

Internazionali BNL d'Italia

რომი (იტალია). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 2 082 500 ევრო

I წრე

ჟილ სიმონი (საფ)-ენდი მარეი (ბრიტ, 10) 6:1, 1:6, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 16)**-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ) 3:6, 6:1, 6:4; **ხოსე აკასუსო (არგ)**-მარტინ ფერკერკი (ჰოლ) 6:3, 7:5; **დანიელე ბრაჩიალი (იტა)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 7:5, 7:6 (2); **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:3, 6:1; **გილერმო კანიასი (არგ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:5, 6:2; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს)**-იონას ბიორკმანი (შვედ) 7:6 (10), 3:6, 6:1; **რობინ სიოდერლიგი (შვედ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-ტომ ჰენმანი (ბრიტ) 7:5, 6:1; **ოსკარ ერნანდესი (ესპ)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 3:6, 7:6 (3), 6:1.

WTA

გერმანიის ღია

ბერლინი (გერმანია). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

I წრე

შაარ პეერი (ისრ, 13)-ანა ლენა გრონეფელდი (გერ) 6:1, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 14)**-მარია კირილენკო (რუს) 6:1, 3:6, 6:1; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:3, 6:7(6), 6:0; **სვევრინ ბრემონი (საფ)**-საბინ ლისიცკი (გერ) 6:2, 6:1.

პრაღის ღია

პრაღა (ჩეხეთი). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

I წრე

ვირჟინ რაზანო (საფ, 7)-ტიან ტიან სუნი (ჩინ) 6:0, 7:5; **სანდრა კლოზელი (გერ)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 7:5, 6:0; **მილაგროს სეკერა (ავნ)**-ჯული დიტი (აშშ) 6:2, 6:4; **ჯულია შრუფი (გერ)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:4, 7:6.

რეიტინგები

ATP-ის რეიტინგი

1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	7290
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	4875
3(3). ენდი როდიკი (აშშ)	2980
4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	2805
5(5). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	2720
6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	2535
7(7). ტომი რობრედო (ესპ)	2475
8(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	2220
9(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2150
10(10). ენდი მარეი (ბრიტ)	2120
11(11). ტომი ჰაასი (გერ)	2100
12(12). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	1940
13(15). რიშარ გასკე (საფ)	1835
14(14). მარიო ანჩიჩი (ხორ)	1775
15(16). დავიდ ფერერი (ესპ)	1725
16(17). მიხაილ იუჟნი (რუს)	1645
17(13). დავიდ ნალბანდიანი (არგ)	1640
18(19). მარკოს ბაღდატისი (კვი)	1335
19(18). ხუან კარლოს ფერერო (ესპ)	1325
20(20). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)	1250

ATP-ის საჩემპიონო რბოლა

1(1). რაფაელ ნადალი (ესპ)	365
2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც)	346
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	327
4(4). ენდი მარეი (ბრიტ)	212
5(5). ენდი როდიკი (აშშ)	210
6(6). ტომი ჰაასი (გერ)	209
7(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	195
8(11). მიხაილ იუჟნი (რუს)	173
9(8). დავიდ ფერერი (ესპ)	172
10(9). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	171
11(10). გილერმო კანიასი (არგ)	162
12(12). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	158
13(14). ტომი რობრედო (ესპ)	150
14(13). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	140
15(17). რიშარ გასკე (საფ)	138
16(15). ხუან კარლოს ფერერო (ესპ)	121
17(16). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	119
18(21). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	111
19(22). მარკოს ბაღდატისი (კვი)	108
20(18). რობინ სიოდერლინგი (შვედ)	106

ფულადი მონაგარი

1. როჯერ ფედერერი (შვეიც)	1 560 370
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	1 326 645
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	1 046 115
4. ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	587 630
5. ტომი ჰაასი (გერ)	584 790
6. ენდი როდიკი (აშშ)	540 640
7. ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	538 445
8. ენდი მარეი (ბრიტ)	530 955
9. მიხაილ იუჟნი (რუს)	504 860
10. გილერმო კანიასი (არგ)	466 100
11. ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	404 950
12. დავიდ ფერერი (ესპ)	372 737
13. ბობ ბრაიანი (აშშ)	359 335
13. მაიკ ბრაიანი (აშშ)	359 335
15. ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	343 680
16. ტომი რობრედო (ესპ)	313 077
17. ხუან კარლოს ფერერო (ესპ)	267 715
18. რიშარ გასკე (საფ)	263 080
19. რობინ სიოდერლინგი (შვედ)	262 210
20. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	241 490

WTA-ს რეიტინგი

1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ)	4134
2(2). მარია შარაპოვა (რუს)	3388
3(3). ამელი მორესმო (საფ)	2776
5(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2655
5(4). კიმ კლაიჯსტერსი (ბელ)	2505
6(7). ელენა იანკოვიჩი (სერ)	2327
7(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც)	2294
8(8). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1957
9(9). ნადია პეტროვა (რუს)	1903
10(10). დინარა საფინა (რუს)	1863
11(11). ანა ჩაკვეტაძე (რუს)	1829
12(12). სერენა უილიამსი (აშშ)	1770
13(14). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	1616
14(13). ელენა დემენტიევა (რუს)	1582
15(16). შაარ პეერი (ისრ)	1508
16(15). ანა ივანოვიჩი (სერ)	1506
17(18). ტატიანა გოლოვინი (საფ)	1390
18(17). ნა ლი (ჩინ)	1381
19(19). პატი შნიდერი (შვეიც)	1337
20(20). ვერა ზვონარევა (რუს)	1253

WTA-ს საჩემპიონო რბოლა

1. ელენა იანკოვიჩი (სერ)	1555
2. სერენა უილიამსი (აშშ)	1531
3. ჟუსტინ ანენი (ბელ)	1325
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	1061
5. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1036
6. მარია შარაპოვა (რუს)	1030
7. კიმ კლაიჯსტერსი (ბელ)	986
8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	937
9. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	920
10. ტატიანა გოლოვინი (საფ)	865
11. ნადია პეტროვა (რუს)	851
11. დინარა საფინა (რუს)	851
11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	851
14. შაარ პეერი (ისრ)	827
15. ამელი მორესმო (საფ)	825
16. ანა ივანოვიჩი (სერ)	816
17. ნა ლი (ჩინ)	742
18. ვერა ზვონარევა (რუს)	637
19. სიბილ ბამერი (ავსტრია)	600
20. ლუსი საფაროვა (ჩეხ)	590

ფულადი მონაგარი

1. სერენა უილიამსი (აშშ)	1 445 403
2. ჟუსტინ ანენი (ბელ)	813 070
3. მარია შარაპოვა (რუს)	575 677
4. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	561 453
5. ელენა იანკოვიჩი (სერ)	556 677
6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	512 965
7. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	483 539
8. კიმ კლაიჯსტერსი (ბელ)	414 159
9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	382 176
10. შაარ პეერი (ისრ)	344 654
11. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	341 912
12. ამელი მორესმო (საფ)	316 894
13. ნადია პეტროვა (რუს)	292 131
14. ლიზელ ჰუბერი (ს.აშრ)	290 318
15. სამანტა სტოსური (ავსტრა)	284 182
16. ნა ლი (ჩინ)	279 497
17. კარა ბლეკი (ზიმ)	279 101
18. დინარა საფინა (რუს)	273 448
19. ტატიანა გოლოვინი (საფ)	261 983
20. ვერა ზვონარევა (რუს)	243 425

მსოფლიო ჩემპიონატი

II ჯგუფური ეტაპი

E ჯგუფი

იტალია- დანია 2:5

0:3, 2:0, 0:2

გოლები: 0:1 ტრანჰოლმი-1 (კ. სტაალი-3, ფ. ნილსენი-2), 0:2 0:2 რეგინი-3 (ფ. ნილსენი-3), 0:3 ი. ნილსენი-1 (ანდრეასენი-3, კრისტენსენი-1), 1:3 დე ბეტინი-2 (ჩირონე-2, ბორგატელო-1), 2:3 რამოზერი-1 (მარგონი-2, ჰელი-1), 2:4 რ. ოლსენი-1 (დრესლერი-1, ანდრეასენი-4), 2:5 კრისტენსენი-1 (ი. ნილსენი-2, კიარგორდი-1).

შვედეთი-რუსეთი 2:4

1:1, 1:1, 0:2

გოლები: 1:0 ტორნბერგი-2 (ი. იონსონი-6, მარტენსონი-6), 1:1 მოროზოვი-7, 1:2 გრებეშკოვი-1 (მალკინი-3, ხარტონოვი-2), 2:2 სტინი-1 (ბეესტრიომი-3, მარტენსონი-7), 2:3 მალკინი-2 (მარკოვი-5, ფროლოვი-3), 2:4 მოროზოვი-8 (ზინოვიევი-10).

	თ	მ	ოგ	ოწ	ნ	შ	ქ
1. რუსეთი	5	5	0	0	0	27-10	15
2. შვედეთი	5	4	0	0	1	21-7	12
3. ფინეთი	5	3	0	0	2	15-8	9
4. შვეიცარია	5	2	0	0	3	9-16	6
5. დანია	5	1	0	0	4	11-26	3
6. იტალია	5	0	0	0	5	4-20	0

F ჯგუფი

ბელარუსი-გერმანია 5:6

2:3, 2:1, 1:2

გოლები: 1:0 მელეშკო-2 (კოსტიუჩენოკი-3, კოლცოვი-1), 1:1 ჰაკერტი-3 (გოგულა-3), 1:2 ბარტა-2 (ფელსკი-3, ტრიპი-2), 1:3 დიტრიხი-2 (კროიცერი-2, ჰაკერტი-3), 2:3 კულაკოვი-2 (მელეშკო-3, კოლცოვი-2), 2:4 ფელსკი-1 (ანჩიჩკა-3), 3:4 დუდიკი-2, 4:4 კოლცოვი-2 (მელეშკო-4, ლეონტიევი-2), 4:5 ვოლფი-4 (გოგულა-4, ჰაკერტი-4), 5:5 კოსტიუჩენოკი-1 (დუდიკი-1), 5:6 ვოლფი-5.

კანადა-აშშ 6:3

4:0, 1:2, 1:1

გოლები: 1:0 მაკლეშანი-2 (კომოდორი-2, მაიერსი-1), 2:0 კამალერი-1 (ე. სტაალი-2, ფანოფი-4), 3:0 ლომბარდი-2 (ნეში-5), 4:0 კამალერი-2 (ე. სტაალი-3, ჰამჭუისი-2), 4:1 შჩასტნი-3 (ჯონსონი-1, ბეკსი-1), 5:1 ლომბარდი-3 (დოუნი-1), 5:2 სტემპნიაკი-5 (ჯონსონი-2), 6:2 ლომბარდი-4 (დოუნი-2), 6:3 შჩასტნი-4 (სტემპნიაკი-3, გრინი-1).

	თ	მ	ოგ	ოწ	ნ	შ	ქ
1. კანადა	5	4	1	0	0	24-15	14
2. აშშ	5	3	0	0	2	18-13	9
3. სლოვაკეთი	5	3	0	0	2	18-15	9
4. ჩეხეთი	5	2	0	1	2	17-14	7
5. გერმანია	5	2	0	0	3	11-16	6
6. ბელარუსი	5	0	0	0	5	14-29	0

1/4 ფინალი

9 მაისი

რუსეთი-ჩეხეთი
შვედეთი-სლოვაკეთი

10 მაისი

კანადა-შვეიცარია
აშშ-ფინეთი

ბომბარდირები (გოლი+პასი)

მოროზოვი (რუს)	13 (8+5)
დავიდსონი (შვედ)	12 (6+6)
ზინოვიევი (რუს)	12 (2+10)
გაბორიკი (სლოვაკ)	10 (5+5)
ზარიპოვი (რუს)	10 (3+7)
სტემპნიაკი (აშშ)	9 (5+4)
ტარნსტრიომი (შვედ)	9 (1+8)
ფოლფი (გერ)	8 (5+3)
ანტონინაკი (გლრ)	8 (5+3)
შჩასტნი (აშშ)	8 (4+4)
პლეკანეცი (ჩეხ)	8 (4+4)
მარტენსონი (შვედ)	8 (1+7)

გოლმეტყველები

მოროზოვი (რუს)	8
დავიდსონი (შვედ)	6
ანტონინაკი (გლრ)	5
დოუნი (კან)	5
გაბორიკი (სლოვაკ)	5
სტემპნიაკი (აშშ)	5
ფოლფი (გერ)	5
ლომბარდი (კან)	4
ნუშელინი (ფინ)	4
შჩასტნი (აშშ)	4
პლეკანეცი (ჩეხ)	4
ფროლოვი (რუს)	4

ასისტენტები

ზინოვიევი (რუს)	10
ტარნსტრიომი (შვედ)	8
მარტენსონი (შვედ)	7
ზარიპოვი (რუს)	7
ზადელენოვი (გლრ)	6
დავიდსონი (შვედ)	6
შატანი (სლოვაკ)	6
ი. იონსონი (შვედ)	6
გაბორიკი (სლოვაკ)	5
მოროზოვი (რუს)	5
ნეში (კან)	5
პელტონენი (ფინ)	5
ნ. კაპანენი (ფინ)	5
კონტიოლა (ფინ)	5
მარკოვი (რუს)	5
ტეიეზი (კან)	5

დომინატორი ფინალში გასვლასა და შათაუთს ზეიმობს

NHL. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

დეტროიტმა ოთხეული შეკრა

დასავლეთი

სან ხოსე (5)-დეტროიტი (1) 0:2

0:2, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 სამუელსონი-2 (ფრანცენი-4, ჩელიოსი-3), 0:2 სამუელსონი-3 (უაციუკი-6, ჩელიოსი-4).

სერია 2:4

დომინიკ ჰაშეკმა ფლეი ოფში თავისი მე-13 შათაუტი შეასრულა და "დეტროიტი" 2002 წლის შემდეგ პირველად გაიყვანა დასავლეთი კონფერენციის ფინალში. "დომინატორმა" მეტოქეთა 28 დარტყმა მოიგერია.

"რედ უინგზს", ბოლო სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი საფლეიოფო სერია ჰქონდა მოგებული, არადა, ამ სამი სეზონის განმავლობაში, ის ორჯერ გახდა რეგულარულის ჩემპიონი და სტენლის თასზე ფავორიტად ითვლებოდა.

ამჯერად, "დეტროიტი" აღარ იმეორებს გასული წლების შეცდომებს, ფავორიტის სტატუსს ამტკიცებს და დამაჯერებლად მიიწევს წინ.

სტუმრებმა პირველ პერიოდში მოამთავრეს საქმე. "ზვიგენებს" ორჯერ გაექცათ შვედი ფორვარდი **მიკაელ სამუელსონი** და **ევგენი ნაბოკოვმა** (20 მოგერიებული დარტყმა) ვერ შეძლო თავისი გუნდის გადარჩენა. საინტერესოა ის, რომ "სან ხოსესთან" წინა სამ მოგებულ შეხვედრაში, დეტროიტელები სამივე შემთხვევაში მდევრის როლში იყვნენ. ორჯერ კი, "რედ უინგზმა" ორშაბიანი ჩამორჩენის გაბათილება მოახერხა. "შარქსისთვის" განსაკუთრებით დასანანი იყო მარცხი სერიის მეოთხე მატჩში, როცა "დეტროიტმა" საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე გაათანაბრა ანგარიში და შემდეგ, ოვერტაიმში მოიგო. არადა, იმ მატჩში "სან ხოსეს" რომ გაემარჯვა, სერიაში 3:1 დაწინაურდებოდა.

იმ წაგების შემდეგ, "ზვიგენები" გონს ვეღარ მოვიდნენ. ეს განსაკუთრებით გუნდის ლიდერებზე - **ჯო ტორნტონსა** და **ჯონათან ჩაჩუზე** ითქმის, რომლებმაც ზედიზედ ორ შეხვედრაში ვერცერთი ქულის დაგროვება ვერ შეძლეს. ესეც "სან ხოსეს" მარცხის ერთ-ერთი მიზეზია.

"დეტროიტს" ამ მატჩის წინ, გარკვეული პრობლემები ჰქონდა დაცვის ხაზთან დაკავშირებით. წინა შეხვედრაში, წამყვანმა მცველმა **მატიო შნაიდერმა** მძიმე ტრავმა მიიღო და სტენლის თასის ბოლომდე გამოეთიშა კლუბს. ამის გამო, "რედ უინგზის" ორ ვეტერანს მცველს - **ნიკლას ლიდსტრიომსა** და **კრის ჩელიოსს**, თითოზე დაახლოებით 29 წუთი სათამაშო დრო მიეცათ. ორივემ შეუდარებლად იმოქმედეს. ჩელიოსმა ორი საგოლე პასი გააკეთა, ლიდსტრიომმა კი, 0:1-ზე, ერთ-ერთ ეპიზოდში ისეთი ნახტომით გამოიტანა შაიბა ცარიელი კარიდან, რომ მისი სეივი ნებისმიერ მეკარეს შეშურდებოდა.

სხვათა შორის, ჩელიოსი უახლოვდება ლეგენდარული მეკარის - **პატრიკ რუას** ყველა დროის რეკორდს. რუას ფლეი ოფში ყველაზე მეტი, 247 მატჩი აქვს ჩატარებული, ჩელიოსის ანგარიშზე კი, 240 შეხვედრაა და თუ "ანაჰაიმთან" მომავალი სერია 7 მატჩამდე გაგრძელდება, მაშინ 45 წლის მცველი ამ რეკორდს გაიმეორებს.

ფლეი ოფის ლიდერები

ბომბარდირები (გოლი+პასი)

ჰიტლი (ოტა)*	14 (5+9)
ფოგესი (ნ-ჯერ)*	14 (4+10)
ნიულანდერი (რეინ)*	13 (6+7)
სპეცა (ოტა)*	12 (5+7)
ალფრედსონი (ოტა)*	11 (6+5)
იაგრი (რეინ)*	11 (5+6)
დაციუკი (დეტ)	11 (5+6)
ლიდსტრიომი (დეტ)	11 (3+8)
პრონგერი (ანა)	11 (3+8)
ბრიერი (ბაფ)	11 (2+9)
ჯ. ტორნტონი (ს-ხოს)*	11 (1+10)

გოლმეტყველები

ჯონტა (ნ-ჯერ)*	8
პარიზე (ნ-ჯერ)*	7
დრური (ბაფ)	7
ნიულანდერი (რეინ)*	6
ალფრედსონი (ოტა)*	6
ლეკავალიე (ტ-ბეი)*	5
ჰიტლი (ოტა)*	5
სპეცა (ოტა)*	5
იაგრი (რეინ)*	5
შინეპანი (რეინ)*	5
ვანეკი (ბაფ)	5
დაციუკი (დეტ)	5

ასისტენტები

ფოგესი (ნ-ჯერ)*	10
ჯ. ტორნტონი (ს-ხოს)*	10
ჰიტლი (ოტა)*	9
ბრიერი (ბაფ)	9
ელიაში (ნ-ჯერ)*	9
სტრაკა (რეინ)*	8
ლიდსტრიომი (დეტ)	8
პრონგერი (ანა)	8
ზუბრუსი (ბაფ)	8
ძონული (ბაფ)	7
სპეცა (ოტა)*	7
ნიულანდერი (რეინ)*	7

** - გამოუთიშნენ სტენლის თასს*

კონფერენციების ფინალი. კალენდარი

აღმოსავლეთი

ბუფალო (1)-ოტავა (4)

10 მაისი
ბუფალო-ოტავა

12 მაისი
ბუფალო-ოტავა

14 მაისი
ოტავა-ბუფალო

16 მაისი
ოტავა-ბუფალო

19 მაისი
ბუფალო-ოტავა*

21 მაისი
ოტავა-ბუფალო*

23 მაისი
ბუფალო-ოტავა*

დასავლეთი

დეტროიტი (1)-ანაჰაიმი (2)

11 მაისი
დეტროიტი-ანაჰაიმი

13 მაისი
დეტროიტი-ანაჰაიმი

15 მაისი
ანაჰაიმი-დეტროიტი

17 მაისი
ანაჰაიმი-დეტროიტი

20 მაისი
დეტროიტი-ანაჰაიმი*

22 მაისი
ანაჰაიმი-დეტროიტი*

24 მაისი
დეტროიტი-ანაჰაიმი*

** - საჭიროების შემთხვევაში*

9 მაისი. ოთხშაბათი

НТВ-პლუსი (უეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:55 პირდაპირი ხაზი.
19:05 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
20:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფლეი ოფი (LIVE).
00:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:25 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ხეტაფე-ბარსელონა.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ლეირია.
08:50 სპორტის ისტორია.
09:00 სპორტინფორმი.
09:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:15 სპორტინფორმი.
10:30 კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. უნიკახაცსკა.
12:25 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ინდონეზია.
14:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:49 აფროსნობა. ამერიკის თასი.
16:17 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:17 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. კოლო კოლო-ამერიკა (LIVE).
19:34 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/4 ფინალი.
21:29 მინი-ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
21:49 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
22:09 აფროსნობა. ამერიკის თასი.
22:59 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სევილია-დეპორტივო (LIVE).
00:59 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:55 მინი-მოედანი.
02:14 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ველეს სარფსილდი-ბოკა ხუნიორსი (LIVE).
04:01 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერ იუნ-მილანი.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 საფეხბურთი პროგრამა - გოლი.
11:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა.
13:00 სპიდვეი. იტალიის გან-პრი.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ბერლინი. გერმანია (LIVE).
17:30 ჩოგბურთი.
17:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ბერლინი. გერმანია (LIVE).
21:00 აფროსნობა.
21:05 მულტისპორტი.
21:10 ცხენოსნობა.
22:15 მულტისპორტი.
22:20 გოლფი. US PGA-ს ტური.
23:20 გოლფი. ევროპის ტური.
23:55 აფროსნობა.
00:15 მძლეოსნობა.
00:45 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
01:15 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
02:45 აფროსნობა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ესპანეთი. ბელგია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-ინგლისი. ბელგია.
17:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-კოლორადო.
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
19:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ფინალი. ესპანეთი-შვეიცარია. ტარაგონა. ესპანეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მულტისპორტი.
22:30 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. ვილი. შვეიცარია.
23:30 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲤᲘ

უეხბურთი

ინგლისი

ფლეი ოფი

ოქსფორდი-ექსეტერი	1:2 პენ. 3:4

გელგიის თასი

1/2 ფინალი

ბრიუგე-გენტი	2:0

შვედეთი

მალმიო-პამგარბიუ	1:1

II დივიზიონი

ჰაკენი-სუნდსვალი	1:2

ავსტრია

რაპიდი-აუსტრია	3:0

სლოვაკეთის თასი

შენეკი-ვორაკეე	0:4

რუსეთის თასი

ვოსკოვი-ლინავი (ბ)	1:0

პოლონეთი

ალეცკი-გროცლინი	0:0
ტორუნი-კრაკოვია	1:2

უნგრეთი

მგკ-დიოშდიორი	4:2

არგენტინა

ინდეპი-არსენალი	0:1

ჩოგბურთი

ATP. რეიტინგი

ბერდიჩი-ნიემინენი	6:4, 7:5
მოია-ბალდატისი	2:6, 3:6
მონტანიესი-ვავრინკა	3:6, 6:1, 7:6
საფინი-დელიჩი	2:6, 6:3, 6:4
ჰაასი-სტეპანეკი	3:6, 2:6
ბლეიკი-მონფილსი	7:6, 6:3
გაუდიო-ფიში	6:4, 6:4
ო. როხუსი-ლოდრა	5:7, 6:3, 6:3
ფედერერი-ალმაგრო	6:3, 6:4
იუჟნი-ბენეტო	6:1, 3:6, 6:2
ვოლანდრი-გაბაშვილი	6:0, 6:3
გასკე-ვერდასკო	6:1, 7:5
ფერერი-ანდრეევი	4:6, 1:6
ჩელა-ჟიკელი	2:6, 6:4, 6:1
ლუბიჩიჩი-აკასუსო	4:6, 3:6

WTA. ბერლინი

ბარდინა-მალეკი	1:6, 3:6
შონესი-პაშეკი	7:6, 6:2
პენეტა-ვაკულენკო	3:6, 2:6
სრებოტნიკი-ტუ	3:6, 6:4, 3:6
დემენტიევა-სანტანჯელო	4:6, 6:1, 6:4
ლუა-ლიხოვცევა	5:7, 6:3, 1:6
იანი-ბოროისი	4:6, 6:3, 6:2

WTA. პრაღა

გაიდოშოვა-როდიონოვა	6:1, 6:0
დულკო-ციბულკოვა	3:6, 6:7
ზაკოპალოვა-სტრიუკოვა	6:2, 7:5
ბენეშოვა-მორიგამი	3:6, 2:6
კრეიბასი-ჰლავაკოვა	6:1, 5:7, 2:6
პუჩკოვა-პლისკოვა	7:6, 7:5
ბრიანტი-კუტუზოვა	5:7, 3:6
კრაიჩეკი-მიუსბურგერი	6:3, 4:6, 5:7
აზარენკა-სუხა	2:6, 6:3, 6:2
კასტანიო-პინი	4:6, 1:6

მძლეოსნობა

პაუელი 10 ივნისს დაბრუნდება

100 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდსმენი - **ასაფა პაუელი** მუხლის ტრავმას მკურნალობს. იამაიკელი მძლეოსნის ბანაკიდან იტყობინებიან, რომ აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და პაუელი სავარაუდოდ, 10 ივნისს დაუბრუნდება სარბენ ბილიკს. ამ დღეს, ამერიკის ქალაქ იუჯინში IAAF-ის ეგიდით ერთ-ერთი ტურნირი გაიმართება.

15 ივნისს კი, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში "ოქროს ლიგის" სერიის პირველი ტურნირი ჩატარდება. იამაიკელი სპრინტერის მწვრთნელი - **პოლ დოილი** სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მისი შეგირდი ამ სტარტისთვის ოპტიმალურ ფორმაში იქნება.

გეტლინი ფეხბურთელი ხდება

ასაფა პაუელის ყოფილი კონკურენტი, დოპინგის მიღებისთვის მძლეოსნობიდან რვა წლით მოკვეთილი **ჯასტინ გეტლინი,** ამერიკულ ფეხბურთში აპირებს ძალების მოსინჯვას. როგორც ირკვევა, 100 მეტრ სირბილში მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი, ეროვნული საფეხბურთო ლიგის (NFL) კლუბ "ტამპა ბეიში" ვარჯიშობს.

"თუ ჯასტინი თავის სისწრაფეს ფეხბურთში წარმატებით გადაიტანს, მაშინ მას ლიგაში დამკვიდრების კარგი შანსი ექნება", - განაცხადა "ტამპას" მწვრთნელმა **ჯონ გუდენმა**.

"ამერიკული ფეხბურთი სწორედ ის სპორტია, რომელიც ახლა ყველაზე მეტად მაინტერესებს", - მოჰყავს გეტლინის სიტყვები სააგენტო "როიტერს".

კალათბურთი

ვან განდი პიუსტონს ტოვებს

ფლეი ოფში "იუტა ჯაზთან" 7 მატჩში წაგებული სერიის შემდეგ, "პიუსტონ როკეტსის" მთავარი მწვრთნელის პოსტს **ჯეფ ვან განდი** დატოვებს.

ეს ინფორმაცია ოფიციალურად არც კლუბის ხელმძღვანელებს და არც თავად ამ სპეციალისტს არ დაუდასტურებიათ. თუმცა, გაზეთი "ნიუ იორკ პოსტი", სანდო წყაროზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ვან განდი უახლოეს დღეებში აპირებს გადადგომას.

მიტჩელით ინდიანაც დაინტერესდა

ახალი მწვრთნელის ძიებაშია "ინდიანა პეისერსი", რომელმაც წელს, რეგულარულ ჩემპიონატში სუსტად იასპარეზა და ფლეი ოფის საგზური ვერ მოიპოვა. სწორედ ამის გამო, კლუბის ბოსებმა **რიკ კარლაილი** გაათავისუფლეს და ახლა მის შემცვლელს ეძებენ.

გაზეთ "ტორონტო სტარის" ინფორმაციით, "პეისერსის" ხელმძღვანელობა "ტორონტოს" დამრიგებლის - **სემ მიტჩელის** გადაბირებით არის დაინტერესებული. ამ სპეციალისტმა წლეულს, საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში იმარჯვა და მასზე NBA-ის სხვა კლუბებიც ნადირობენ. აღსანიშნავია, რომ "რეპტორზთან" მიტჩელის ამყამინდელ კონტრაქტს 30 ივნისს გასდის ვადა. მანამდე, "ინდიანასა" და სხვა კლუბების შეფუბს, სემთან მოლაპარაკებების დაწყება "ტორონტოს" ბოსების თანხმობის შემთხვევაში შეუძლიათ. თუმცა, "რეპტორზის" გენერალური მენეჯერი **ბრაიან კოლანჯელო** ასეთი უფლების გაცემას არ ჩქარობს. მისი თქმით, სანამ მიტჩელს სხვა კლუბებთან მოლაპარაკებების ნებას დართავს, თავად სურს მწვრთნელის აგენტს - **ლონი კუპერს** ესაუბროს.

დიკემბე სახლში, იაო ოლაჯუონთან

"პიუსტონ როკეტსის" ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, რომ ამ გუნდის უბერებელი ცენტრალური თავდამსხმელი - **დიკემბე მუტომბო** საკალათბურთო კარიერის დასრულებას აპირებს.

გარდა სოლიდური ასაკისა, აფრიკელ კალათბურთელს ისიც აწუხებს, რომ სეზონის მეორე ნაწილსა და ფლეი ოფში, გუნდში მისი როლი მნიშვნელოვნად შემცირდა.

დიკემბეს განცხადებით, ის მთელი ზაფხული იფიქრებს ამ საკითხზე, რჩევას ჰკითხავს მეუღლესა და შვილებს და მხოლოდ ამის შემდეგ გააცნობს პრესას საბოლოო გადაწყვეტილებას.

წლევანდელ რეგულარულში, მუტომბომ ახალგაზრდობა გაიხსენა და შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. გუნდის ძირითადი ცენტრის - **იაო მინის** არყოფნაში, დიკემბე კარგად ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

▪ ▪ ▪

ამასობაში, ჩინელი იაო მინი აქედანვე იწყებს მომავალი სეზონისთვის მზადებას. NBA-ის ერთ-ერთმა უპირველესმა ვარსკვლავმა გადაწყვიტა, ზაფხულის პერიოდში "პიუსტონის" ლეგენდარულ ცენტრთან - **ჰაკიმ ოლაჯუონთან** ერთად ივარჯიშოს.

ჩინელი კალათბურთელის თქმით, NBA-ის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელთან მეცადინეობა, ოსტატობის ამაღლების კარგი შანსია და ის ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას არ აპირებს.

პოლკი

გაისად ვიქტორიას თასი გაიმართება

მნიშვნელოვან და საინტერესო შეთანხმებას მიაღწიეს ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ (IIHF) და ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ (NHL). როგორც IIHF-ის ოფიციალური ვერ-გვერდი იტყობინება, 2008 წლის სექტემბერში გაიმართება ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ორი საუკეთესო კლუბი და NHL-ის ერთი გუნდი.

ტურნირი ყოველწლიური უნდა გახდეს. მას უკვე სახელიც შეურჩიეს - ვიქტორიას თასი, "მონრეალ კანადიენსის" საშინაო არენის, Victoria Skating Rink-ის საპატივცემულოდ. ეს ის დარბაზია, სადაც პირველად (1875 წლის 3 მარტს) გაიმართა ჰოკეიში ოფიციალური მატჩი.

საერთაშორისო ფედერაციამ აგრეთვე დაადასტურა, რომ 2008 წლიდან, ევროპაში სტარტს აიღებს ევროლიგის ტურნირი. ძველი კონტინენტიდან ვიქტორიას თასზე მონაწილე ორი გუნდი, სწორედ ევროლიგის გათამაშების შემდეგ შეირჩევა.

ჩოგბურთი

კიფერი როლან გაროსს გამოტოვებს

კვლავ ვერ ახერხებს პროფესიულ ტურში დაბრუნებას ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი - **ნიკოლას კიფერი.** შეგახსენებთ, რომ გერმანული ჩოგბურთის ყოფილმა პირველმა ნომერმა, 2006 წლის "როლან გაროსზე" მიიღო მაჯის ტრავმა.

ზუსტად ერთწლიანი მკურნალობის შემდეგ, კიფერმა ტრავმა თითქმის ბოლომდე მოიარჩინა, მაგრამ როგორც ირკვევა, ის მაინც ვერ შეძლებს "დიდი სლემის" სერიის რიგით მეორე ტურნირზე - საფრანგეთის ღია პირველობაზე გამოსვლას.

"ვარჯიში უკვე დავიწყე და პირველად ამ ერთი წლის განმავლობაში, ტკივილს არ ვგრძნობ, მაგრამ "როლან გაროსისთვის" მწყობრში ჩადგომას მაინც ვერ ვასწრებ, ამიტომაც ამ ტურნირის გამოტოვება გადავწყვიტე", - განუცხადა გერმანულ პრესას კიფერმა.

ნიკოლასს იმედი აქვს, რომ ATP-ის ტურზე მისი დაბრუნება 11 ივნისს ედგება, როცა ქალაქ ჰალეში მორიგი ტურნირი აიღებს სტარტს.

დოპინგი

ბასოს აღიარება

ივან ბასო

იტალიის ოლიმპიური კომიტეტის წინაშე გამოსვლისას, ჯირო დ'იტალიას შარშანდელმა ჩემპიონმა, იტალიელმა **ივან ბასომ** აღიარა, რომ ესპანურ დოპინგ-სკანდალ ოპერასიონ პუერტოში, მეტსახელი "ბირილიო" მას ეკუთვნის. თუმცა, ველომრბოლი დასძენს, რომ მას არასოდეს გამოუყენებია აკრძალული პრეპარატები და ესპანელ ექიმ **ეუფემიანო ფუენტესის** სიაში რომ მოხვდა, ეს მხოლოდ აკრძალული სისხლის გადასხმის გამოყენების მცდელობა იყო.

ამასთან, ბასომ განაცხადა, რომ მზადაა, ითანამშრომლოს იტალიის ოლიმპიურ კომიტეტთან (CONI), რომელიც ამავდროულად, იტალიაში დოპინგთან მებრძოლი ორგანიზაციაცაა. ამ თანამშრომლობის საფუძველზე ის იმედოვნებს, რომ მინიმალური დისკვალიფიკაციით დაისჯება და სპორტში დაბრუნების შემდეგ, კვლავ მიეცემა ტურსა და ჯიროზე გამოსვლის საშუალება.

შეგახსენებთ, რომ იტალიელ ველომრბოლს ბრალი ედება მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს (WADA) კანონის 2.2 მუხლის შესაბამისად, რომელიც "სპორტსმენის მიერ აკრძალული სუბსტანციის ან მეთოდის გამოყენებას ან გამოყენების მცდელობას" გულისხმობს.

"ვფიქრობ, ჩვენ მართებული ნაბიჯი გადადგეთ. თუ ივანმა ასე გადაწყვიტა, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ მას ველოსპორტი ძალიან უყვარს. სანამ საქმის მოსმენაზე წარვდგებოდით, ჩვენ პირისპირ დავილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ ამ განცხადებით, დიდ ტვირთს მოვიხსნიდით და ამით ველოსპორტსაც დიდ სამსახურს გავუწევდით", - "გაძეტა დელო სპორტთან" საუბრისას განაცხადა ბასოს ვექილმა **მასიმო მარტელიმ**.

შეგახსენებთ, რომ ბასომ ჯირო შარშან მოიგო, მაგრამ მოგვიანებით, ესპანეთში დაწყებულ დოპინგ-სკანდალ ოპერასიონ პუერტოს გამო, ის თავისმა გუნდმა (CSC) საფრანგეთის ტურზე აღარ დაუშვა. ბასოს გარდა, ტურზე გამოსვლის საშუალება არ მიეცა სხვადასხვა გუნდების 50-ზე მეტ ველომრბოლს, რომლებიც ასევე გარეულები იყვნენ ესპანურ სკანდალში.

სკანდალი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც ესპანეთის პოლიციამ, მადრიდსა და არაგოსაში ჩატარებული ფართომასშტაბიანი რეიდების დროს, დიდი რაოდენობით ანაბოლური პრეპარატები, სისხლის გადასხმისთვის საჭირო მოწყობილობანი და სისხლის პლაზმით სავსე პაკეტები აღმოაჩინა.

ამ სკანდალის გამო, CSC-ს შეფმა, დანიელმა **ბიარნე რიისმა,** ვინც ფრანგული ტურის ყოფილი ჩეპიონია, ბასოს კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. სეზონის მიწურულს, იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ბასოს წინააღმდეგ საქმე შეწყვიტა, რასაც მოჰყვა ბასოს მიერ კონტრაქტის გაფორმება ამერიკულ გუნდ "დისქავერი ჩენელთან", რომელშიც ადრე ლეგენდარული **ლენს არმსტრონგი** ასპარეზობდა.

მაგრამ ახლახანს, მას შემდეგ, რაც პრო ტურის გუნდებმა გადაწყვიტეს, რომ ტურზე ის ველომრბოლები არ გაეშვათ, რომლებიც ოპერასიონ პუერტოში არიან გარეულნი, ბასომ თავისი ნებით დატოვა ამერიკული გუნდი. იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა კი მის წინააღმდეგ საქმე კვლავ აღძრა და ველომრბოლისგან დნმ-ის ტესტის ჩატარება მოითხოვა. ამ ტესტს უნდა დაედგინა, პუერტოში ნახსენები "ბირილიოს" სისხლის პაკეტი მართლა ეკუთვნოდა თუ არა ბასოს.

ცოტა ხნის წინათ, გერმანიაში ჩატარებულმა ანალოგიურმა ტესტმა დაადგინა, რომ პუერტოში საეჭვოდ მიჩნეული სისხლის პაკეტი ტურის გერმანელ ყოფილ ჩემპიონს, **იან ულრიხს** ეკუთვნის. ულრიხი სპორტიდან უკვე წასულია, თუმცა მისი პრეცენდენტი იმის მანიშნებელი იყო, რომ დნმ-ის ტესტებით შესაძლებელია დოპინგსკანდალში არსებული სისხლის პაკეტების კუთვნილების დაზუსტება.

მერაბ ლორთქიფანიძე

ჭიდი

ტრაგედია

კორალესი დაიღუპა

თანამედროვე პროფესიულმა კრივმა ვარსკვლავი დაკარგა - ლას ვეგასის შემოგარენში მომხდარ მოტოავარიაში დაიღუპა ორ წონით კატეგორიაში (ზე-ბუმბულის და მსუბუქი) მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი (WBC-ს და WBO-ის ვერსიით), ამერიკელი **დიეგო კორალესი.** კრივის მოყვარულებს 29 წლის კორალესი უპირველესად, მექსიკელ **ხოსე ლუის კასტილიოსთან** ჩატარებული დაუვიწყარი ბრძოლებით დაამახსოვრდებათ.

კორალესი (40-5, 33 ნოკაუტი) კასტილიოს პირველად 2005 წელს შეხვდა, როცა ეს უკანასკნელი ზე-ბუმბულის წონის ჩემპიონი იყო. იმ ბრძოლის მიწურულს (მეათე რაუნდში), კორალესმა ნოკდაუნი ინვნია, მაგრამ წამოდგა, ბრძოლა განაგრძო და მაღლე ნოკაუტი აგემა ჩემპიონს. სეზონის ბოლოს, ის ბრძოლა კრივზე მწერალთა ასოციაციამ წლის საუკეთესო ბრძოლად გამოაცხადა.

ხუთი თვის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და კასტილიომ რევანში აიღო. კასტილიოსთან წაგების შემდეგ, კორალესმა კიდევ ორი ბრძოლა წააგო (**ხოელ კასამაიორთან** და **ჯოშუა კლოტისთან**).

კორალესმა თავისი კარიერის ყველაზე გამორჩეული გამარჯვება 7 მაისს მოიპოვა. ზუსტად ორი წლის შემდეგ, იმავე დღეს ის ფატალურ კატასტროფაში მოყვა. მისი მოტოციკლი ავტომობილს ლას ვეგასის ცენტრიდან სამხრეთით, ათ კილომეტრში შეასკდა. პოლიციის ცნობით, მოკრივე ადგილზევე დაიღუპა.



დიეგო კორალესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუთარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოვიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª, 0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა